

მარიამ ლორთქიფანიძე

რა არის „ქართლის ცხოვრება“



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1989

„ქართლის ცხოვრება“ ძველი და შუასაუკუნოვანი საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი ძეგლია, რომელიც ნათლად ადასტურებს ქართული ფეოდალური ისტორიული აზროვნების მაღალ დონეს. იგი საუკუნეთა მანძილზე სხვადასხვა ავტორთა მიერ დაწერილი თხზულებების კრებულია, რომლის შემდგენელნი თუ გამგრძელებელნი ცდილობდნენ მასში წარმოდგენილი ყოფილიყო ქვეყნის უწყვეტი ისტორია.

ნაშრომში გაშუქებულია ისეთი საკითხები, როგორც არის „ქართლის ცხოვრების“ თავდაპირველი შედგენა და თანდათანობითი შეესება, ვახტანგ VI კომისიის საქმიანობა და მრავალი სხვა.

განკუთვნილია ისტორიკოსებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი რ. კ ი კ ნ ა ძ ე

რეცენზენტები: გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა

გ. ა ლ ა ს ა ნ ი ა

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1989

0503020906

Л—
M 608 (66) 89

ISBN 5—511—00308—5

შ ე ს ა ვ ა ლ ი

„ქართლის ცხოვრება“ („საქართველოს ისტორია“) ძველი და შუასაუკუნოვანი საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი წყარო, ქართული შუასაუკუნოვანი ისტორიული ანროვნების, ისტორიოგრაფიის მაღალი დონის დამადასტურებელი საისტორიო თხზულებათა კრებულია.

შუა საუკუნეების საქართველოში „ქართლის ცხოვრება“ ასრულებდა საკითხავი წიგნის დანიშნულებას და გამოიყენებოდა სახელმძღვანელოდ ეროვნულ ისტორიაში.

თავდაპირველად ამ წიგნს ეწოდებოდა როგორც „ქართლის ცხოვრება“, ასევე „ქართველთ ცხოვრებაც“, თანდათან დამკვიდრდა სახელწოდება „ქართლის ცხოვრება“.

„ქართლის ცხოვრება“ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ავტორთა მიერ დაწერილი თხზულებების კრებულია, ის დგებოდა ჟამითი-ჟამად და საუკუნეთა მანძილზე ხდებოდა მისი შევსება-რედაქტირება. მაგრამ ის არ არის ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ საისტორიო ნაწარმოებთა ხელოვნურად შედგენილი კრებული, იგი ერთიანი თხზულებაა, რომელიც გადმოგვცემს ერისა და ქვეყნის ისტორიას.

სადღეისოდ არსებობს „ქართლის ცხოვრების“ ორი ციკლი, ე. წ. „ძველი ქართლის ცხოვრება“ და „ახალი ქართლის ცხოვრება“.

„ძველი ქართლის ცხოვრება“ მოიცავს საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან XIV საუკუნის დასაწყისამდე. ამ დროიდან, დიდი ხნის განმავლობაში „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელება-შევსებაზე აღარ ზრუნავდნენ, რაც საქართველოში შექმნილი მძიმე ისტორიული ვითარებით იყო გამოწვეული. XVII საუკუნის დასასრულსა და XVIII საუკუნის დასაწყისში ქართლის სამეფოში შექმნილმა დროებითმა სტაბილურმა პოლიტიკურმა

მდგომარეობამ ხელი შეუწყო ქვეყნის საერთო მდგომარეობის გამოსწორებას, კულტურულ აღორძინებას და მეფე ვახტანგ VI, რომელმაც განახორციელა რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებანი კულტურის დარგში, განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა ეროვნული ისტორიის უმნიშვნელოვანესი ძეგლია. „ქართლის ცხოვრებისადმი“.

ვახტანგმა ერთ-ერთ აუცილებელ და საშურ საქმედ „ქართლის ცხოვრებაში“ არსებული ხარვეზის შევსება მიიჩნია. ამ მიზნით მან, ჯერ კიდევ ბატონიშვილობისას¹, შეკრიბა თავისი დროის გამოჩენილი ისტორიკოსები, „მეცნიერნი კაცნი“ ან „სწავლული კაცნი“, როგორც მათ უწოდებდნენ, რომელთაც უთავა ისტორიკოსი ბერი² ეგნატაშვილი. „მეცნიერ კაცთა“ ამოცანას XIV—XVII საუკუნეების საქართველოს ისტორიის დაწერა და „ქართლის ცხოვრების“ რედაქტირება შეადგენდა.

„სწავლულმა კაცებმა“ დიდი სამუშაო ჩაატარეს და შეიქმნა ე. წ. „ახალი ქართლის ცხოვრება“. მართალია, სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა იმის თაობაზე, თუ რას ეწოდება „ახალი ქართლის ცხოვრება“, მკვლევართა ნაწილი (მ. ჯანაშვილი, ივ. ჯავახიშვილი...) თვლიდა, რომ „ახალი ქართლის ცხოვრება“ XVIII საუკუნის დასაწყისში ბერი ეგნატაშვილის და მისი თაოსნობით მომუშავე სწავლულთა მიერ დაწერილი საქართველოს XIV — XVII საუკუნეების ისტორიაა, ხოლო ნაწილს (ე. თაყაიშვილი, კ. გრიგოლია...) მიაჩნდა, რომ „ახალი ქართლის ცხოვრება“ მეცნიერ კაცთა ხელიდან გამოსული საქართველოს ისტორიაა უძველესი დროიდან, მათ მიერ დაწერილი XIV — XVII საუკუნეების ისტორიის ჩათვლით. სადღეისოდ, თითქოს,

¹ ვახტანგ VI (1675 — 1736), ქართლის მეფე გიორგი XI-ს (1676 — 1688; 1703—1709) ძმის ლევანის ძე: იყო. გიორგი XI და მის შემდეგ ქართლის მეფედ დანიშნული მისი ძმა ქაიხოსრო ირანში იყვნენ და იქ ებრძოდნენ სეფიანთა ირანის ბატონობის წინააღმდეგ აჯანყებულ ავღანელებს. ორივე, გიორგი 1709 წ. ხოლო ქაიხოსრო 1711 წ. დაღუპნენ ავღანელებთან ბრძოლაში. ამ წლებში მათი ძმისწული ვახტანგი ქართლის განმგებელი ჯანაშინი იყო, ხოლო 1716 — 1724 წლებში ვახტანგი ქართლის მეფეა.

² ბერი — აქ საკუთარი სახელია.

სადავო აღარ უნდა იყოს, რომ „ახალი ქართლის ცხოვრება“ ვახტანგის კომისიის მიერ რედაქტირებული და გაგრძელებული „ქართლის ცხოვრება“ მთლიანად.

„ახალი ქართლის ცხოვრების“ შექმნის შემდეგ, ეროვნული ისტორიის მომთხრობ ძირითად წიგნად, ვახტანგის „სწავლულ კაცთა“ ხელიდან გამოსული ნაშრომი იქცა. ეროვნულ ისტორიას უკვე ამ წიგნით სწავლობდნენ, მასში შექპონდათ ჩამატებები თუ შესწორებები, მას იწერდნენ და ამრავლებდნენ. ამ გარემოებამ თანდათან გაანელა ინტერესი „ძველი ქართლის ცხოვრებისადმი“. საწერი მასალის სიძვირის, გადაწერასთან დაკავშირებული სირთულეების გამო, ჩანს, უკვე აღარ ხდებოდა ძველი „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერთა გადაწერა-ამრავლება. „ძველი ქართლის ცხოვრების“ არსებული ხელნაწერები თანდათან დაიკარგა, იშვიათობად იქცა. „ქართლის ცხოვრების“ ძველი ხელნაწერების დაკარგვას, ისევე როგორც ქართული ეროვნული კულტურის მრავალი ძეგლის განადგურებას, რასაკვირველია, სხვა არსებითი მიზეზებიც ჰქონდა, რაც ძირითადად მრავალრიცხოვან დამპყრობთა ბარბაროსული საქმიანობით იყო გამოწვეული, მაგრამ საკუთრივ „ქართლის ცხოვრების“ ძველი ხელნაწერების დაკარგვა ამ ფაქტორითაც იყო განპირობებული.

ინტერესი ეროვნული ისტორიის ამ უმნიშვნელოვანესი ძეგლისადმი ჩვენში არასოდეს განელებულა, მასში შექპონდათ ახალი მასალა, ავრცობდნენ, რედაქციას უკეთებდნენ, მას სხვადასხვა თაობისა და ეპოქის წარმომადგენლები სწავლობდნენ, აფასებდნენ.

„ქართლის ცხოვრების“ შესწავლის საკითხისათვის

„ქართლის ცხოვრების“ შესწავლის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ დიდ სამუშაოს, რომელიც ჩაატარა ვახტანგ VI სწავლულ კაცთა კომისიამ. თავისი მოსაზრებანი აქვს ამ თხზულების შესახებ XVIII საუკუნის დიდ ქართველ ისტორიკოსს ვახუშტი ბაგრატიონს, მაგრამ არც სწავლულ კაცებს და არც ვახუშტი ბაგრატიონს არ დაუყენებიათ საკითხი იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს „ქართლის ცხოვრება“. XVIII საუკუნის ქართულ განათლებულ საზოგადოებას, თავისი გარკვეული დამოკიდებულება ჰქონდა ეროვნული ისტორიის მომზახრობი ამ თხზულებისადმი.

XIX საუკუნეში, ევროპული და რუსული ორიენტალისტიკის განვითარებასთან ერთად, ფართოვდება ინტერესი საერთოდ ქართული კულტურის, ქართული ენის, საქართველოს ისტორიის და საკუთრივ „ქართლის ცხოვრებისადმი“.

XIX საუკუნეში, როდესაც ფართო სამეცნიერო წრეები დაინტერესდნენ „ქართლის ცხოვრებით“ და დაისვა საკითხი მისი თავდაპირველი შედგენის დროის შესახებ, „ქართლის ცხოვრების“ ძველი ხელნაწერები დაკარგული იყო და მკვლევართა განკარგულებაში მხოლოდ XVIII საუკუნის, ვახტანგის და მის სწავლულ კაცთა ხელში გამოვლილი, რედაქტირებული და შემდეგდროინდელი ნუსხები აღმოჩნდა.

აღრინდელი ხელნაწერების არარსებობამ და ზოგმა სხვა გარემოებამაც შექმნა საფუძველი აზრთა სხვადასხვაობისათვის „ქართლის ცხოვრების“ შედგენის დროის, მისი შედგენილობის და მრავალი სხვა საკითხის შესახებ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა აზრთა სხვადასხვაობას „ქართლის ცხოვრების“ თავდაპირველი შედგენის დროის გამო.

„ქართლის ცხოვრების“ XVIII საუკუნეზე ადრინდელი ხელნაწერების არარსებობა ქმნიდა გარკვეულ საფუძველს ნიპილისტური დანოკიდებულებისათვის ამ ეროვნული ისტორიისადმი, სახელდობრ, მოსაზრებისათვის, რომ თითქოს ეს თხზულება დაწერილია XVIII საუკუნეში, ასე გვიან ხანაში შეთხზული „ქართლის ცხოვრება“ კი ვერ იქნებოდა სანდო წყარო ქვეყნის ძველი ისტორიისათვის. ამასთანავე, იქმნებოდა საფუძველი თვალსაზრისისათვის, რომ ჩვენში XVIII საუკუნემდე საერთოდ არ არსებობდა საისტორიო მწერლობა.

ასეთი თვალსაზრისი „ქართლის ცხოვრების“ შესახებ ყველაზე აშკარად გამოთქვა ცნობილმა ორიენტალისტმა, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა ოსიპ სენკოვსკიმ (58. 154-172), რომელიც, თვლიდა რა „ქართლის ცხოვრება“-ს ფაქტობრივად ზღაპრად, ასკვნიდა, რომ ქართველები ალექსანდრე მაკედონელიდან ვიდრე პეტრე დიდამდე მშვიდად ცხოვრობდნენ ყოველგვარი მატანების გარეშე (58, 130).

სენკოვსკის არამეცნიერული შეხედულების საპირისპირო თვალსაზრისი განავითარა ცნობილმა ფრანგმა ქართველოლოგმა მარი ბროსემ, რომელსაც უდიდესი დამსახურება მიუძღვის საერთოდ ქართველოლოგიის როგორც სამეცნიერო დისციპლინის განვითარებისა და საკუთრივ „ქართლის ცხოვრების“ მეცნიერული შესწავლის საქმეში.

მარი ბროსეს, რომელიც 1880 წელს გარდაიცვალა და ვახტანგის წინააღმდეგი ნუსხების აღმოჩენას ვერ მოეწერო, ხელთ ჰქონდა „ქართლის ცხოვრების“ მხოლოდ ვახტანგის შემდეგდროინდელი ნუსხები. თავდაპირველად მარი ბროსეც ფიქრობდა, რომ „ქართლის ცხოვრება“ ვახტანგის მიერაა შედგენილი და მას „ვახტანგის ქრონიკასაც“ უწოდებდა, მაგრამ საკუთრივ „ქართლის ცხოვრების“ და სხვა წყაროების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ვახტანგის დროს შედგენილი საისტორიო თხზულება, რომელსაც „ქართლის ცხოვრება“ ეწოდება, დაწერილია ძველ ქართულ საისტორიო თხზულებებზე და სხვა წყაროებზე დაყრდნობით. მარი ბროსემ აღნიშნა, რომ ვახტანგამდე არსებობდა არა მხოლოდ ცალკეული ცნობები საქართველოს შესახებ, არამედ იყო ქართული მატანებიც, და არსე-

ბობდა მატთანე, რომელსაც ეწოდებოდა „ქართლის ცხოვრება“. ამ თვალსაზრისის გამოთქმის უფლებას აძლევდა ძველი სომეხური საისტორიო წყაროების, სახელდობრ, მხითარ აირივანელის, გარდან დიდის, სტეფანოზ ორბელიანის და სხვა ავტორთა საისტორიო თხზულებების მონაცემები. მარი ბროსემ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი სტეფანოზ ორბელიანი ასახელებს ამ თხზულებას და მას სწორედ „ქართლის ცხოვრებას“ უწოდებს.

მარი ბროსემ ყურადღება მიაქცია აგრეთვე ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრების“ შესავალს, სადაც აღნიშნულია, რომ ვახტანგმა „შეკრიბნა მეცნიერნი კაცნი და მოიხუნა, საცა რამ ქართლის ცხოვრებაეი პოვნა“, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ კომისიის ხელთ პქონდა მანამდე დაწერილი „ქართლის ცხოვრებაეი“, რომლებითაც ის სარგებლობდა თავისი „ქართლის ცხოვრების“ შედგენის დროს.

მარი ბროსეს თვალსაზრისი კიდევ უფრო განმტკიცდა ე. წ. „სომხური ქრონიკის“ აღმოჩენის შემდეგ, რომლის შესახებ ცნობა და ხელნაწერის აღწერილობა მას პირველად 1838 წელს მიაწოდა პლატონ იოსელიანმა. 1845 წელს ვენეციაში, XVII საუკუნის ხელნაწერში ბროსემ მიაკვლია ამ „ქრონიკის“ მეორე ნუსხას. მანვე 1848 წელს ეჩმიადინის წიგნთსაცავში მოიპოვა „ქართლის ცხოვრების“ სომხური თარგმანის კიდევ ერთი ნუსხა, რომელიც 1279—1311 წლებით დაათარიღა.

ამ თხზულების ანალიზის საფუძველზე მარი ბროსემ დაასკვნა, რომ ეს არის ქართული „ქართლის ცხოვრების“ შემოკლებული სომხური თარგმანი, შესრულებული XII საუკუნის მეორე ნახევარში (8, XI — XV; 59, 98; 60, 86-88; 67, 39-40).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ვახტანგის წინაღობინდელი ნუსხების არარსებობის პირობებში მარი ბროსემ ძირითადად მართებულად განსაზღვრა ვახტანგის კომისიის მიერ ჩატარებული სამუშაოს ხასიათი, სახელდობრ: რომ მათ დაყვეს ტექსტი მეფეთა ზეობის მიხედვით, დინასტიების მითითებით, განახორციელეს ერთნაირ სახელთა მქონე მეფეების ნუმერაცია...

ვახტანგის წინაღობინდელი ნუსხების არარსებობის პირობებ-

ში შეუძლებელი იყო მსჯელობა ვახტანგის კომისიის მიერ ტექსტში შეტანილი მასალის რაობაზე, მის რაოდენობასა და ხარისხზე (67, 40-41). აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სრულიად მართებული იყო სულხან ბარათაშვილის (ბარათოვის) აზრი, რომ ვახტანგის კომისიის მიერ ჩატარებული სამუშაოს მნიშვნელობაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა მსჯელობა, „ქართლის ცხოვრების“ ძველი ხელნაწერები რომ გვექონოდა ხელთ (64, 3; 67, 41).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მარი ბროსე თვლიდა, რომ სომხური „ქართლის ცხოვრება“ არის ქართული „ქართლის ცხოვრების“ შემოკლებული სომხური თარგმანი და ამ თარგმანის მის ხელთ არსებულ უძველეს ხელნაწერს ის ათარიღებდა 1279 — 1311 წლებით (6, 62; 7; 8, XVIII). მარი ბროსემ 1851 წელს „ქართლის ცხოვრების“ სომხური თარგმანის ფრანგული თარგმანი გამოსცა.

მარი ბროსეს გამოკვლევების შემდეგ თითქოს სადავო აღარ უნდა ყოფილიყო ის გარემოება, რომ ქართველებს საკუთარი ისტორია XVIII საუკუნეზე ბევრად ადრე ჰქონდათ დაწერილი, მაგრამ ამ საკითხზე სრულიად განსხვავებული თვალსაზრისი ჰქონდა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორს ქ. პატკანოვს. პატკანოვი სხვაგვარად აფასებდა „სომხურ ქრონიკას“ და თვლიდა, რომ ეს იყო XII საუკუნეში სომეხი ბერის მიერ ქართველების დაკვეთით დაწერილი მოკლე ქართული მათიანე. ქ. პატკანოვი ფიქრობდა, რომ „ქართლის ცხოვრების“ გვიანდელი ვრცელი რედაქცია, ე. ი. ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრება“ ამა თუ იმ ზომით, ემყარებოდა ე. წ. „სომხურ ქრონიკას“ (9, 199-212).

ქ. პატკანოვის თვალსაზრისი „ქართლის ცხოვრების“ შესახებ სამართლიანად და მკაცრად იქნა გაკრიტიკებული გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძის (61; 124. 38-58) და ილია ჭავჭავაძის მიერ (45).

„ქართლის ცხოვრების“ ვახტანგ მეფის და მისი კომისიის მიერ შეთხზვის საკითხი მთლიანად მოიხსნა მას შემდეგ, რაც 1884 წელს დიმიტრი ბაქრაძემ მიაკვლია „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერს, რომელიც XVII საუკუნეში იყო გადაწერილი.

„ქართლის ცხოვრების“ დიმიტრი ბაქრაძის მიერ მოპოვებულ

ნუსხას ეწოდა მარიამისეული „ქართლის ცხოვრება“, რადგან ის გადაწერილია ქართლის მეფის როსტომის (1633 — 1658 წწ.) მეუღლის, დადიანის ქალის, მარიამ დედოფლის ბრძანებითა და საფასით, როგორც ვარაუდობენ 1633 — 1645 წლებში (5, 115).

„ქართლის ცხოვრების“ ვახტანგის წინაღობინდელ ნუსხათაგან, როგორც უკვე ითქვა, ყველაზე ადრე (1884 წ.) მარიამისეული ნუსხა აღმოჩნდა. ამ აღმოჩენას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საერთოდ ქართული კულტურის ისტორიისათვის, კერძოდ, იმ დისკუსიისათვის, რომელიც XIX საუკუნეში მიმდინარეობდა „ქართლის ცხოვრების“ ირგვლივ. ამ ნუსხის მოპოვებამ უდავოდ აშკარა გახადა, რომ „ქართლის ცხოვრება“ XVII საუკუნეში, ჯერ კიდევ ვახტანგის დაბადებამდე ბევრად ადრე არსებობდა. საკითხის სხვა მხარე იყო, თუ საერთოდ როდის შეიქმნა ეს „ისტორია“.

„ქართლის ცხოვრების“ შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვახტანგის წინაღობინდელი სხვა ნუსხების მოპოვებასაც.

1913 წელს ივანე ჯავახიშვილმა ი. ა. ჯამბაკურ-ორბელიანის საოჯახო წიგნთსაცავში მიაკვლია „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერს, რომელსაც ეწოდა ანასეული „ქართლის ცხოვრება“, რადგან ის გადაწერილია ალექსანდრე მეფის (1476 — 1511 წწ.) მეუღლის, დედოფალ ანას დაკვეთით და საფასით. ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით ეს ნუსხა გადაწერილი უნდა იყოს 1479 — 1495 წლებში (არა უგვიანეს 1500 წლისა). ამ ხელნაწერის გადამწერს, მისი ვარაუდით, ხელთ უნდა ჰქონოდა „ქართლის ცხოვრების“ 1220 — 1223 წლებში დამთავრებული ხელნაწერი (1, 304—305).

„ქართლის ცხოვრების“ დღემდე ცნობილ ნუსხათა შორის აღნიშნული ხელნაწერი უძველესია.

სარგის კაკაბაძე ამ ანასეულ ნუსხას XVI საუკუნის მესამე მეოთხედით ათარიღებდა და თვლიდა, რომ ის უცვლელადაა გადაწერილი XV საუკუნის დასასრულის ხელნაწერიდან (10, 172). XVI საუკუნით ათარიღებენ ამ ნუსხას რამაზ პატარიძე და ნოდარ შოშიაშვილი. ნ. შოშიაშვილი თვლის, რომ ეს ნუსხა (ხელნაწერთა ინსტიტუტი, Q=795) არის არა „ანასეული ქართლის ცხოვრება“, არამედ „ანასეული ქართლის ცხოვრების“ შევსებული პირი,

რომელიც შედგენილია XVI საუკუნის ბოლოს ან XVII საუკუნის პირველ ნახევარში. თვით „ანასეული ქართლის ცხოვრება“, ნ. შოშიაშვილის აზრით, გადაწერილია XII საუკუნის დედნიდან და დავით აღმაშენებლის ისტორიის ჩათვლით მასში დაცულია XII საუკუნის ტექსტი, ხოლო ე. წ. ლაშა გაორგის დროინდელი შემართიანის თხზულება მასში XVI საუკუნის ბოლოს, ან XVII საუკუნის დასაწყისშია შეტანილი (11, 45—55).

1923 წელს ივანე ჯავახიშვილმა მოკვლია „ქართლის ცხოვრების“ კიდევ ერთ ვახტანგის წინადროინდელ ნუსხას. ეს ნუსხა ორი ნაწილისაგან შედგება. ხელნაწერს „ძველი ქართლის ცხოვრების“ მომკველი ნაწილი, ივანე ჯავახიშვილს ვარაუდით, XVI—XVII საუკუნეებს უნდა ეკუთვნოდეს (1, 374), ხოლო კ. გრიგოლიას აზრით 1561—1570 წლებში შეიძლება იყოს გადაწერილი, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს XVI საუკუნის მეორე ნახევრისა (5, 111), ხოლო ახალი ნაწილი გადაწერილია 1731 წელს ერაჯ ქალაშვილის მიერ და ამიტომ ეწოდა ამ ნუსხას ქალაშვილისეული (1, 374).

„1942 წელს — წერს ს. ყაუხჩიშვილი — ჩვენ გავეცანით „ქართლის ცხოვრების“ ახალ ნუსხას, რომელიც 1735 წელს გადაუწერია მოსკოვში გიორგი მაჩაბელს“ (4, 020). ეს ე. წ. მაჩაბლისეული ნუსხა (მისი უდიდესი ნაწილი) არჩილ მეფის¹ კუთვნილია ხელნაწერის პირს წარმოადგენს, რომელსაც „შედგენილობისა და მოცულობის თვალსაზრისით ზუსტად ის სახე ჰქონია, რაც დღეისათვის მარიაშვილის დედოფლისეულ ხელნაწერს გააჩნია“ (5, 116-120). ასე რომ მაჩაბლისეული „ქართლის ცხოვრების“ ძველმა ნაწილმა ფაქტობრივად ვახტანგის წინადროინდელი კიდევ ერთი ნუსხის ტექსტი შემოგვინახა.

ძველი „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგის წინადროინდელი კიდევ ერთი ნუსხა მოიპოვა ა. კლიმიაშვილმა. ეს ნუსხა ახლო დგას მარიაშვილისეულ ნუსხასთან. მას „მცხეთური“, ან უფრო ზუსტად „მცხეთური“ ნუსხიდან 1697 წელს გადაწერილი პირი ეწოდება (12, 371-372; 13, 48).

¹ არჩილ მეფე, შაჰნავაზი, ვახტანგ V-ის ძე. სტავროპოლის დროს შეფობდა იმერეთში, კახეთში, 1685 წელს გადასახლდა მოსკოვში, გარდაიცვალა 1713 წ.

ამ ნუსხებს ვარდა „ქართლის ცხოვრების“ ამჟამად ცნობილმა ყველა ხელნაწერმა გაიარა XVIII ს., ვახტანგის კომისიის და შემდგომი ხანის რედაქტირება-შეესება-შესწორება.

აღსანიშნავია, რომ ვახტანგს პირადად ჰქონია ხელთ „ქართლის ცხოვრების“ მარცამ-სველი ნუსხა და ხელნაწერის კიდებზე შენიშვნები და მინაწერები უკეთებია, რაც შემდეგ გამოყენებულია რედაქციის დროს (67, 34).

ამჟამად არსებობს ვახტანგის შემდეგდროინდელი „ქართლის ცხოვრების“ რამდენიმე ხელნაწერი, რომელთაგან კ. გრიგოლიას ვარაუდით ყველაზე ადრინდელი უნდა იყოს 1699 — 1703 წლებში გადაწერილი ე. წ. რუმინანცვერსელი ნუსხა, რომელსაც „მეცნიერ კაცთა“ კომისია უშუალოდ ვახტანგის მეთვალყურეობით ამზადებდა, და რომელმაც შემდეგ ვახტანგის ხელშიც გაიარა.

ამ ნუსხასთან ძალიან ახლოს დგას, და ალბათ მისგან მომდინარეობს, ე. წ. ჯანაშვილისეული და სხვიტორული ნუსხები. ჯანაშვილისეული ხელნაწერი 1906 წელს შეიძინა ისტორიკოსმა მოსე ჯანაშვილმა. სხვიტორული ხელნაწერი აღმოჩნდა დავით როსტომის-ძე წერეთლის პირად არქივში, რომელიც შეიძინა აკაკის სახლ-მუზეუმმა სხვიტორში (5, 136-146). ამათ ვარდა, ცნობილია ვახტანგის შემდეგდროინდელი კიდევ რამდენიმე ნუსხა, ე. წ. თეიმურაზისეული, რომელიც რედაქტირებულია თამარის ცხოვრების შუამდე, ურბნული, საეკლესიო მუზეუმის, იოანე ბატონიშვილის, ფალავანდიშვილისეული, ნინო ღვდოფლის ნუსხიდან მომდინარე ხელნაწერები (5, 123-191), ბარათაშვილისეული (66, 202-217), დადიანისეული (66, 419-429) და სხვ.

მართალია, ნუსხათა ურთიერთმიმართების, მათი დათარიღების საკითხში რაც მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, მაგრამ, ვფიქრობ, ძირითადად მართებული უნდა იყოს კ. გრიგოლიას თვალსაზრისი, რომელმაც მონოგრაფიულად შეისწავლა ეს საკითხი, და რომლის ხელში იმაზე მეტი ხელნაწერები იმყოფებოდა, ვიდრე მის წინამორბედთა განკარგულებაში (5, 123-196).

„ქართლის ცხოვრებაზე“ XVIII საუკუნეში, ვახტანგის შემდეგაც გრძელდებოდა გარკვეული მუშაობა, მაგრამ ეს მუშაობა,

ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, მასში ახალი ჩანარების შეტანით, ფაქტობრივად მისი გავრცობით შეზღუდვარგლა.

ვახტანგის და მისი კომისიის მიერ ჩატარებულ სამუშაოს კი ეტაპური მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ეროვნული ისტორიის ამ უნიკალური ძეგლის შესწავლა-დამუშავების საქმეში.

XIX საუკუნეში „ქართლის ცხოვრება“ მოექცა ქართველი და უცხოელი მკვლევრების ყურადღების არეში, რაც უშთავრესად გაპირობებული იყო ევროპული და რუსული აღმოსავლეთმცოდნეობის დაინტერესებით, საერთოდ ქართული კულტურით და, აგრეთვე, ჩვენში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობით, საკუთარი თავის შემეცნებას, საკუთარი ერის ისტორიის შესწავლის აუცილებლობის შეგნების წილით.

ამ ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა „ქართლის ცხოვრების“ გამოცემას, ფრანგულად თარგმნას, კომენტირებას, „ქართლის ცხოვრების“ ძველი ნუსხების მოპოვებას და შესწავლას (14; 15; 16; 17; 18, I-XL).

მართალია, „ქართლის ცხოვრების“ პირველი გამოცემა (ბროსესეული) ვახტანგისეული ნუსხებით განხორციელდა¹, ვახტანგისეული ვარიანტებიდან იყო შესრულებული ბროსესეული ფრანგული თარგმანიც, მაგრამ ამ ფაქტს მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ამ ძეგლის შესწავლის, ისე მისი ფართო სამეცნიერო ასპარეზზე გატანისათვის.

„ქართლის ცხოვრების“ შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ ძეგლის სომხურ თარგმანს, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, XII საუკუნის მეორე ნახევარში უნდა იყოს შესრულებული (104, 223-233). სომხური თარგმანი, რომე-

¹ ბროსესეული გამოცემა განხორციელდა ვახტანგისეული სამი ხელნაწიდან: რუმინევისეული, თეიმურაზისეული და ფლავიანოვილიისეული (5, 123, 155, 180). რუმინევისეული ნუსხა იმერეთის მეფის სოლომონ I კუთვნილება ყოფილა. XIX საუკუნის დამდეგს ის თეიმურაზ ბატონიშვილს პეტერბურგში შეუძენია ვილაც გერმანელიდან. თეიმურაზმა გრაფ ნიკოლოზ პეტრეს-ძე რუმინევეს აჩუქა და აქედან მოსკოვში რუმინევეის მუზეუმში მოხვდა. 1923 წელს სხვა ქართულ ხელნაწერებთან ერთად ინიშნული ნუსხა სამშობლოში დააბრუნეს და ამჟამად სსსრ მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება.

ლშიც დატულია „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი უძველესი რეც დაქცია, ჩვენამდე მოღწეულია 1273 — 1311 წლებში შესრულებული ხელნაწერით, ე. ი. ის უძველესია დღეისათვის ჩვენთვის ცნობილ „ქართლის ცხოვრების“ ნუსხათა შორის. თარგმანი, მართალია, დღეს ჩვენ ხელთ მყოფ „ქართლის ცხოვრების“ ყველა ნუსხებზე უფრო მოკლეა, მაგრამ მასში წარმოდგენილია კრებულში შესული ყველა პირველი თხზულება დავით აღმაშენებლის ისტორიის ჩათვლით. ჩანს, ტექსტი შემოკლებულია მთარგმნელის მიერ, თუმცა, არც ის ვარაუდია გამოსარიცხი, რომ XII ს. მთარგმნელს „ქართლის ცხოვრების“ ასეთი ვარიანტი ჰქონდა ხელთ.

„ქართლის ცხოვრების“ სომხური ვარიანტი 1851 წელს თარგმნა ფრანგულად და გამოსცა მარი ბროსემ, ხოლო 1953 წელს ილია აბულაძემ გამოსცა ეს სომხური თარგმანი, ქართული თარგმანით და შესაბამისი ტექსტით „ძველი ქართლის ცხოვრებიდან“, მანვე დაურთო ამ გამოცემას საფუძვლიანი გამოკვლევა თარგმანის და მისი მნიშვნელობის შესახებ (43).

„ქართლის ცხოვრების“ შესწავლის თვალსაზრისით დიდი სამუშაო ჩაატარეს XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის მკვლევარებმა: დ. ბაქრაძემ, მ. ჯანაშვილმა, თ. ჟორდანიამ, ე. თაყაიშვილმა და სხვებმა.

დimitრი ბაქრაძემ მნიშვნელოვანი გამოკვლევები უძღვნა ამ ჩვენ ეროვნულ ისტორიას ჯერ კიდევ მარიამისეული ნუსხის აღმოჩენამდე (44, 59-68; 59, 102-105).

მან აღმოაჩინა მარიამისეული ნუსხა 1884 წ. და პირველმა შეაფასა ის. მიუთითა მის დიდ მეცნიერულ ღირებულებაზე და ნუსხის გადაწერა 1636 — 1646 წლებით დაათარიდა (61). თედო ჟორდანიას აზრით, მარიამისეული „ქართლის ცხოვრება“ 1638 — 1645 წლებს შუა უნდა იყოს გადაწერილი (18, V), ექვთიმე თაყაიშვილის აზრით, 1638 — 1646 წწ. შუა (67, 34), კოტე გრიგოლიას აზრით, ეს ნუსხა 1633—1646 წლებშია გადაწერილი (5, 94, 115), ხოლო გიული ალასანიას ვარაუდით, 1634 — 1645 წწ. (125, 90).

დimitრი ბაქრაძემ შეადარა რა, ერთმანეთს მის მიერ აღმოჩენილი მარიამისეული „ქართლის ცხოვრება“ ვახტანგისეულ ნუს-

ხებს და ბროსესეულ ნაბეჭდ ტექსტს, აღნიშნა. რომ მარიამისეული ნუსხის ტექსტი გიორგი ბრწყინვალეს მეფობაზე თავდებოდა. სწორედ ამ გარემოებასთან დაკავშირებით წერს თედო ჟორდანიას: „უნდა დავასკვნათ, რომ ქვემარტი ყოფილა ვახუშტის ცნობა შესახებ იმისა, რომ გიორგი ბრწყინვალემდე ქართლის ცხოვრება დაწერილი იყო, ხოლო გიორგი ბრწყინვალემდე ვახტანგ მეფის ბრძანებით შეუდგენიათ ქართლის ცხოვრება სხვადასხვა წყაროებითა“ (18, V).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნის ყველა ქართველი მკვლევრის აზრით „ქართლის ცხოვრების“ ცალკეული ნაწილები თანამედროვეთა და თვითმხილველთა მიერაა დაწერილი (ზე, 102-103; 18).

მას შემდეგ რაც აშკარა გახდა, რომ „ქართლის ცხოვრება“, როგორც საისტორიო თხზულებათა კრებული არსებობდა ბევრად ადრე ვიდრე ვახტანგ მეფის მიერ შედგენილი კომისია დაიწყებდა მასზე მუშაობას, მკვლევართა წინაშე „ქართლის ცხოვრებასთან“ დაკავშირებული რიგი სხვა საკითხები წამოიჭრა.

დიდი მუშაობა გასწია ამ ძეგლზე თედო ჟორდანიამ. მან საგანგებოდ შეისწავლა კრებულის როგორც პირველი (უძველესი დროიდან XIV საუკუნემდე), ისე მეორე ნაწილი და არაერთი ანგარიშგასაწევი მოსაზრება წამოაყენა კრებულში შესულ ცალკეულ თხზულებათა ურთიერთმიმართების, მათი ავტორების სავარაუდო ვინაობის თუ სხვა საკითხთა შესახებ (18; 62; 63, 563-595).

თედო ჟორდანიას ერთი ფრიად საინტერესო გამოკვლევა, მონოლოთა მფლობელობის დროინდელ მოვლენებს რომ ეხება (ე. წ. ეამთააღმწერლის თხზულება, „ასწლოვანი მატთანე“), დიდი ხნის მანძილზე ხელნაწერის სახით არსებობდა მის არქივში, და მოგვიანებით გივი ჟორდანიამ და შოთა ხანთაძემ შეიტანეს მათ მიერ გამოცემულ თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ III წიგნში, რომელიც 1967 წელს გამოიცა (63, 556-595).

მართალია, სულხან ბარათაშვილს, იგივე ბარათოვს (1821 — 1866 წწ.) „ქართლის ცხოვრება“ საგანგებოდ არ შეუსწავლია, მაგრამ ამ ძეგლის შესახებ ფრიად საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული. სულხან ბარათაშვილი, განიხილავდა რა ამ თხზუ-

ლებას, როგორც წყაროს საქართველოს ისტორიისათვის, ჯერ კიდევ 1865 წელს წერდა, რომ „ქართლის ცხოვრება“ უკვე XIII საუკუნეში იყო ცნობილი ამავე სახელწოდებით, ხოლო XVIII საუკუნეში ის შეცვლილ, თუ შესწორებულ იქნა ვახტანგ VI კომისიის მიერ (64, 2). აღსანიშნავია, რომ ს. ბარათაშვილი ვერ მოესწრო ვახტანგისწინადროინდელი ნუსხის აღმოჩენას, მაგრამ ასეთ დასკვნამდე სხვადასხვა წერილობითი წყაროებისა და თვით ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრების“ ანალიზის საფუძველზე მივიდა. მისი მართებული შენიშვნით, პასუხის გაცემა კითხვაზე, თუ რა მივიღეთ ამ კომისიის მუშაობის შედეგად, „ქართლის ცხოვრების“ შესწორებული თუ შერყენილი ვარიანტი, შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, ხელთ ამ თხზულების ძველი ვარიანტი რომ გვქონოდა (63, 3; 59, 101).

როგორც ვხედავთ, სულხან ბარათაშვილს ექვი არ ეპარებოდა, რომ „ქართლის ცხოვრება“ არსებობდა ვახტანგამდე და თუ უფრო ადრე არა XIII საუკუნეში მაინც. ამასთანავე, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ის მართალია კრიტიკულად, მაგრამ საკმაოდ ვრცლად იყენებდა „ქართლის ცხოვრების“ ცნობებს საქართველოში ძველი ისტორიისათვის (64), ხოლო შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის „ქართლის ცხოვრების“ ცნობები მას ძირითად წყაროდ მიაჩნდა (65, 1).

„ქართლის ცხოვრებას“ როგორც საისტორიო წყაროს მაღალ შეფასებას აძლევდნენ რიგი ევროპელი აღმოსავლეთმცოდნეები, ჟან სენ მარტენი (1791 — 1832 წწ.), ვივიენ დე სენ მარტენი (1802 — 1897 წ. წ.), შარლ ვიქტორ ლანგლუა (1863 — 1929 წწ.), ისინი განსაკუთრებით ანგარიშგასაწევად თვლიდნენ „ქართლის ცხოვრების“ ცნობებს უძველესი ისტორიისათვის (59, 99-100).

„ქართლის ცხოვრების“ ცნობების მნიშვნელობას, საკუთრივ ოსეთის ისტორიისათვის, საგანგებო ყურადღება მიაქცია ცნობილმა მკვლევარმა ვ. ფ. მილერმა (126), რომელიც წერს, რომ ქართულ წერილობით წყაროებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ოსი ხალხის უძველესი ისტორიისათვის.

„ქართლის ცხოვრების“ შესწავლისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ექვთიმე თაყაიშვილის გამოკვლევებს. მისი „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერთა „აღწერილობანი“ არ არის ხელნაწერთა მხოლოდ ფორმალური აღწერა. „აღწერილობებში“ მას გამოთქმული აქვს ფრიად ანგარიშგასაწვევი მოსაზრებანი ამ ხელნაწერთა დათარიღების, მათი ურთიერთმიმართების, მნიშვნელობის შესახებ (66; 67).

ე. თაყაიშვილმა ყურადღება მიაქცია იმ სხვადასხვა წყაროთა ცნობებს, რომელნიც მიუთითებენ „ქართლის ცხოვრების“ ე. წ. „მცხეთური“ (სვეტიცხოვლის) ნუსხის არსებობაზე, მიუთითა ვახტანგ VI მიერ მარიამისეული ნუსხის კიდევებზე გაკეთებულ შენიშვნებზე და მათ მნიშვნელობაზე ამ ძეგლის შესწავლისათვის. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მის მიერ 1906 წელს მარიამისეული ნუსხის გაპოცემას სათანადო კითხვასხვაობებითა და შენიშვნებით.

„ქართლის ცხოვრების“ შესწავლის საქმეში განსაკუთრებული ივანე ჯავახიშვილის წვლილი, რომელმაც ჩვენი ისტორიისათვის ამ უმნიშვნელოვანესი ძეგლის კვლევა იმდროინდელი მეცნიერული წყაროთმცოდნეობის საფუძველზე დააყენა და საგანგებო გამოკვლევები უძღვნა როგორც საერთოდ „ქართლის ცხოვრების“ მთლიან შეფასებას, ასევე მასში შესული თხზულებების ისტორიოკრაფიულ და წყაროთმცოდნეობით ანალიზს (1).

დიდი წვლილი შეიტანეს „ქართლის ცხოვრების“ შესწავლის საქმეში კორნელი კეკელიძემ (19), პავლე ინგოროყვამ (20), გიორგი პელიქიშვილმა (21). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სიმონ ყაუხჩიშვილის დამსახურება. „ქართლის ცხოვრების“ მისმა გამოცემებმა და გამოკვლევებმა (4; 40) მნიშვნელოვნად წასწიეს წინ ტექსტის კვლევის, და საერთოდ, ამ ძეგლის შესწავლის საქმე. კ. გრიგოლიას მონოგრაფიამ (5) და მისმა სხვა გამოკვლევებმა „ქართლის ცხოვრების“ ნუსხათა შესწავლის, ვახტანგის კომისიის მიერ ჩატარებული დიდი სამუშაოს წარმოჩენის მიზნით, თუ მისმა სხვა ნაშრომებმა „ქართლის ცხოვრებასთან“ დაკავშირებულ არაერთ ბუნდოვან საკითხს მოჰფინა შუქი, კერძოდ, გარკვეულია, თუ რა სამუშაო ჩატარდა „ქართლის ცხოვ-

2 მ. ლორთქიფანიძე

რებაზე“; მის ტექსტზე, საკუთრივ ვახტანგის კომისიის და XVIII საუკუნის სხვა რედაქტორთა მიერ. ამ კრებულის შესწავლის და მისი პოპულარიზაციის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კ. გრიგოლიას წიგნმა „რას მოგვითხრობს ქართლის ცხოვრება“ (111).

„ქართლის ცხოვრების“ კრებულის მეცნიერული შეფასების, მისი რიგი ადგილების გამართვის, ცალკეულ თხზულებათა შეფასების თვალსაზრისით მნიშვნელოვან კვლევას აწარმოებს იევაზ კიკნაძე (2; 77).

„ქართლის ცხოვრების“ შემადგენელი რიგი თხზულებების შესახებ საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ანრი ბოგვერაძეს (26; 73). „ქართლის ცხოვრებაში“ საქართველო-სომხეთის ურთიერთობის პრობლემის შესწავლას ეძღვნება ალექსანდრე აბდალაძის მონოგრაფია (36).

„ქართლის ცხოვრების“ როგორც წყაროს შესწავლის, ამ თხზულების ისტორიოგრაფიული დახასიათების საკითხები გაშუქებულია არჩილ ბარამიძის (59), შოთა ხანთაძის (20) და სხვათა ნაშრომებში.

„ქართლის ცხოვრების“ რიგი ძველი ნუსხების ურთიერთმიმართების და მათი შეფასების თვალსაზრისით საინტერესო მოსაზრებანი აქვს გამოთქმული საურმაგ კაკაბაძეს (10; 13).

„ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესულ ცალკეულ თხზულებათა შეფასება, მეცნიერული ანალიზი, ავტორთა ვინაობის, თხზულებათა დაწერის თარიღის დადგენის ცდა არაერთი ისტორიკოსის და ფილოლოგის შრომაში იჩენს თავს. „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესული ზოგიერთი ნაწარმოების ცალკეული ნაწილების მხატვრული ღირებულება და მნიშვნელობა სათანადო სპეციალისტთა საგანგებო შესწავლის საგანია (69; 129, 57-72).

თუ რა გავაიდა „ქართლის ცხოვრების“ მეცნიერული შესწავლის თვალსაზრისით საბჭოთა საქართველოში საფუძვლიანადაა წარმოდგენილი იევაზ კიკნაძისა და მარინა ჩხარტიშვილის სტატიები (112, 102-107). საგანგებოდ შეისწავლება „ქართლის ცხოვრების“ წყაროების (78; 91; 108; 109; 110), კრებულში შესულ თხზულებათა ავტორების მიერ ქართული თუ უცხოური წყაროების გა-

მოყენების და წყაროებზე მითითების წესი (105. 83-90; 118; 119, 150-155), რიცხვთა მისტიკის (106, 33-43; 92), ქრონოლოგიის (107, 138-143) და სხვა საკითხები.

უკანასკნელ ხანს ტარდება „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესულ თხზულებათა სტატისტიკური კლასიფიკაციის ცდები, რომელნიც მიზნად ისახავენ თხზულებათა ურთიერთმიმართების, ავტორთა ვინაობის და რიგი სხვა საკითხების გარკვევას (113, 52-79).

„ქართლის ცხოვრების“ შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება „ქართლის ცხოვრების“ სიმფონია-ლექსიკონის შედგენას. უკვე გამოიცა „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს, „არჩილის წამების“ (120) და „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისას“ (121) სიმფონია-ლექსიკონები. „სიმფონია-ლექსიკონებზე მუშაობისას ახლებურად დაიწყო ტექსტთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, გასწორდა მცდარად გაგებული არაერთი ადგილი“ (121, 4).

ასრთა სხვადასხვაობის გამო სსსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში სავანგებო დისკუსია ჩატარდა „ქართლის ცხოვრების“ ირგვლივ, რომლის მასალები „მაცნეს“ (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია) 1969 წლის № 1 გამოქვეყნდა, იმავე „მაცნეში“ (1967 წ. № 4) „ქართლის ცხოვრების“ პრობლემებს, რამდენიმე საღისკუსიო სტატია მიუძღვნა (138).

სპეციალისტთა მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად ამ უნიკალურმა ძეგლმა სამართლიანად დაიმკვიდრა საპატიო ადგილი ქართულ შუასაუკუნოვან ისტორიოგრაფიაში.

„ქართლის ცხოვრებასთან“ დაკავშირებულ რიგ მნიშვნელოვან საკითხებს გაცა პასუხი, მაგრამ საუკუნეთა მანძილზე გადამწერთა თუ რედაქტორთა მიერ ძირითად ტექსტში შეტანილი კონიექტურები, ჩანართები, შესწორებები, ნებსიოი თუ უნებლიე შეცდომები, ძველ, XV საუკუნეზე ადრინდელ ხელნაწერთა არარსებობა დიდ სიძნელეებს ქმნის და საფუძველს იძლევა რიგ საკითხებზე ასრთა სხვადასხვაობისათვის.

„ქართლის ცხოვრების“ კრებულის თავდაპირველი შედგენისა და თანდათანოვითი შევსების საკითხისათვის

„ქართლის ცხოვრების“ შესწავლის მიზნით ჩატარებულმა მუშაობამ, განსაკუთრებით ვახტანგის წინადროინდელი ნუსხების აღმოჩენამ და შესწავლამ, შესაძლებელი გახადა „ქართლის ცხოვრებასთან“ დაკავშირებული რიგი საკითხების გარკვევა, გადაწყდა პირველი და უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომ „ქართლის ცხოვრება“ არსებობდა ბევრად ადრე ვახტანგამდე, მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, საკითხთა მთელი წყება ისევ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.

ერთი ასეთი საკითხია, „ქართლის ცხოვრების“ კრებულის თავდაპირველი შედგენის თარიღის დადგენის და შემდგომ მისი თანდათანოვანი შევსების საკითხი.

„ქართლის ცხოვრების“, ერის ერთიანი ისტორიის ამსახველი კრებულის თავდაპირველი შედგენის დათარიღების საკითხში მკვლევართა შორის აზრთა დიდი სხვადასხვაობაა.

„ქართლის ცხოვრების“ კრებულის თავდაპირველ შედგენას ვ. ღონდუა VII—VIII საუკუნეებით ათარიღებს, გ. მელიქიშვილი VIII—IX საუკუნეთა მიჯნით, პ. ინგოროყვა X საუკუნით, კ. გრიგოლია, ა. ნოვოსელცევი, ნ. ბერძენიშვილი XI საუკუნის მიწურულით, შ. მესხია და ვ. გუჩუა XI—XII საუკუნეთა მიჯნით, ივ. ჯავახიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი... XII საუკუნით, კ. კეკელიძე XII საუკუნის მეორე ნახევრით, რ. კიკნაძე დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის ხანით, საკუთრივ XII საუკუნის პირველი მეოთხედით (2, 14—17). გ. წულაია ვარაუდობს, რომ „ქართლის ცხოვრების“ შედგენა დაიწყო XII საუკუნეში და განახლდა არა უგვიანეს XIV

საუკუნისა, როდესაც კვლავ აღსდგა მონღოლთა მფლობელობის დროს შეწყვეტილი კულტურული ცხოვრება (34, 3).

„ქართლის ცხოვრება“ რომ კრებულია და არა ერთიანი თხზულება, რაც ჯერ კიდევ მარი ბროსემ აღნიშნა, ექვს არ იწვევს. არც ის იწვევს ექვს, რომ ეს კრებული თანდათან იესებოდა, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, როგორც ამ კრებულის თავდაპირველი შედგენის თარიღის, ასევე მისი თანდათან შევსების თანმიმდევრობის დროის საკითხი. აზრთა სხვადასხვაობას იწვევს საკითხი, ამ კრებულში შენსული თხზულებები საგანგებოდ „ქართლის ცხოვრებისათვის“ იწერებოდა, არსებულ საისტორიო თხზულებათაგან არჩევდნენ მასში შესატან თხზულებებს; თუ როდესაც ასეთი კრებულის შედგენა გადაწყდა, ზოგი უკვე არსებული თხზულება გააერთიანეს, ხოლო ზოგი საგანგებოდ დაწერეს ან დააწერინეს ამ კრებულისათვის.

უდავოა, რომ XII საუკუნის შუა წლებისათვის არსებობდა „ქართლის ცხოვრება“, რომელიც დავით აღმაშენებლის ისტორიით მთავრდებოდა. ამის უტყუარი საბუთი ის გარემოებაა, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიით მთავრდება „ქართლის ცხოვრების“ სომხური თარგმანი, რომელიც XII საუკუნის მეორე ნახევარშია შესრულებული (104, 223-234), და აგრეთვე ის გარემოებაც, რომ „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისწინააღმდეგელი ყველა ნუსხის შედგენილობა, დავით აღმაშენებლის ისტორიის ჩათვლით, ერთნაირია. განსხვავებანი სხვადასხვა ნუსხების შემადგენლობაში დავითის ისტორიკოსის თხზულების შემდეგ იწყება.

ასევე უდავოა, რომ არსებობდა XIV საუკუნის დამდეგს დამთავრებული „ქართლის ცხოვრება“, რასაც ადასტურებს, როგორც ასეთი შედგენილობის ნუსხათა არსებობა („მცხეთური“, მარამისეული...), ასევე სწავლულ კაცთა მიერ ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების გიორგი ბრწყინვალეს მეფობით დაწყება (1, 238-315; 4, 08-09; 21, 50; 2, 25-27). მაგრამ როდის შედგა კრებული პირველად, ან როგორ იესებოდა ის თანდათან, ამაზე ეს ნუსხები პირდაპირ პასუხს ვერ იძლევიან.

თედო უორდანიას „ქართლის ცხოვრება“, თამარის მეფობის დასაწყისამდე, ცხრა საისტორიო თხზულებისაგან შემდგარ კრე-

ბულად მიაჩნია და თვლის, რომ ყოველი თხზულება მოვლენათა თანამედროვის მიერაა დაწერილი (18, XXX-LI), ხოლო მონღოლთა მფლობელობის დროინდელი ისტორიის აღმწერი თხზულება, რომელსაც ივანე ჯავახიშვილი ეამთაღმწერლის თხზულებას უწოდებს, თედო ჟორდანიას კი „ასწლოვან მათიანეს“, მას რამდენიმე ავტორის შემოქმედებად მიაჩნია, რომელიც შემდეგ, XIV საუკუნის დასაწყისში, რედაქტირებულია ვარძიის მონასტრის მოძღვრის მიერ (63, 564-577).

ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისით, „ქართლის ცხოვრების“ ძველ ნაწილში შედის: XI ს. ავტორის, ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და თავდაპირველთა მამათა და ნათესავთა“, რომელიც მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან V საუკუნემდე, XI საუკუნის ავტორის, ჯუანშერის თხზულება „ცხოვრება და მოქალაქეობა ვახტანგ გორგასლისა“, V—VIII საუკუნეებს რომ მოიცავს, ლეონტი მროველის „წამება წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისა“, VIII საუკუნის დასასრულის მოვლენებზე რომ მოგვითხრობს, XI საუკუნის უცნობი ავტორის ე. წ. „მატიანე ქართლისა“ (სათაური პირობითია, მოგვითხრობს VIII—XI საუკუნეების ისტორიას. XI საუკუნის 70-იან წლებამდე). XII საუკუნის ანონიმის „ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი“, XI საუკუნის ავტორის, სუმბატ დავითისძის „ცხოვრება და უწყება ბატონიანთა“ (უძველესი დროიდან XI საუკუნის 30-იან წლებამდე). ე. წ. ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანის თხზულება (XII—XIII საუკუნის პირველი მეოთხედის ისტორია), თამარის ორი უცნობი ისტორიკოსის თხზულება — ე. წ. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ და „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“ (პირობით ბასილი ეზოს მოძღვრის) და მონღოლთა ასწლოვანი ბატონობის აღმწერა: ანონიმის, ე. წ. ეამთაღმწერლის თხზულება.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, თავდაპირველად, XII საუკუნეში გააერთიანეს ლეონტი მროველის და ჯუანშერის თხზულებები, არა უგვიანეს XIII საუკუნის დასაწყისისა (1223 წლამდე), დაუმატეს ე. წ. „მატიანე ქართლისა“ და დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულება, XV საუკუნის შემდეგ (XVI საუკუნის დასაწყისში, მ. ლ.) არის კრებულში შეტანილი სუმბატ დავითისძის

„ბაგრატიონთა გვარის ისტორია“, ხოლო XVI საუკუნეში (ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, 1500 — 1636 წწ.) ერთმანეთზე გადაბმული „ისტორიანი და აზმანი“ და უამთაღმწერლას თხზულება (1, 307-310).

„ქართლის ცხოვრება“ ივ. ჯავახიშვილის ამ სტკმ-თაა გამოცემული ს. ყაუხჩიშვილის მიერ (4; 40).

მართალია სადღესოდ, სამეცნიერო ლიტერატურაში „ქართლის ცხოვრების“ შედგენის დროისა და მისა შევსების შესახებ ძირითადად ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისია მიღებული, მაგრამ მას ყველა მკვლევარი არ იზიარებს.

კორნელი კეკელიძის აზრით XI საუკუნის ისტორიკოსის ლეონტი მროველის „ნეფეთა ცხოვრება“ ნოიცავს ვასტანგ გორგასლის ისტორიასაც, ხოლო იმავე XI საუკუნის ისტორიკოსის ჯუანშერის თხზულება მოიცავს მომდევნო თსრობას XI საუკუნის 70-იან წლებამდე „მატიანე ქართლისას“ ჩათვლით (19, 252-262; 22, 187-201).

პ. ინგოროყვას შეხედულებით „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესულია: „ცხოვრება (ჰამბავი) ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“, რომლის ავტორია ლეონტი მროველი. რომელსაც ჯავახიშვილისა და კეკელიძისაგან განსხვავებით პ. ინგოროყვა VIII საუკუნის ისტორიკოსად თვლის. ლეონტი მროველის თხზულების ის ნაწილი, რომელიც ქართველთა გაქრისტიანების ისტორიას ეხება, მისი აზრით, XI საუკუნეში შეუვსია იოანე დეკანოზს. პ. ინგოროყვა თვლის, რომ ამას მოსდევს IX საუკუნის ისტორიკოსის, ვინმე უჯარმელის „ჰამბავი ვასტანგ გორგასლისა“, რომელსაც აგრძელებს IX საუკუნის ავტორის, ჯუანშერის ორსაუკუნენახევრიანი ისტორია, ვასტანგ გორგასლის გარდაცვალებიდან არჩილ მეფემდე (VIII ს-ის- 50-იანი წლები) და შემდეგ მოდის ისევ ლეონტი მროველის „არჩილის წამების“ მოკლე ვარიანტი, ისიც XI საუკუნეში შევსებული იოანე დეკანოზის მიერ. პ. ინგოროყვას ვარაუდით, ეს თხზულებები X საუკუნეში გაუერთიანებიათ კრებულად და ესაა „ქართლის ცხოვრების“ პირველი ნაწილი, რომელშიც XI საუკუნეში შეტანილ იქნა იოანე დეკანოზის დამატებები. შემდეგ, მისი აზრით, XI საუკუნეში, „ქართლის ცხოვრების“ ამ პირველ ნაწილს დაუმატეს: 1) მატიანე ქარ-

თლისაჲ (წიგნი ქართველთა ცხოვრებისა არჩილ მეფისითგან ბაგრატ III-მდე, დაწერილი 1014 — 1031 წლებში); 2) ცხოვრება გიორგი I და ბაგრატ IV-ისა, ავტორი ბაგრატ IV კარზე მოღვაწეობდა, თხზულების დამუშავება დამთავრდა 1072 — 1073 წლებში; 3) ცხოვრება გიორგი II. ავტორი მოთხრობილი ამბების თანამედროვეა, წერს XI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში (20, 422-483).

ნოკ ბერძენიშვილი თვლის, რომ ჯუანშერი იგივე ლეონტი მროველია. მართალია, ის ზოგჯერ ჯუანშერსაც ახსენებს, მაგრამ ჩანს, მას ის იმავე მროველად მიაჩნია (23, 34; 24, 23).

გიორგი მელიქიშვილი თვლის, რომ „ქართლის ცხოვრების“ კრებული VIII—IX საუკუნეებში უკვე არსებობდა, თუმცა შემდეგ მას მნიშვნელოვანი ცვლილებები უნდა განეცადა, ის „უამითი-უამად“ დგებოდა და თავდაპირველად მოიცავდა ისტორიას ვახტანგ გორგასლამდე. ვახტანგ გორგასლის „ისტორია“ ცალკე ნაწარმოები იყო, ხოლო ჯუანშერმა (VIII—IX სს. მიჯნა) ამ კრებულს დაუმატა ვახტანგის შემდეგდროინდელი ისტორია, ვიდრე არჩილ მეფემდე, და მასში არჩილის წამების მოკლე თხრობაც შეიტანა (21, 52).

ამასთანავე თვალსაზრისს, რომ ლეონტი მროველის თხზულება იმ სახით, როგორც ჩვენამდეა მოღწეული VIII—IX საუკუნეებში ვერ დაიწერებოდა, სხვა ავტორებიც უკერენ მხარს (24, 11-12; 35, 283-284; 34, 10).

ლეონტი მროველი არ მიაჩნია ვახტანგ გორგასლის ისტორიის ავტორად გივი წულაიას, რომელსაც გამოთქმული აქვს თავისი აზრი აგრეთვე ვახტანგ გორგასლის ისტორიის ხასიათის, მოცულობის, თხზულების დაწერის დროის შესახებ. გ. წულაია ჯუანშერის შრომად მიიჩნევს მხოლოდ ვახტანგის მშობლების (რომელსაც ის პრეამბულას უწოდებს) და საკუთრივ ვახტანგ გორგასლის „ისტორიას“, რომლის შემდეგ, მისი აზრით, იწყება ე. წ. „ფსევდო ჯუანშერის“ თხზულება, რომელიც ორ ნაწილად იყოფა (55, 7-54).

„ქართლის ცხოვრების“ ძველი ნაწილის შესწავლის საფუძველზე ანრი ბოგვერაძე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „მეფეთა ცხოვრება“ ერთი მთლიანი, განუყოფელი ნაწარმოებია, უძველესი

დროიდან VIII საუკუნის ბოლომდე (26, 17), რომ ამ „პირველი მატიანის ავტორი უნდა იყოს მწერალი დაახლოებით XI საუკუნის 60—70-იანი წლებისა“ და რომ ეს ისტორიკოსი ლეონტი მროველია (26, 40-41).

კ. გრიგოლიას ვარაუდით, „ქართლის ცხოვრება“ უძველესი დროიდან ვიდრე XI საუკუნის 70-იან წლებამდე მთლიანად ლეონტი მროველს ეკუთვნის. ლეონტი მროველი მას „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ ფუძემდებლად მიაჩნია (25, 227-232).

რევაზ კვიციანი თვალსაზრისით, „ქართლის ცხოვრების“ კრებული თავიდანვე XI საუკუნის 70-იან წლებამდე იყო მოყვანილი („მატიანე ქართლისას“ ჩაუვლით). რ. კვიციანი, რომელიც კრებულის შედგენას დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის ხანასთან აკავშირებს, თვლის, რომ დავითის ისტორია, რომელიც 1125 — 1156 წლებში დაიწერა, საგანგებოდ „ქართლის ცხოვრებისათვის“, მაშინვე იქნა შეტანილი კრებულში. ასე უნდა იყოს შედგენილი, მისი აზრით. „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ნაწილი, რომელიც ყველა ნუსხაში ერთნაირადაა წარმოდგენილი (2, 21-51).

როგორც უკვე აღინიშნა, დავით აღმაშენებლის ისტორიის ჩათვლით, ყველა ნუსხა ერთნაირი შედგენილობისაა. ხოლო ამის შემდეგ „ქართლის ცხოვრების“ ძველი ციკლის ნუსხები განსხვავებული შედგენილობისანი არიან. ჩამოყალიბდა ე. წ. ანასეული, ქალაშვილისეული და მცხეთური „ქართლის ცხოვრებიდან“ მომდინარე ნუსხები: მარიამისეული, მაჩაბლისეული, 1697 წელს მცხეთურიდან გადაწერილი.

ანასეულ ნუსხაში დავით აღმაშენებლის ისტორიის შემდეგ არის ე. წ. ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანის მიერ დაწერილი დემეტრე I (1125—1155), დავით V (1155—1156), გიორგი III (1156 — 1184), თამარის (1184 — 1213)¹, და ლაშა გიორგის (1213 — 1222) მოკლე ისტორიები.

¹ როგორც ცნობილია, სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა თამარის გარდაცვალებისა და ლაშა გიორგის გამეფების თარიღის საკითხთან დაკავშირებით. მკვლევართა ნაწილი, მხარს უჭერს 1213, ნაწილი 1210, ხოლო ნაწილი 1207 წელს. მაგრამ ამას ამჯერად მნიშვნელობა არა აქვს და ეტოვებთ ტრადიციულად მიღებულ 1213 წელს.

„ქართლის ცხოვრების“ ჰალაშვილისეულ ნუსხაში, რომლის პირველი ნაწილი წარმოადგენს „ძველ ქართლის ცხოვრებას“, დავით აღმაშენებლის ისტორიის შემდეგ, დემეტრე I და გიორგი III მეფობა, დემნა ბატონიშვილის აჯანყების ჩაქრობამდე, ანასეული ნუსხის ტექსტს მიყვება, ხოლო შემდეგი ე. წ. თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებაა, რომლის ავტორაჲ. პირობით ივ. ჯავახიშვილმა ბასილი ეზოსმოძღვარი მიიჩნია (1, 375-390).

რ. კაციაძის ვარაუდით, ანასეული ნუსხის არქეტიპი ისეთ პირობებში აღმოჩნდა, რომ დიდი ხნის განმავლობაში აღარ შეუვსიათ ასალი ნაწარმოებებით. ჰალაშვილისეული ნუსხა, მხოლოდ თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებით შეივსო, მცხეთურა ნუსხა კი სვეტიცხოვლის წიგნსაცავში ინახებოდა, ერთგვარად ოჯიციალურ წიგნად ითვლებოდა და ცენტრალური ხელისუფლება და ეკლესიაც საგნაგებოდ ზრუნავდნენ მის დროულად შევსებაზე (2, 23).

საუბრმა კაკაბაძის თვალსაზრისით, „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი, რომელსაც ის ძველ სომხურ ვერსიას, ან ძველ სომხურ რედაქციას უწოდებს, წარმოშობილი უნდა იყოს XII საუკუნის შუა ხანებში და ტექსტობრივად ეს ვერსია, მისი აზრით, ასლოს დგას ე. წ. „მცხეთური“ რედაქციის ნუსხებთან. აღნიშნულის საფუძველზე, საუბრმა კაკაბაძე ვარაუდობს, რომ „მცხეთური“ რედაქციის ტექსტი, სახელდობრ მისი ის ნაწილი, რომელიც სომხურ ვერსიაშია შესული „თარიღება არა უგვიანეს XII საუკუნის შუა ხანებისა“ (13, 51-59; 10, 174-176). ამასთანავე, მისი ვარაუდით, „ქართლის ცხოვრების“ ანასეულ და ჰალაშვილისეულ ნუსხებში წარმოდგენილი რედაქცია განსხვავდება ე. წ. „მცხეთურისაგან“ და „ქართლის ცხოვრების“ ეს ორივე რედაქცია (შესაძლებელია სხვაც), XII საუკუნეში უკვე არსებობდა (13, 53-54; 10, 177).

„ქართლის ცხოვრების“ მარიამისეულ ნუსხაში დავით აღმაშენებლის ისტორიის შემდეგ, ჩართულია სუმბატ დავითის-ძის თხზულება „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“. ეს თხზულება არღვევს „ქართლის ცხოვრების“ საერთო სტილს, ის არის არა დავითის „ისტორიის“ გაგრძელება, არამედ სრულიად დამოუკიდებელი საისტორიო თხზულება, დაწყებული ადამის მოდგმის

ბიბლიური სქემით და მოყვანილია XI საუკუნის 30-იან წლებამდე.

ამ თხზულების შესავალ ნაწილში აღნიშნულია, რომ ავტორი არის სუმბატ დავითისძე. ვარაუდობენ, რომ ის ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენელია, და გარდაცვლილი უნდა იყოს XI საუკუნის 30-იან წლებში (27, 11-12; 1, 125).

„ქართლის ცხოვრება“ ოფიციალური ისტორიოგრაფიის იდეოლოგიას გამოხატავს და კრებულში შესატანად საგანგებოდ არჩევდნენ სამეფო ხელისუფლების ინტერესების გამომხატველ საისტორიო თხზულებებს. სუმბატის ბაგრატიონთა გვარის ისტორიის „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შეტანა ამ თვალსაზრისით სრულიად გამართლებულია, მაგრამ, ამასთანავე, საფუძველს არ უნდა იყოს მოკლებული ვარაუდი, რომ ეს თხზულება საგანგებოდ დაიწერა ცენტრალური ხელისუფლების დაკვეთით სწორედ ამ ეროვნულ ისტორიაში შესატანად (47, 12).

XI საუკუნის დასაწყისში, როდესაც ბაგრატიონთა სასლმა ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის ტახტი დაიმკვიდრა და ყველა ქართული ქვეყნის შემოერთების პერსპექტივები რეალურად დაისახა, სამეფო გვარის მისწრაფებებს გაძლიერების დასაბუთებლად იდეოლოგიური საფუძვლის განმტკიცება იყო საჭირო. სუმბატის თხზულება ბაგრატიონთა გვარის რეალური მდგომარეობისა და მისწრაფებების ასეთ იდეოლოგიურ დასაბუთებას წარმოადგენს.

როგორც ცნობილია, ლეგენდები ბაგრატიონთა გვარის წარმოშობის შესახებ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებშივე შეიქმნა ამიერკავკასიაში ამ სახლის სხვადასხვა შტოების პოლიტიკურ სარბიელზე აღზევებასთან დაკავშირებით. გადმოცემები ბაგრატიონთა წარმოშობის შესახებ სხვადასხვა სახით არის წარმოდგენილი სომხურ და ქართულ საისტორიო თხზულებებში, ხოლო სუმბატის ნაწარმოებში, ლეგენდა ბაგრატიონთა გვარის ღვთიური წარმომავლობის შესახებ მწყობრ სისტემად არის ჩამოყალიბებული (47, 11-18). ამიტომ სრულიად ლოგიკური და ბუნებრივია, ეს თხზულება „ქართლის ცხოვრების“ კრებულში დავით აღმაშენებლის „ისტორიის“ შემდეგ შეეტანათ, მას შემდეგ, რაც დი-

დას წარმატებით დასრულდა ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის ჩამოყალიბების პროცესი, შეიქმნა ძლიერი ქართული ფეოდალური მონარქია, მეფის ერთპიროვნული ხელისუფლებით სათავეში.

სუმბატის თხზულების შემდეგ მარიამისეულ ნუსხაში თამარის პირველი ისტორიკოსის, გიორგი III და თამარის მეფობათა აღმწერი საისტორიო თხზულება, ე. წ. „ისტორიანი და აზმანი შარავენდელთანი“, რომელსაც უშუალოდ ებმის მონღოლთა ასწლოვანი მფლობელობის ისტორია, ე. წ. ჟამთააღმწერლის თხზულება.

ასეთივე შედგენილობისაა ძველ ნაწილში მაჩაბლისეული ნუსხა. ე. წ. მცხეთური ნუსხის 1697 წ. გადაწერილი პირი და ნაწილობრივ თეიმურაზისეული ნუსხაც (13, 47-49).

რ. კიკნაძის ვარაუდით, სუმბატის „ბაგრატიონთა გვარის ისტორია“ „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შეიძლება XII საუკუნის მეორე ნახევარში შეეტანათ, ხოლო „ისტორიანი და აზმანი შარავენდელთანი“ XIII საუკუნის პირველ ნახევარში, და დასასრულ, XIV საუკუნის მეორე მეოთხედში ჟამთააღმწერლის თხზულება. „ასე დასრულდა XIV საუკუნის პირველ ნახევარში „ქართლის ცხოვრების“ ძველი რედაქციის ე. წ. მცხეთური ნუსხის შევსების ხანგრძლივი პროცესი“, წერს რ. კიკნაძე (2, 27-28).

„ქართლის ცხოვრების“ შედგენის ახლებური სქემა წარმოადგინა ნ. შოშიაშვილმა, რომლის აზრით XIII საუკუნემდე „ქართლის ცხოვრება“ მოიცავდა საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან 1125 წლამდე და ოთხი ქრონოლოგიურად თანმიმდევრული ნაწილისაგან შედგებოდა: I) უძველესი დროიდან ახ. წ. V საუკუნის შუამდე (ავტორი უცნობია), II) V საუკუნის შუიდან VIII საუკუნის შუამდე (ჯუანშერი, VIII ს.), III) VIII საუკუნის შუიდან XI საუკუნის 80-იან წლებამდე (ავტორი, სავარაუდოა, XI საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე, ლეონტი მროველი), IV) XI საუკუნის 80-იანი წლებიდან 1125 წლამდე (ავტორი უცნობია). XIII საუკუნიდან, ნ. შოშიაშვილის ვარაუდით, „ქართლის ცხოვრება“ შეივსო XII—XIV სს. მოვლენების მომთხრობი ნაწილით, ხოლო XVII—XVIII სს. ავტორებმა ის შეავსეს ჯერ

XIV — XVII საუკუნის, ხოლო შემდეგ XVIII საუკუნის ისტორიის მომთხრობი თხზულებებით. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ „ქართლის ცხოვრება“ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ავტორთა მიერ იწერებოდა, ის ნ. შოშიაშვილს მიაჩნია ერთიან თხზულებად. და არა ცალკეულ თხზულებათაგან შემდგარ ხელოვნურ კრებულად (137, 107—108).

მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს „ქართლის ცხოვრების“, როგორც თავდაპირველი კრებულის და მისი თანდათან შევსების დროის განსაზღვრის საკითხი, ასევე საკითხი იმის შესახებ, თუ ვინაა უძველესი ნაწილის ავტორი და როდისაა დაწერილი ეს უძველესი ნაწილი, ვინაა ლეონტი მროველი, ან ჯუანშერი, რომელი როდის მოღვაწეობდა, რომელს რა ნაწილი ეკუთვნის ამ უძველესი ისტორიისა. ეს ორი საკითხი ისეა ერთმანეთზე გადაჭაპვეული, რომ მათი განხილვა ერთადაა აუცილებელი.

როგორც უკვე აღნიშნულია, ივ. ჯუანშიშვილი და კ. კეკელიძე ლეონტი მროველს და ჯუანშერს XI საუკუნის ისტორიკოსებად თვლიან. თუმცა განსხვავებული აზრისაა არიან საკუთრივ იმ საკითხზე, თუ რომელ მათგანს ამ საწყისი ისტორიის რომელი ნაწილი ეკუთვნის.

„ქართლის ცხოვრების“ უძველესი ნაწილის ავტორთა ვინაობისა და ამ თხზულებათა დაწერის დროის შესახებ სხვა მოსაზრებებიც არსებობს.

დ. ბაქრაძის აზრით, საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან იწერებოდა, ამასთანავე, „მომეტებული ნაწილი ქართლის ცხოვრებისა მირიანის მეფობის დროიდან თითქმის თავ-თავს დროს იწერებოდა“ (124, 53).

თ. ჟორდანიას თვლის, რომ ვახტანგ გორგასლის „ისტორიამდე“ „ქართლის ცხოვრებაში“ სამი სხვადასხვა მათიანე იყო შეტანილი, ხოლო „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ ცალკე მათიანეა, რომელიც მთლიანად შეუტანიათ „ქართლის ცხოვრებაში“. ამის მტკიცე საბუთად მას მიაჩნია მარიამისეულ ნუსხაში არსებული სათაური, რომელიც ამ თხზულებას აქვს და რომელიც წინ უძღვის არჩილის, მირდატის და ვახტანგის მეფობას: „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა მეფისა და მშობელთა და შემდგომად თვთ მი-

სი დიდისა ღვთისმსახურისა მეფისა, რომელი უმეტესად სხუათა კაცთაგან განთქმულ გამოჩნდა მეფეთა ქართველთასა“ (18, XXXIV). საკუთრივ ჯუანშერი თ. უორდანიას მიაჩნია ვახტანგ გორგასლის შემდეგდროინდელი 200 წლის ისტორიის (არჩილ მეფემდე) ავტორად, რომელსაც თავისი თხზულება „კერძო ისტორიულ წყაროთაგან შეუდგენია“ (18, XXXV).

აღნიშნულ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობას მრავალი მიზეზი აქვს, ერთი, და ალბათ ფრიად მნიშვნელოვანი მიზეზი ძველი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში არსებული მინაწერებია, რომელთა შორის გარკვეული წინააღმდეგობაა.

ამ მინაწერებს შორის არსებულ წინააღმდეგობას 1923 წელს მიაქცია ყურადღება კ. კეკელიძემ (22, 188).

ამ მინაწერების საფუძველზე ივ. ჯავახიშვილმა დაასკვნა, რომ „მეფეთა ცხოვრება“ უძველესი დროიდან ვახტანგ გორგასლამდე, „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“ და „არჩილის წამება“ ლეონტი მროველს ეკუთვნის, ხოლო ვახტანგ გორგასლის და მის მემკვიდრეთა „ისტორია“ — ჯუანშერს (1, 176, 189).

სარგის კაკაბაძე ჯერ თვლიდა, რომ „ქართლის ცხოვრების“ ძველი მათიანე ორ ნაწილად იყოფა: პირველი — რომლის ავტორია XI საუკუნის ისტორიკოსი ლეონტი მროველი, ხოლო ვახტანგ გორგასლის ისტორია — ბაგრატ IV ისტორიის ჩათვლით, დაუწერია XI საუკუნის ისტორიკოსს ჯუანშერს, რომელიც ლეონტიზე ცოტა უფრო ადრე ცხოვრობდა (70, 27). შემდეგ სარგის კაკაბაძემ შეიცვალა აზრი და „ქართლის ცხოვრების“ ძველი მათიანე ორ ნაწილად დაყო, ლეონტი მროველი მიიჩნია „მეფეთა ცხოვრების“ საერთო რედაქტორად და „არჩილის წამების“ ავტორად და მისი მოღვაწეობა 900-980-იანი წლებით დაათარიღა, ხოლო ვახტანგ გორგასლის „ისტორია“ VIII საუკუნეს ისტორიკოსის, ჯუანშერის თხზულებად ჩათვალია.

ერთი მინაწერი, რომელიც მოთავსებულია ვახტანგ გორგასლის „ისტორიის“ დასასრულს, გვაუწყებს: „ესე არჩილის წამება, და მეფეთა ცხოვრება, და ნინოს მიერ ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმა აღწერა“ (4, 241), ხოლო იქვე, „არჩილის წამების“ დასასრულს, წერია: „ხოლო წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა ვიდ-

რე ვახტანგისამდე აღიწერებოდა უამითი-უამად. ხოლო ვახტანგ მეფისითგან ვიდრე აქამომდე აღწერა ჭუანშერ ჭუანშერიანმან, ძმისწულის ქმარმან წმიდისა არჩილისამან, ნათესავემან რევისმან, მირიანის ძისამან. მიერთგან შემდგომთა მომავალთა ნათესავთა აღწერონ ვითარცა იხილონ და წინამდებარემან ქამმან უწყებად მოსცეს გონებასა მათსა ღმრთივ განაძნობილსა“ (4, 248). ამასთანავე, ანასეული „ქართლის ცხოვრების“ გადამწერის ანდერძის წინ ვკითხულობთ: „ცხოვრება და მოქცევაჲ ქართლსაჲ და მოთხრობა ნათესაობისა, და თუ რომელნი რომელთა ტომისანი ვართ, ანუ თუ ვითარ მოვიქცეთ და მივიღეთ სჯული ქრისტიანობისა და ვიცანით ღმერთი. ისმინეთ აღწერილი აბიათარისი“ (4, 363).

ამგვარად, ერთი მინაწერის თანახმად, „მეფეთა ცხოვრება“, „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“ და „არჩილის წამება“ ლეონტი მროველმა „აღწერა“. მეორე მინაწერით: „წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა“ (ე. ი. „ქართლის ცხოვრება“). ვახტანგ გორგასლის მეფობამდე უამითი-უამად აღიწერებოდა, ხოლო ვახტანგის მეფობიდან მოყოლებული „ვიდრე აქამომდე“ (ე. ი. „არჩილის წამების“ ჩათვლით, რადგან მინაწერი ამ თხზულების დასასრულსაჲ) ჭუანშერმა „აღწერა“. მესამე მინაწერით, რომელც ს. ყაუხჩიშვილის აზრით, ერთ-ერთი ძველი რედაქტორის შენიშვნა უნდა იყოს (4, 023), ქართლის მოქცევა, თხრობა ქართველთა წარმომავლობის შესახებ („მოთხრობა ნათესავისა“) ვინმე აბიათარის მიერაა „აღწერილი“. როგორც მართებულად შენიშნავს ს. ყაუხჩიშვილი, „ეს რედაქტორი თვით „ქართლის ცხოვრების“ შედგენაზე არას ამბობს; ამბობს მხოლოდ მისი ერთ-ერთი ძეგლის შესახებ, რომ იგი აბიათარს ეკუთვნის, უნდა ვიფიქროთ, განავრძობს ს. ყაუხჩიშვილი, — რომ ის ამ შენიშვნით ვიღაცას ეკამათება, ვინაიდან შრომა, რომელსაც ის აბიათარს მიაწერს, არის ლეონტი მროველისად აღიარებული „მეფეთა ცხოვრება“ და „ქართლის მოქცევა“ (4, 023).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მართალია, სპეციალურ ლიტერატურაში დავას იწვევს გამოთქმა „ვიდრე ვახტანგისამდე“ და „ვახტანგ მეფისითგან“ რას ნიშნავს, ვახტანგის ისტორიის ჩათვლით, თუ მის ისტორიამდე, მაგრამ, ვფიქრობ, მართებულაა მოსაზრება.

რომ გამოთქმა „ვიდრე ვახტანგისამდე“ არ მოიცავს ვახტანგ გორგასლის „ისტორიას“ (4, 122-123).

მოტანილ მინაწერებთან დაკავშირებით პირველ რიგში ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ სამივე შემთხვევაში, ჩატარებული სამუშაოს მიმართ ნახმარია ზმნა „აღწერა“, რომელიც ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით „წეთხზვას“ ნიშნავს (1, 176).

თუ „აღწერა“, მხოლოდ „წეთხზვას“ ნიშნავს, მაშინ გამოდის, რომ ეს სამი ცნობა გამორიცხავს ერთმანეთს. მაგრამ თუ დაუშვებთ, რომ „აღწერა“ „წეთხზვასთან“ ერთად „გადაწერასაც“ ნიშნავს, მაშინ ლეონტი მროველი შეიძლება ვიგულოვოთ მხოლოდ გადაწერად, ან გადაწერ-რედაქტორად, როგორც ვარაუდობენ თ. ჟორდანიას (18, XXXIX, XXXVI), გ. მელიქიშვილი (21, 52; 29, 28), შ. ბაღრიძე (30). თუმცა, ფიქრობთ საკითხის სხვაგვარი ახსნის შესაძლებლობაც არსებობს.

პირველ რიგში სასურველია გაირკვეს ლეონტი მროველის მოღვაწეობის დრო.

3. ინგოროყვას აზრით, ლეონტი მროველი VIII საუკუნის ისტორიკოსია (20, 410-411; 31). ამ მოსაზრების ერთ-ერთი საფუძველია ის გარემოება, რომ აღნიშნულ თხზულებაში საერთოდ არ იხსენიება აფხაზეთი, რაც წარმოუდგენელია VIII საუკუნის შემდეგ, როდესაც შეიქმნა დასავლურ-ქართული სახელმწიფო, დედაქალაქით ქუთაისში, რომელსაც აფხაზეთი ეწოდებოდა.

რომ „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესულ პირველ თხზულებაში არის ისეთი ისტორიული რეალიები, რომელნიც დაახლოებით VIII—IX საუკუნეებზე მიგვანიშნებენ, ამ აზრს კ. კეკელიძე და გ. მელიქიშვილიც გამოთქვამენ. კ. კეკელიძის აზრით, ლეონტი მროველი XI საუკუნის ისტორიკოსია, მაგრამ მის ნაწარმოებში შესულია უცნობი ავტორის თხზულება, რომელიც VIII საუკუნეზე გვიან არ უნდა იყოს დაწერილი (32, 277). გ. მელიქიშვილის თვალსაზრისით, „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისში წარმოდგენილი კონცეფცია მხარს უჭერს ამ თხზულების დათარიღებას არა უგვიანეს VIII-IX საუკუნეებით (21, 52).

ამასთანავე, მთელი რიგი მონაცემები თითქოს სარწმუნოს

ხდის ივ. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის და რიგი სხვა ავტორების თვალსაზრისს, რომ „მეფეთა ცხოვრება“ იმ სახით, როგორც ის „ქართლის ცხოვრებაშია“ შესული, XI საუკუნის 60-70-იან წლებში უნდა იყოს დაწერილი (33, 11-23; 34, 10-41; 35, 283-284).

როგორც აღინიშნა, აზრთა სხვადასხვაობას იწვევს საკითხი ლეონტი მროველის შესახებ, კერძოდ, როგორც ავტორს თუ რედაქტორს, რა ნაწილი ეკუთვნის მას „ქართლის ცხოვრებაში“? საკუთრივ „მეფეთა ცხოვრება“, თუ „მეფეთა ცხოვრება“ ვახტანგ გორგასლის ისტორიის ჩათვლით, ეს ორივე თხზულება „არჩილის წამებთანად“, VIII საუკუნის 80-იან წლებამდე, თუ ყველა ეს თხზულებები „მატიანე ქართლისას“ ჩათვლით (ჯავახიშვილი, კეკელიძე, ბოგვერაძე, გრიგოლია). თუ ლეონტი მროველს ეკუთვნის „მეფეთა ცხოვრება“ და „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ „მატიანე ქართლისას“ ნაწილთან ერთად, სახელდობრ, იმ მონაკვეთის ჩათვლით, „სადაც გადმოცემულია ამბები უძველესი დროიდან აშოტ კურაპალატის (IX ს.) გამეფების შესახებ ცნობამდე“ (ამ უკანასკნელის ჩათვლით). ეს მოსაზრება ეკუთვნის გონელი არახამიას (82, 74).

ა. ბოგვერაძემ, ისევე როგორც თავის დროზე კ. კეკელიძემ საგანგებოდ შეისწავლა „ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა მონაკვეთებს შორის არსებული შინაარსობრივი კავშირი. თუ მანამდე მკვლევრები, „ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა მონაკვეთებს შორის შინაარსობრივი კავშირის არსებობას ერთ-ერთ არგუმენტად იყენებდნენ ამ თხზულების ცალკეული ნაწილების ავტორად ერთი პირის მიჩნევისათვის, გ. არახამია თვლის, რომ ეს არის მთავარი და ფაქტობრივად ერთადერთი კრიტერიუმი, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ იმის გასარკვევად. თუ რა ეკუთვნის ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ლეონტი მროველს.

გ. არახამიამ დიდი სამუშაო ჩაატარა და საკმაოდ საფუძვლიანად აჩვენა, რომ „ქართლის ცხოვრების“ თხრობაში უძველესი დროიდან IX საუკუნის დასაწყისის ჩათვლით მოვლენები ლოგიკურად ებმიან ერთმანეთს, მომდევნო ნაკვეთის ავტორმა იცის რაზეა საუბარი წინა ნაკვეთში. მართალია, აშოტ კურაპალატის შემდგომი ხანის მოვლენების მომთხრობ ნაწილში არის თუ არა ასე-

თი ლოგიკურა თანმიმდევრობა ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ამას ამჟღად არა აქვს პრინციპული მნიშვნელობა.

ავტორის მიერ ჩატარებული კვლევა და მიღებული დასკვნები აშკარად ანგარიშგასაწევი, მაგრამ ამასთანავე, გასათვალისწინებელია სხვა გარემოებანიც, საკუთრივ ზემოთ ნახსენებ მინაწერთა ცნობები.

გ. არახამია კატეგორიულად უარყოფს „ქართლის ცხოვრების“ მინაწერების ცნობების გამოყენების და მათზე დაყრდნობა ავტორთა ვინაობის პრობლემის გარკვევის შესაძლებლობას, რის საფუძველს მას აძლევს ამ ე. წ. მინაწერებს შორის არსებული წინააღმდეგობანი.

ერთი მინაწერი, რომელიც მოთავსებულია ვახტანგ გორგასლის „ისტორიის“ დასასრულს, გვაუწყებს: „ესე არჩილის წამება, და მეფეთა ცხოვრება, და ნინოს მიერ ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმან აღწერა“ (4, 241). ხოლო იქვე, „არჩილის წამების“ დასასრულს წერია: „ხოლო წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა ვიდრე ვახტანგისამდე აღწერებოდა ყამითი-ყამად, ხოლო ვახტანგ მეფისითგან ვიდრე აქამომდე აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანმან, ძმისწულის ქმარმან წმიდისა არჩილისამან, ნათესავმან რევისამან, მირიანის ძისამან. მიერთგან შემდგომთა მომავალთა ნათესავთა აღწერონ ვითარცა იხილონ და წინამდებარემან ყამმან უწყებად მისცეს გონებასა მათსა ღმრთივ განბრნობილსა“ (4, 248). ამასთანავე, როგორც უკვე ითქვა, ანასეული „ქართლის ცხოვრების“ გადამწერის ანდერძში ვკითხულობთ: „ცხოვრება და მოქცევა ქართლისაჲ, და მოთხრობა ნათესაობისა, და თუ რომელინ რომელთა ტომთანი ვართ, ისმინეთ აღწერილი აბიათარისი“ (4, 363).

ამგვარად, ერთი მინაწერის თანახმად „მეფეთა ცხოვრება“, „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“ და „არჩილის წამება“ ლეონტი მროველმა აღწერა. მეორე მინაწერით, „წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა“, ვახტანგ გორგასლის მეფობამდე ყამითი-ყამად აღწერებოდა, ხოლო ვახტანგის მეფობიდან მოყოლებული „ვიდრე აქამომდე“, ე. ი. „არჩილის წამების“ ჩათვლით, რაღგან მინაწერი ამ თხზულების დასასრულსაჲ, ჯუანშერმა აღწერა, ხოლო მესამე მინაწერით (გადამწერის ანდერძით) ქართლის მოქცევა, თხრო-

ბა ქართველთა წარმომავლობის შესახებ („მოთხრობა ნაქრისაობისა“) ვინმე აბიათარის მიერაა აღწერილი.

გ. მელიქიშვილი ეკვის ქვეშ აყენებს ლეონტი მროველის ავტორობას (29, 30). ამ ორი მინაწერიდან უპირატესობას ანიჭებს მინაწერს ჯუანშერის შესახებ და თვლის, რომ ჯუანშერს ხელთ ჰქონდა „ქართლის ცხოვრება“ ვახტანგ გორგასლის „ისტორიის“ ჩაფვლით, რასაც მან დაუმატა „ისტორია“ თავის დრომდე. ხოლო მეორე მინაწერი, ლეონტი მროველის შესახებ, საეჭვოდ, გვიან მიწერილად მიაჩნია. ასეთი ვარაუდის საფუძვლად მას მიაჩნია ის გარემოება, რომ ეს ე. წ. მეორე მინაწერი არ არის „ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანში, რომელაც, როგორც ცნობილია, ამ თხზულებას უძველეს, XIII საუკუნის ვარიანტს, წარმოადგენს. (21, 51).

მაგრამ სომხურ თარგმანში მეორე მინაწერის არარსებობა შეიძლება ვერ არის მთლად მყარი საბუთი ამ მინაწერის საერთოდ არ არსებობის დასასაბუთებლად, რადგან, როგორც ცნობილია, „ქართლის ცხოვრების“ სომხური თარგმანი საგრძნობლადაა შემოკლებული ქართულ დედანთან შედარებით და მთარგმნელმა შეიძლება სწორედ ეს მეორე მინაწერი გამოტოვა (36, 23). ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მინაწერს ბოლომდე ვერც ვ. მელიქიშვილი შეეღია და წერს: რომ „ერთადერთი გამოსავალი აქ წინააღმდეგობიდან ის არის, როგორც სამართლიანად ფიქრობდა ჯერ კიდევ თედო ჟორდანიამ, რომ ლეონტი მივიჩნიოთ დასახელებული თხზულების არა ავტორად, არამედ გადამწერად („აღწერა“ ძველად გადაწერასაც ნიშნავდა) ანდა რედაქტორ-გადამწერად“ (21, 51-52).

როგორც უკვე აღინიშნა, „ქართლის ცხოვრების“ გარკვეული ნაწილის ლეონტისეული ავტორობის შესაძლებლობა ეკვის ქვეშ ჯერ კიდევ თედო ჟორდანიამ დააყენა, „ლეონტი მროველი უნდა იყოს არა მთხზველი, არამედ გადამწერი, რის გადამწერი? ჩვენი აზრით „ქართლის ცხოვრების“ კი არა, არამედ იმ საეკლესიო მატრიანისა, რომლისაგან არჩილის წამება ქართლის ცხოვრებაში შეუტანიათ შემდეგს დროში“ (18, XXXVI). როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლეონტი მროველის გადამწერ-რედაქტორად მიჩნევას სხვა მომხრეებიტ ჰყავს, მაგალითად ბადრიძე თვლის, რომ ლეონტი მრო-

ველი გადაშწერი თუ რედაქტორია, ჯუანშერა კი, ვახტანგის ისტორიის ავტორია (30, 176).

როგორც ვხედავთ, რიგ ავტორთა თვალსაზრისით, მინაწერებში ნახმარი ზმნა „აღწერა“ ერთ შემთხვევაში შეიძლება ნიშნავდეს „შეთხზვას“, ხოლო მეორე შემთხვევაში „გადაწერას“.

„ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანში არსებული მინაწერი ასეა წარმოდგენილი: „და მოპოვებულ იქმნა ეს მოკლე თხრობა არეულობის დროს, და დაიდვა წიგნი, რომელსაც ეწოდება ქართლის ცხოვრება, რომელიცაა ქართლის ისტორია. იპოვა ეს ჯუანბერმა, დაწერილი ვახტანგ მეფემდის, ხოლო აქამდის თვით შემატა ჯუანბერმა, მერმისი კი მიანდო [თავის] დროზე მხილველთა და დამხვდურთა“ (43, 207-208). როგორც ვხედავთ, ეს არ არის ანასეული „ქართლის ცხოვრების“ მინაწერის ზუსტი თარგმანი. მთარგმნელი, ქართულისაგან განსხვავებით, წიგნს „ქართლის ცხოვრება“-ს უწოდებს, ასევე წერს სომხურად „*წარმოქმნილნი ესეიგი*“ და განუმარტავს სომეხ მკითხველს, რომ ეს არის „ქართლის ისტორია“. ამასთანავე, გარკვევითაა ნათქვამი, რომ ჯუანბერმა იპოვა ეს წიგნი „დაწერილი ვახტანგ მეფემდის“, რაც აშკარას ხდის, რომ ქართული მინაწერის „ვახტანგისამდე“ და „ვახტანგ მეფისითგან“ მას ესმის როგორც ვახტანგამდე და მის შემდეგ.

რომ „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ნაწილი (VIII საუკუნემდე) იმ სახით, როგორც ის ჩვენამდეა მოღწეული, გადამუშავებულია XI საუკუნეში, ეს დავას არ იწვევს, მაგრამ თითქოს არც ის იწვევს დავას, რომ ამ ნაწილში აშკარად ჩანს ძველი, არა უგვიანეს VIII საუკუნის, რეალიების არსებობაც.

აღნიშნული გარემოება შუასაუკუნოვანი ისტორიოგრაფიული ტრადიციების და მუშაობის მეთოდით შეიძლება აიხსნას.

შუა საუკუნეებისათვის უცნობია ლიტერატურული საკუთრების ცნება. შუა საუკუნეების ისტორიკოსები, თუ ეს მათთვის საჭიროა, სიტყვა-სიტყვით იწერენ თავის წინამორბედ ავტორთაგან. ასეთი გადმოწერა პლაგიატად არ ითვლება, შუასაუკუნოვანი ისტორიკოსები მუშაობის ასეთ მეთოდს თავის დიდ დამსახურებად თვლიან (37, 105-106). შუა საუკუნეებში კომპილაცია განიხილებო-

და, როგორც შემოქმედება და პლაგიატის ცნება საერთოდ არ არსებობდა (38, 10).

ასე რომ, თუ მივიღებთ, რასაც მოგვითხრობს მინაწერი ჭუანშერის შესახებ და ჩავთვლით, რომ „ქართლის ცხოვრება“ უამითი-უამად იწერებოდა, რომ ჭუანშერის მოღვაწეობის დროს (VIII-IX საუკუნეთა მიჯნა) უკვე არსებობდა ისტორია V საუკუნემდე, ხოლო ჭუანშერმა გააგრძელა ეს „ქართლის ცხოვრება“ თავის დრომდე, მაშინ უნდა გავიზიაროთ თვალსაზრისი, რომ ფაქტობრივად „ქართლის ცხოვრება“, ანუ „საქართველოს ისტორია“ ცალკე თხზულების სახით, თუ უფრო ადრე, ვთქვათ, ვახტანგ გორგასლის დროიდან თუ არა, VIII საუკუნიდან მაინც არსებობდა. არ არის გამორიცხული, რომ ჭუანშერმა წინა ნაწილებშიც შეიტანა რედაქციული ხასიათის ცვლილებები და შენიშვნა-ჩამატებები.

როგორც მართებულადაა შენიშნული, ადრეფეოდალური ხანა (V-X სს.) ის პერიოდი საქართველოს ისტორიაში, როდესაც ხდებოდა ცოდნის დაგროვება წინაქრისტიანული ხანის ისტორიის შესახებ და ეს „ისტორია“ არ შეიძლება ამ დროს არ ყოფილიყო წერილობით გაფორმებული (34, 10).

ამასთანავე, სრულიად რეალურა შეიძლება იყოს, და ალბათ არის კიდევ მინაწერი ლეონტი მროველის შესახებ.

XI საუკუნის 60-იან წლებში განათლებულმა მწიგნობარმა, რუისის ეპისკოპოსმა ლეონტიმ ახალი ეტაპი შექმნა ეროვნული ისტორიის „ქართლის ცხოვრების“ შემდგომი დამუშავების საქმეში. მან არსებული „ქართლის ცხოვრება“ ხელახლა „აღწერა“, კი არ გადაწერა, არამედ სწორედ დაწერა თავიდან ისე, როგორც ამას საჭიროდ თვლიდნენ იმ დროს, შეიტანა მასში ზოგი რამ ახალი, ზოგი რამ შეიძლება შეასწორა რედაქციულად თავისი ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად, ზოგი რამ ამოიღო, მაგრამ ძირითადად დატოვა ის, რაც ხელთ ჰქონდა. ესაა ისტორიკოსის, და არა გადაძწერ-რედაქტორ ლეონტი მროველის ნამუშევარი. ამიტომაც მინაწერთა ავტორები ჭუანშერისა და ლეონტის შესახებ ერთნაირად რომ ამბობენ — „აღწერა“.

თუ ასე გავიაზრებთ ამ მოვლენას, მაშინ ეს ორი მინაწერი კი არ გამორიცხავს ერთმანეთს, ეს მინაწერები „ქართლის ცხოვრებაზე“ მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე მოგვითხრობენ და მიგვანიშნე-

ბენ. ლეონტიმ ჯუანშერის მიერ უკვე „აღწერილი“ ხელახლა „აღწერა“. ნიშანდობლივია, რომ მანაჭერი ლეონტის შესახებ მას მიაწერს „მეფეთა ცხოვრებას“, „ნინოს მიერ ქართლის მოქცევას“ და „არჩილის წამებას“.

ამასთანავე, როგორც უკვე აღნიშნეთ, „ქართლის ცხოვრებ-ს“ ანასეული ნუსხის გადაწერი თავის „ანდერქში“, ამთავრებს რა დაავით აღმაშენებლის მოღვაწეობის აღწერას, გვაუწყებს: „ცხოვრება და მოქცევა ქართლისა, და მოთხრობა ნათესაობისა, და თუ რომელნი რომელთა ტომთანი ვართ, ანუ, თუ ვითარ მოვიქცეთ და მივიღეთ სჯული ქრისტიანობისა და ვიცანით ღმერთი, ისმინეთ აღწერილი აბიათარისი“ (4, 363).

ნიშანდობლივია, რომ აბიათარი, როგორც ნინოს ცხოვრების გარკვეული ნაწილის „მთქმელი“ დასახელებულია ლეონტი მროველის ავტორობით ცნობილ „ნინოს ცხოვრებაში“ (4, 95) და „მოქცევა ქართლისაჲში“ (93, 144).

ამგვარად, თუ ლეონტისეულ „ნინოს ცხოვრებაში“ აბიათარი ნინოს მოღვაწეობის გარკვეული ნაწილის „მთქმელად“ არის მოყვანილი, ანასეული „ქართლის ცხოვრების“ გადამწერმა იცის, რომ არსებობდა აგრეთვე აბიათარის მიერ „აღწერილი“ თხზულება, რომელშიც მოთხრობილი იყო, როგორც ქარაველთა წარმოშობის („თუ რომელნი რომელთა ტომისანი ვართ“), ისე მის მიერვე „აღწერილი“ ქრისტიანობის მიღების ისტორია („მოქცევა ქართლისა... თუ ვითარ მოვიქცეთ და მივიღეთ სჯული ქრისტიანობისა და ვიცანით ღმერთი“).

აღნიშნული გარემოება შეიძლება მიუთითებდეს იმ ფაქტზე, რომ „ქართლის ცხოვრების“ ანასეული ნუსხის გადამწერი განათლებული კაცია, მას წაკითხული აქვს, მის დრომდე ჯერ კიდევ არსებული, ვინმე აბიათარის მიერ დაწერილი „ისტორია“ და „ანდერქში“ მიგვანიშნებს, რომ რაც აქ ლეონტი მროველის მიერაა „აღწერილი“, ის აბიათარმაც „აღწერა“. ლეონტიმ მის მიერ აღწერილ „ნინოს ცხოვრებაში“ მიუთითა, რომ ნინოს მოღვაწეობასთან დაკავშირებული გარკვეული მონაკვეთი აბიათარის მიერაა „თქმული“. შესაძლებელია იმიტომ, რომ ის ნაწილია ზიტყვა-სიტყვით გადმოიწერა, სხვაზე მითითება კი არ ჩათვალა საჭიროდ, რადვან თავისებურად გადააკეთა.

ძველ წერილობით წყაროებს ჩვენი თანამედროვე მეთოდებით ვიკვლევთ, რაც სრულიად კანონზომიერია, მაგრამ კვლევის დროს შუასაუკუნოვანი ავტორის მეთოდსაც უნდა გათვალისწინება. „ქართლის ცხოვრების“ ძველ ნაწილში სხვადასხვა მონაკვეთთა ლოგიკური თანმიმდევრობა მარტო იმას კი არ მიგვანიშნებს, რომ ამ ნაწილის ავტორი ერთი პიროვნებაა (ლეონტი მროველია ის თუ სხვა), არამედ შეიძლება იმასაც, რომ მან იცის რასაც აკეთებს, და ცდილობს თხრობა ლოგიკურად თანმიმდევრული იყოს, რედაქციას აკეთებს, ამთლიანებს ისტორიას არსებული წყაროების საფუძველზე. ამიტომაც მინაწერებში მათ „აღმწერი“ რომ ეწოდებათ. ზოგი ავტორი არც უფრო დახელოვნებულად აკეთებს, ზოგი ნაკლებად ახერხებს წყაროს გავლენიდან გამოსვლას. ამდენად ლოგიკური თანმიმდევრობის არსებობა „ქართლის ცხოვრებაში“ მთლიანად აშოტ კურაპალატამდე (82, 74), და შეიძლება შემდეგაც, იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ „ქართლის ცხოვრებაზე“ მისი გამთლიანების მიზნით (რათა მისთვის ერთიანი ისტორიის სახე მიეცათ), ჭერ კიდევ ვახტანგ VI კომისიაზე ბევრად ადრე სხვა რედაქტორებიც მუშაობდნენ.

„მინაწერებში“, გადამწერთა „ანდერძებში“, ჩანს ძველი ცნობებია დატული: რა როდის, როგორ იწერებოდა. ანასეული „ქართლის ცხოვრების“ გადამწერმა დაანახა რა, რომ ქართველთა უძველესი ისტორიის თხრობა მის მიერ გადაწერილ „ქართლის ცხოვრებაში“ ისევე იყო წარმოდგენილი, როგორც მისთვის ცნობილ სხვა ავტორის ნაშრომში, ეს სათანადოდ გვაუწყა კდეც. ს. ყაუხჩიშვილი ფიქრობს, რომ ანასეული ნუსხის გადამწერი ვიღაცას ეკამათება, შეიძლება არც ეკამათება, უბრალოდ აღნიშნავს მასთვის ცნობილ ფაქტს. თვით ეს ფაქტი ანასეული ნუსხის გადამწერის განათლების, მის მიერ ძველი ქართული საისტორიო მწერლობის ცოდნის მაუწყებელია. ამკარა, რომ აბიათარი ლეონტიზე ადრინდელი ავტორაა, მაგრამ როდინდელი, ამის თქმა ძნელია.

როგორც ჩანს, ლეონტის რაც ჰქონდა ხელთ, ის გამოიყენა, ეს წყაროები, როგორც მისი თხზულებიდან ჩანს, ქართულიც იყო და უცხოურიც (ბერძნული, სომხური, სპარსული...). მან ეს წყაროები გაიზარა, შეუფარდა თავისი ეპოქის დონეს, მოთხოვნებს, საკუთარ თვალსაზრისს. მაგრამ, ძირითადად მაინც მთლიანად იღებს იმას,

რაც მას მზამზარეულად დახვდა. ლეონტი მროველი, ისევე როგორც ვერცერთი სხვა შუასაუკუნოვანი ისტორიკოსი, ვერ ახერხებს, იქნებ არც თვლის საჭიროდ, ამოიღოს ან შეასწოროს ისეთი ფაქტები, რომელნიც აშკარად ატარებენ VIII საუკუნეში, ან უფრო ადრე დაწერილის კვალს.

XI საუკუნის ისტორიკოსს ამის შემდეგ საჭიროდ უნდა ჩავთვალოთ გაეწია მუშაობა VIII-XI საუკუნეების ისტორიაზე, ე. ი. მოეყვანა თხრობა თავის დრომდე. ჩვენ არ ვიცით, „ქართლის ცხოვრების“ იმ ვარიანტში, რომელიც ლეონტი მროველის მოღვაწეობის დროისათვის არსებობდა და რომელზედაც მან იმუშავა, VIII-XI საუკუნეების ისტორია იყო მოცემული, თუ არა, ლეონტი მროველმა დატოვა VIII-XI საუკუნეების ისტორია ისევე, როგორც კრებულში იყო შესული, გადაამუშავა, და თუ „ქართლის ცხოვრებაში“ ეს პერიოდი არ იყო შევსებული, მან აიღო „ქართლის ცხოვრების“ გარეშე არსებული საისტორიო თხზულება, ამ პერიოდს რომ ასახვდა, და ის შეიტანა კრებულში, თუ თვითონ დაწერა და ასე შეავსო ეროვნულ ისტორიაში არსებული ხარვეზი.

როგორც ცნობილია, ე. წ. „მატიანე ქართლისას“ ავტორის და ლეონტი მროველის მოღვაწეობის ხანა ემთხვევა ერთმანეთს, ორივე XI საუკუნის 60-70-იანი წლების მოღვაწეა. აღნიშნული გარემოება ქმნის შესაძლებლობას ლეონტი მივიჩნიოთ ამ უსათაურო და უავტორო თხზულების ავტორად. ასეთი აზრი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოთქმულიც არის სპეციალურ ლიტერატურაში, მაგრამ ამ პრობლემის ასე გადაწყვეტას ზოგი რამ უშლის ხელს. პირველ რიგში გასათვალისწინებელია ნაწარმოებთა თხრობის სტილი. უძველესი ისტორიის ამსახველი თხზულებისათვის დამახასიათებელია საგმირო-ზღაპრული მოვლენების ფართოდ მოთხრობა, რაც სრულიად უცხოა „მატიანე ქართლისას“ ავტორისათვის. შეიძლება გვეფიქრა, რომ ლეონტიმ, რომელმაც ეს თხზულებები მეტნაკლებად მზამზარეულად მიიღო, არ შეცვალა მათი სტილი, თვითონ კი სხვაგვარად დაწერა საკუთარი თხზულება. მაგრამ, როგორც ცნობილი სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ეს უძველესი ისტორია. რომელიც ალბათ ლიტონად, მარტივად მოკლედ იყო დაწერილი, საგმირო-ზღაპრული ამბებით სწორედ XI საუკუნეში განიცდო, ეპოქის გემოვნებისა და მოთხოვნების შესაბამის-

სად. ასე რომ, ამ მხრივ, „მატიანე ქართლისას“ ავტორის ხელი ამ უძველეს ნაწილზე თითქოს გამორიცხული უნდა იყოს. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მინაწერი ლეონტის შესახებ, რომელიც სახელდებით ჩამოთვლას თუ რა „აღწერა“ ლეონტიმ, არაფერს ამბობს VIII-XI საუკუნეების ისტორიის ამსახველ ნაწილზე. როდესაც არ უნდა იყოს ეს მინაწერი გაკეთებული, რასაც არ უნდა ნიშნავდეს ის — გადაწერას, რედაქტირებას თუ დაწერას, სულერთია, მინაწერის ავტორმა იცის, რომ ლეონტის ხელი შეეხო „მეფეთა ცხოვრებას“, „ნინოს მიერ ქართლის მოქცევას“ და „არჩილის წამებას“. არ არის გამორიცხული, როგორც ზოგი მკვლევარი ვარაუდობს, რომ „მეფეთა ცხოვრება“ შეიძლება VIII-XI საუკუნეების ისტორიასაც მოიცავდეს, რადგან ფაქტობრივად ესეც მეფეთა ისტორიაა, მაგრამ ამ შემთხვევაში „ქართლის ცხოვრება“ მთლიანად მეფეთა ისტორიაა, მას საერთოდ შეიძლება მიეკუთვნოს ეს სახელი. ამ თვალსაზრისით ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი ვარდან დიდი „ქართლის ცხოვრებას“ „ქართველ მეფეთა წიგნს“ უწოდებს (36, 172, შენ. 39).

ალბათ ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ თუ მინაწერი ჯუანშერის შესახებ სახელდებით ასახელებს რა იყო გაკეთებული ჯუანშერამდე და რა გააკეთა ჯუანშერმა, ასევე მინაწერი ლეონტის შესახებ საგანგებოდ ამბობს თუ სახელდობრ რა „აღწერა“ ლეონტიმ: „მეფეთა ცხოვრება“, „ქართლის მოქცევა“, „არჩილის წამება“, ეს მინაწერი არ მიაწერს ლეონტის „ვახტანგის ისტორიის“ დაწერას, მაგრამ ეს ასე იმ შემთხვევაში შეიძლება გავიგოთ, თუ „მეფეთა ცხოვრება“ არ მოიცავს „ვახტანგის ისტორიასაც“.

ამასთანავე, თუ გავიზიარებთ კ. გრიგოლიას აზრს, რომ ლეონტი მხოველია „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ფუძემდებელი, მაშინ უნდა დაუშვათ, რომ VIII-XI საუკუნეების „ისტორიის“ შეტანაც ამ კრებულში მის სახელს უკავშირდება. სხვა მხარეა საკითხისა, თუ როგორ განახორციელა მან ეს, თვითონ დაწერა, საგანგებოდ დააწერინა ვინმეს, თუ არსებული თხზულება შეიტანა კრებულში.

ამგვარად, „ქართლის ცხოვრება“ უძველესი დროიდან უამითი-

უკმაღესო იწერებოდა. უკმაღესო-უკმაღესო წერა იმას უნდა ნიშნავდეს, რომ იყო თხზულება, რომელსაც შემდეგ დრო და დრო აკრძალავდნენ და აკრძალავდნენ მომდევნო ხანის ავტორები.

VIII—IX საუკუნეთა მიჯნაზე ჯუანშერმა, რომელსაც ხელთ ჰქონდა V საუკუნის ამბებამდე დაწერილი „ისტორია“. ის თავის დრომდე შეავსო, გააგრძელა. ალბათ ნიშანდობლივია, რომ „მინაწერი“ ჯუანშერის შესახებ არაფერს ამბობს მის მიერ წინა ნაწილების მიმართ გაწეულ მუშაობაზე. განსხვავებით „მინაწერისაგან“ ლეონტი შესახებ, რომელიც საგანგებოდ აღნიშნავს ამას. ამიტომ ჯუანშერი შეიძლება მხოლოდ ამ ნაწილის ავტორად მივიჩნიოთ. ხოლო XI საუკუნის 60-70-იან წლებში კი, ლეონტი მროველმა „ქართლის ცხოვრება“ ხელახლა „აღწერა“ და მოიყვანა, თუ შეავსო ის თავის დრომდე, რომ „მეფეთა ცხოვრების“ ავტორს საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდის მომთხრობი სხვადასხვა თხზულებები და წყაროები ჰქონდა ხელთ, ეს დღეს დავას არ იწვევს. გამოთქმულა ვარაუდი, რომ ქართველებს I საუკუნეში ჰქონდათ საისტორიო ნაწარმოები, რომელიც აზოს, არიან ქართლის მეფის ძის, ქართლში მოსვლის ამბავს მოგვითხრობდა (88,28), რომ არსებობდა ქრისტაანობის წინადროინდელი საისტორიო თხზულებები, საქართველოს ძველი ისტორიის გამოჩენილ მოღვაწეთა „ცხოვრებები“, ზეპირ საისტორიო თქმულებათა ციკლები მათ შესახებ (20; 69, 28-34), რომ „მეფეთა ცხოვრებაში“ შესული „ცხოვრება ფარნავაზისი“, როგორც დამოუკიდებელი თხზულება შექმნილია VI საუკუნის შუა ხანებზე ადრე (90, 152-157).

როგორც ჩანს, „ქართლის ცხოვრების“ შედგენის და მასზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპები არსებობს. მაგ. გიორგი მელიქიშვილი, ერთ-ერთ უძველეს „ქართლის ცხოვრებად“ („საქართველოს ისტორიად“) „ქართლის მოქცევის ქრონიკას“ თვლის. ალბათ ეჭვს არ უნდა იწვევდეს ვარაუდი სხვადასხვა ეპოქების, თუ პიროვნებების შესახებ ცალკეული ძველი საისტორიო თხზულებების არსებობის შესახებ. შემდეგ, გარკვეულ ეტაპზე, დადგა ქვეყნის ერთიანი ისტორიის დაწერის საკითხი.

თავდაპირველად, შესაძლებელია, ქვეყნის ასეთი ერთიანი, ერთი სულისკვეთების გამომხატველი „ისტორია“ ეახტანგ გორგას-

ლის მეფობაში შექმნილიყო. როდესაც შეიქმნა ძლიერი და ერთიანი ადრეფეოდალური ქართული სახელმწიფო. ამ სახელმწიფოს სათავეში მდგომარეობდა დიდი მოღვაწე, მეფე ვახტანგმა, სხვა ლონისძიებებთან ერთად, ქვეყნის ერთიანი ისტორიის შექმნის საკითხსაც შიამაყით ყურადღება. რასაკვირველია ამ „ისტორიამ“ (თუ ის შეიქმნა) ჩვენამდე იმდროინდელი სახით არ მოაღწია, მან მრავალი ვადაკეთება, შევსება-რედაქტირება განიცადა.

საფუძვლიანი ჩანს მოსაზრება, რომ ვახტანგის მოღვაწეობა ცალკე უნდა აღეწერათ და ის „ქართლის ცხოვრებაში“ შეიტანეს.

როგორც უკვე ითქვა, ჯუანშერის შესახებ არსებული „მინაწერი“ თითქოს არ ჩანს, რომ VIII-IX საუკუნეთა მიჯნაზე გაწერილიყო მუშაობა მთლიანად არსებულ კრებულზე, „მინაწერიდან“ თითქოს ის უფრო ჩანს, რომ „ქართლის ცხოვრება“, რომელიც უამითი-უამად აღიწერებოდა მოყვანილი იყო ვახტანგამდე. ჯუანშერმა გააგრძელა, შეავსო არსებული ხარვეზი („ვახტანგ მეფისი-თგან ვიდრე აქამომდე“). „მინაწერის“ თანახმად ჯუანშერს საერთოდ ტექსტზე არ უმუშავებია, მანამდე უამითი-უამად „აღწერილი“ ბელახლა აღარ „აღწერია“.

სხვაგვარი სახის სამუშაო ჩაატარა ლეონტი მროველმა. „მინაწერის“ თანახმად, მან „აღწერა“, ბელახლა დაწერა მთელი უძველესი ნაწილი, და შეიძლება ვიფიქროთ, შეავსო არსებული ხარვეზი, მიუმატა VIII-XI საუკუნის ისტორია, როგორც უკვე ვთქვი. ან თვითონ დაწერა, ან არსებული დაუმატა, ან საგანგებოდ დააწერინა „ქართლის ცხოვრებისათვის“. თუ ეს თხზულება საგანგებოდ დაწერილი „ქართლის ცხოვრებისათვის“, მაშინ გასაგებია, თუ რატომ არა აქვს მას არც სათაური, და არც ავტორი ჰყავს.

გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ ლეონტი მროველი, რომელიც შემდეგ „მეფეთა ცხოვრების“ ავტორად იქნა მიჩნეული, შეიძლება არის ქართული საისტორიო ტრადიციის თავისებური სისტემატიზატორი (91, 142; 34, 10).

ანგარიშგასაწევი ჩანს რ. კიკნაძის საბუთიანობა „ქართლის ცხოვრების“ კრებულის, როგორც ოფიციალური „ისტორიის“, დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის ხანასთან დაკავშირების თვალ-

საზრისით. რომ „ქართლის ცხოვრება“, როგორც ერის ერთიანო ისტორია დავითის მოღვაწეობამდე არსებობდა, ეს ზემოთ მოტანილი მინაწერებით და მსჯელობით, თითქოს სადავო არ უნდა იყოს. მაგრამ არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ დავით აღმაშენებლის დროს ეს უკვე არსებული „ისტორია“ (შეიძლება არსებულ „ისტორიათა“ შორის ერთ-ერთი) სხვა „ისტორიებისაგან“ განსხვავებით ერის ოფიციალურ „ისტორიად“ იქნა აღიარებული და ამ მიზნით ის შეიძლება საგანგებოდ გადაამუშავეს კიდევ, სათანადო რედაქცია გაუკეთეს.

ჩატარებულ იქნა რაიმე სარედაქციო სამუშაო „ქართლის ცხოვრებაზე“, როდესაც მას დავითის „ისტორია“ დაუმატეს, თუ მხოლოდ ხარვეზი შეავსეს — უცნობია, არც ისაა ცნობილი, თუ როგორ მოხდა ამ კრებულის შევსება XII-XIII საუკუნეების ამბებით, მხოლოდ ხარვეზი შეავსეს, თუ წინა ნაწილიც „გამართეს“..

ცალკე დგას სუმბატ დავითის-ძე ბაგრატიონთა „ისტორია“. ეს თხზულება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბაგრატიონთა გვარის უმაღლესი აღზევების, ქართული სახელმწიფოს ძლიერების დროს უნდა შეეტანათ ერის ოფიციალურ „ისტორიაში“, რ. კიკნაძის ვარაუდით XII საუკუნის მეორე ნახევარში (2, 26-27).

„ქართლის ცხოვრების“ ტექსტზე მუშაობაში სრულიად ახალი ეტაპი იწყება XVIII საუკუნიდან. როგორც ცნობილია, ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი მუშაობა „ქართლის ცხოვრების“ ტექსტზე ვახტანგის კომისიამ ჩაატარა.

ალბათ არ უნდა იყოს შეუძლებელი ამგვარად წარმოვიდგინოთ „ქართლის ცხოვრების“ თანდათან შევსების და რედაქტირების ისტორია.

ყოველივე აღნიშნული ეხება ე. წ. მცხეთური (მარიამისეული) ცკლის „ქართლის ცხოვრებას“. ვერაფერს ვიტყვით იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობდა (დავით აღმაშენებლის „ისტორიის“ შემდეგ) ე. წ. ანასეული (ქალაშვილისეული) ციკლის შემდგომი შევსება, როდის და რა ვითარებაში იქნა მასში შეტანილი მაგ. თამარის ე. წ. მეორე ისტორიკოსის თხზულება.

ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისით, „ქართლის ცხოვრებაში“ ისტორია გაბმული თხრობის სახით უნდა ყოფილიყო წარმოდგენი-

ლი, ამიტომ შევსება-რედაქტირების დროს, წინა ნაწილის გაგრძელება რომ ლოგიკური ყოფილიყო, საჭიროების შემთხვევაში, ძველ თხზულებას აჭრიდნენ ბოლოს, ან ახალს დასაწყისს. ამიტომ „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესულ თხზულებათა უმრავლესობას არა აქვს სათაური და არც თხზულების ავტორია ცნობილი. გამორიცხული არაა, რომ, როდესაც თხზულება საგანგებოდ „ქართლის ცხოვრებისათვის“ იწერებოდა, არც სათაურის გაკეთება მიაჩნდათ საჭიროდ და არც ავტორის ვინაობის მითითება (77, 39-45).

გ. ალასანიას აზრით, „ქართლის ცხოვრებაში“ შესულ თხზულებებს, როგორც წესი, ავტორისეული სათაურები არ ჰქონდათ, დასათაურება და თხზულებათა ნაწილებად დაყოფა შემდეგდროინდელი, მაგრამ ანასეული და მარიამისეული ნუსხების გადამწერ-რედაქტორებზე უფრო ადრინდელი გადამწერ-რედაქტორების მიერაა განხორციელებული. მკვლევრის აზრით, ეს საერთო ტენდენციაა, რომელიც არ გამორიცხავს ზოგიერთ კერძო შემთხვევაში სათაურის არსებობასაც (92, 97—106).

„მეფეთა ცხოვრება“ „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეულ ხელნაწერში ასე იწყება: „სახელითა მამისითა, ძისათა და სულისა წმიდისათა ვიწყო მითხრობად ცხოვრება ქართველთა მეფეთასა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“, რის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილი ასკვნის, რომ ამ თხზულების სრული სათაურია „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“. თავისი სათაური აქვს ანასეულ და მარიამისეულ ხელნაწერებში მეფე ვახტანგის ისტორიას: „ცხოვრება და მოქალაქობა ვახტანგ გორგასლისა მეფისა მშობელთა და შემდგომად თვთ მის დიდისა და ღთის მოყვარისა მეფისა, რომელი უმეტესადრე სხვათა სახელგანთქმულად გამოჩნდა ყოველთა მეფეთა ქართლისათა“. როგორც სათაურიდან ჩანს, თხზულების ავტორს ვახტანგის ისტორიამდე ჯერ მისი მშობლების მოღვაწეობის ხანა აღუწერია. ამ თხზულების დასათაურება (თუ ეს სათაური მერე არ არის გაკეთებული) საფუძველს იძლევა ვარაუდისათვის, რომ ვახტანგ გორგასლის ეპოქას შეიძლება ჰყოლოდა საკუთარი ისტორიკოსი.

ნუსხათა დღევანდელი მდგომარეობა არ იძლევა შესაძლებლობას გადაჭრით ითქვას, ვახტანგის და მის მემკვიდრეთა „ცხოვრება“ ერთი და იმავე ავტორს ეკუთვნის თუ არა, ხოლო ჭუანშერის შესახებ „მინაწერის“ „ვახტანგ მეფისითაგან ვიდრე აქამომდე“ ვახტანგის მეფობასაც მოიცავს თუ არა. როგორც უკვე ითქვა, სოგი ავტორი თელის, რომ საკუთრივ ვახტანგის მოღვაწეობა „მეფეთა ცხოვრების“ ნაწილია, სოგი კი იმ აზრისაა, რომ ვახტანგის მოღვაწეობის ხანა საკუთრივ ჭუანშერს ეკუთვნის, ხოლო მის მემკვიდრეთა — ფსევდო ჭუანშერს (55, 45). ვფიქრობ, უსადუძვლო არ უნდა იყოს ვარაუდი, დამყარებული სათაურისა და „მინაწერის“ მონაცემების შეჯერებაზე, რომ ვახტანგის უშუალო წინაპართა, საკუთრივ მის და შემდეგ მის მემკვიდრეთა ისტორია VIII საუკუნის ჩათვლით („არჩილის წამებამდე“), იმ სახით, როგორც მან ჩვენამდე მოაღწია, ერთი ავტორის ხელიდანაა გამოსული.

ჭუანშერის თხზულების, უფრო სწორად ლეონტის შესახებ მინაწერის შემდეგ, არის სათაური: „წამება წმიდისა და დიდებულიისა მოწამისა არჩილისი, რომელ იყო მეფე ქართლისა“.

პირველ რიგში საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ სათაურებზე საერთოდ ვმსჯელობთ ვახტანგის წინაღობის დღეი ნუსხების მიხედვით, რადგან, როგორც ცნობილია, „სწავლულ კაცთა“ კომისიის მიერ ჩატარებული ერთი დიდი სამუშაო, ძველი ხელნაწერების ტექსტში სათაურების გამოყოფასა და ტექსტის მთლიანად მეფეთა ზეობის მიხედვით დაყოფაში გამოიხატა. მაგრამ როდის გაკეთდა ეს სათაურები, ისინი ავტორისეულია, თუ აღრინდელი რედაქტორებისა, ამაზე ვერაფერს ვიტყვით.

„არჩილის წამების“ სათაურთან დაკავშირებით საჭიროა შევნიშნოთ, რომ, რადგან, ვახტანგის წინაღობის დღეი ნუსხებში ყველგან არის ფორმა „არჩილისი“ და არა „არჩილისა“ (4,245) უპირატესობას ძველ ფორმას ვანიჭებთ. ასევე საინტერესოა, რომ მარიამისეული ნუსხაში არჩილს ეწოდება არა „ქართლის მეფე“, არამედ „ქართველთა მეფე“. საინტერესოა ეს რომელიმე გვიანდელი გადაწერის კონიექტურაა, თუ თავიდან ასე იყო?

„არჩილის წამების“ შემდეგ მოდის უსათაურო და უავტორო თხზულება. თუ წინა თხზულებების ავტორთა შესახებ ცნობებს „მინაწერები“ გვაძლევდნენ, ახლა უკვე არც ავტორის და არც სათა-

ურის შესახებ არაერთი ცნობა არ მოგვეპოვება. ივ. ჯავახიშვილმა დავით აღმაშენებლის ისტორიაში მოხსენებული „ქართლის ძველი მატიაის“ მიხედვით ამ ანონიმურ თხზულების სათაურად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „მატიანე ქართლისა“ შემოგვთავაზა (1, 199—201). თხზულების დაწერის თარიღად, რომლის ავტორად ზოგი მკვლევარი ლეონტი მროველს თვლის, XI საუკუნის 60-იან წლებს ვარაუდობენ.

ამ უსათაურო და უავტორო თხზულებას „ქართლის ცხოვრების“ კრებულში მოსდევს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულება. ანასეულ „ქართლის ცხოვრებაში“ მას სათაური არა აქვს, ხოლო მარიამისეულში — გამოყოფილი აქვს სათაური „ცხოვრება მეფეთ მეფისა“, რომელიც ადასტურებს, რომ რედაქტორებს თუ გადამწერებს, ვახტანგის კომისიამდეც, შექპონდათ ტექსტში რედაქციული ხასიათის ცვლილებები.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ დავითის ისტორიკოსის თხზულებაში არ არის ნახმარი ზედწოდება „აღმაშენებელი“. მარიამისეულ და მაჩაბლისეულ ნუსხებში არა ტექსტის ხელითაა არშიაზე მიწერილი: დავით აღმაშენებელი (4, 324). „ქართლის ცხოვრების“ ჯანაშილისეულ ნუსხაში სათაურში დავითის შესახებ წერია: „რომელსა უწოდეს შემდგომად აღმაშენებელი“ (4, 318). მაგრამ როდის „უწოდეს“, ან ვინ „უწოდა“ ამაზე არაფერია ნათქვამი.

დავითს „აღმაშენებელი“ ეწოდება XV საუკუნის (130, 72—73; 62, 310) და ჰომდეგნო ხანის საბუთებში. რაც შეეხება ნარატიულ წყაროებს, ჩვენთვის ცნობილი უძველესი საისტორიო თხზულება, სადაც დავითს „აღმაშენებელი“ ეწოდება არის ფარსადან გორგიჯანიძის ნაწარმოები. ფარსადან გორგიჯანიძე წერს, რომ დავითმა აღაშენა მრავალი ეკლესია და მონასტერი და ეწოდა მას „აღმა-ამშენებელი“. როგორც პართებულად შენიშნავს რ. კიკნაძე, ეს „აღმა-ამშენებელი“ ფარსადან გორგიჯანიძის საისტორიო თხზულების ხელნაწერში „აღმაშენებლის“ დამახინჯებული ფორმაა (77, 52, შენ. 2), ასე რომ XVII საუკუნის ნარატიულ ძეგლში ის უკვე იწოდება „აღმაშენებლად“.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, როგორც ჩანს, ზოგიერთი მეფის

მიმართ არსებული ზედწოდებები ნაგვიანევი წარმოშობისაა, მაგალითად, გიორგი V მართალია ჟამთააღმწერლის თხზულებაში ეწოდება „ბრწყინვალე“, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს არ უნდა იყოს ზედწოდება, ვინაიდან თხზულების ტექსტში ნათქვამია: „მეფეთა შორის ბრწყინვალე“ (40, 255), ხოლო დემეტრეს (დემეტრე II) „თავდადებული“ მხოლოდ XVIII საუკუნის ტექსტში ეწოდება (40, 322).

„მატიანე ქართლისას“ დასასრული და დავითის ისტორიის დასაწყისი, იქ სადაც ორივე ავტორი დავითის მამის, გიორგი II მეფობაზე საუბრობს, ნაწილობრივ ავსებს ერთმანეთს, თუმცა გიორგის პიროვნების მიმართ ამ ორ ავტორს სრულიად განსხვავებული დამოკიდებულება აქვს.

დავითის „ისტორიის“ სავარაუდო ავტორის და თხზულების დაწერის დროის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული. თხზულების ავტორად მკვლევართა ნაწილი (სარგის კაკაბაძე, კ. კეკელიძე, ჯ. ოდიშელი...) მეფესთან დილაღე დაახლოებულ არსენ ბერს ვარაუდობს (74). თ. ყორღანია და ს. კაკაბაძე თხზულების დაწერის დროდ XII საუკუნის 30-იან წლებს მიიჩნევენ (71; 18, XLIV). ივ. ჭავჭავაძე — 1123—1126 წლებს (1, 205), ა. ბოგვერაძე, რომელიც იზიარებს თვალსაზრისს არსენ ბერის ავტორობის შესახებ, თვით თხზულების დაწერას მეფე დავითის გარდაცვალების შემდეგ ვარაუდობს (73, 70—83), ხოლო ი. ნასიბოვის აზრით, ეს თხზულება 1130 წლამდე უნდა იყოს დაწერილი (114, 67—68).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დავით აღმაშენებლის ისტორიის ჩათვლით ყველა ნუსხა ერთნაირი შედგენილობისაა. ეს პირველი ხუთი თხზულება (ივ. ჭავჭავაძის სქემით) ყველა ნუსხაში ერთნაირი თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი, ცვლილებები ნუსხათა შედგენილობაში დავითის ისტორიკოსის თხზულების შემდეგ იწყება.

ე. წ. „მცხეთური ციკლის“ ნუსხებში დავითის ისტორიკოსი თხზულების შემდეგ ჩართულია სუმბატ დავითის-ძის ბაგრატიონთა გვარის ისტორია. ეს ერთად ერთი თხზულებაა „ქართლის ცხოვრების“ კრებულში, რომლის დასაწყისშივეა აღნიშნული ავტორის

სახელი და სათაურიც. აღნიშნული გარემოება იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ ბაგრატიონთა გვარის ისტორია დამოუკიდებელი თხზულება იყო და შემდეგ, სრულიად გარკვეული მიზანდასახულებით შეიტანეს ის „ქართლის ცხოვრების“ კრებულში.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, სუმბატ დავითის-ძე ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენელი იყო.

თხზულება, რომელიც მოულოდნელად წყდება 1032 წლის მოვლენებზე XI საუკუნის 30-იან წლებში დაწერილად ითვლება.

ბაგრატიონთა გვარის ისტორია ერთადერთი საისტორიო ნაწარმოებია, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ კრებულში მთლიანად არღვევს წესისამებრ დაცულ ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას. სწოედ ამიტომ იყო, ვახტანგ VI „სწავლულმა კაცებმა“ რომ დაშალეს ეს თხზულება და მისი ცნობები ნაწილ-ნაწილ ჩართეს სათანადო ქრონოლოგიურ მონაკვეთებში.

„ქართლის ცხოვრების“ ვახტანგის წინადროინდელ ნუსხებში ამას შემდეგ არცერთ თხზულებას არა აქვს სათაური და არც თხზულების ავტორის ვინაობა ვიცით.

ხელნაწერებში არსებული და დაცული რეალიების საშუალებით დაიყო ეს თხზულებები და გამოითქვა სავარაუდო მოსაზრებები მათი შესაძლებელი დასათაურებისა და სავარაუდო ავტორთა შესახებ.

„მცხეთურ“ ციკლში სუმბატის თხზულების შემდეგ თამარის, ე. წ. პირველი ისტორიკოსის თხზულებაა, რომელსაც პირობით ეწოდება „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (ივ. ჯავახიშვილმა უწოდა თხზულების პირველი წინადადების მიხედვით), როგორც ვარაუდობენ, ავტორი თამარის თანამედროვეა, თხზულების პირველი ნაწილი, 1195-96 წლებში უნდა იყოს დამთავრებული, ხოლო მეორე, ბოლო ნაწილი, თამარის გარდაცვალების შემდეგ (18, XLVII, 1,222-223). გამოთქმულია აზრი, რომ ეს თხზულება თამარის მეფობიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ არის დაწერილი (134, 126).

ამ საისტორიო თხზულების დაწერის, მისი შედგენილობის, თუ ავტორის შესაძლებელი ვინაობის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვა თვალსაზრისია გამოთქმული. ზოგი მკვლევარი ამ თხზულებას ერთ მთლიან ნაწარმოებად, ხოლო ზოგი ორი ნაწილი-

საგან შემდგარად თვლის. შესაძლებელ ავტორად ასახელებენ სარგის თმოგველს, კიაბერს, ანტონ გლონისთავისძეს, არსენ იყალთოელს (40, 011). გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ ამ თხზულების ავტორი შეიძლება იყოს შოთა რუსთაველი (122, 159; 123, 7). აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგ მკვლევარს შოთა რუსთაველი თამარის ე. წ. მეორე ისტორიის ავტორად მიაჩნია (111,67).

თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულების დასასრულს, მარიამისეულ ნუსხაში წითურით წერია: „ამან დიდმან და სახელგანთქმულმან ცხოვრებასა შინა დაუტევა მძლეობა ქართველთა გამარჯვებისა“, რომლის შემდეგ იწყება გიორგი ლაშას მეფობა და თხრობა შეუწყვეტლივ მიმდინარეობს 1317 წლამდე, ილხან აბუსაიდის გარდაცვალებამდე.

ივ. ჭავჭავიძის ვარაუდით, ეს უსათაურო და უავტორო თხზულება, რომელიც მონღოლთა ასწლიანი მფლობელობის ხანას ეძღვნება, ეკუთვნის XIV საუკუნის ავტორს (არა უგვიანეს საუკუნის დასასრულისა), რომელსაც ივ. ჭავჭავიძე ეამთაღმწერელს უწოდებს, რადგან თხზულებაში „ისტორიის“ ცნების გადმოსაცემად იხმარება ტერმინი „ეამთაღმწერლობა“ (1, 246—249).

ამ თხზულების სხვადასხვა ნაწილთა ურთიერთმიმართებაზე, ავტორის შესაძლებელ ვინაობასა და სხვა საკითხებზე, სპეციალურ ლიტერატურაში (თ. ყორდანია, კ. კეკელიძე, კ. გრიგოლია, რ. კიკნაძე) სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული. თ. ყორდანია დაწვრილებით იხილავს ამ თხზულებას, მალაღ შეფასებას აძლევს მას და თვლის, რომ ეს „ასწლოვანი მატინანე“ ჭაყულების (სარგისის და ბექას) მიერაა დაწერილი. XIV საუკუნეში, მეფე გიორგი ბრწყინვალეს მეფობის დროს თხზულება მნიშვნელოვანი ცნობებით შეუესია ვინმე „ვარძიელ ბერს“, რომელსაც როგორც თანამედროვეს, ბევრი საინტერესო ცნობა შეუტანია მაგრამ, როგორც ბერს, რელიგიური აზრები გაუტარებია მასში. თ. ყორდანია თვლის, რომ ვარძიელ ბერს ეკუთვნის გიორგი ლაშას და რუსუდანის მოღვაწეობის უარყოფითი შეფასებაც (63, 556—559).

რ. კიკნაძეს ყველაზე მისაღებად თ. ყორდანიას მიერ შემოთავაზებული სათაური „ასწლოვანი ისტორია“ მიაჩნია. ამასთანავე, მისი აზრით, არ არის გამორიცხული, რომ ეს თხზულება საგანგე-

ბოდ „ქართლის ცხოვრებისათვის“ დაიწერა, როგორც „ისტორია-თა და აზმანთა“ გაგრძელება, და ამიტომ არა აქვს მას არავითარი „შესავალი“, და საერთოდ კრებულში შეტანის დროს მას არავითარი ცვლილება არ უნდა განეცადა (2, 52—59).

ამ თხზულებით მთავრდება ძველი „ქართლის ცხოვრების“ ე. წ. „მცხეთური“ ციკლი. ძველი „ქართლის ცხოვრების“ ანასეული ნუსხების ციკლში დავითის ისტორიკოსის თხზულების შემდეგ არის საისტორიო თხზულება, რომელიც მოკლედ მოგვითხრობს დემეტრე I (1125—1155), დავით V (1155—1156), გიორგი III (1156—1184), თამარის (1184—1213) და ლაშა გიორგი IV (1213—1222) მეფობათა შესახებ.

ანასეულ ნუსხაში ამ თხზულების ყოველ ნაწილს თავისი წითლით დაწერილი სათაური აქვს: „ცხოვრება დემეტრე მეფისა“, „ცხოვრება [გი] მეფისა“, „ცხოვრება დიდისა მეფეთ მეფისა თამარისი“, „ცხოვრება გიორგი მეფისა თამარის ძისა“.

ივ. ჭავჭავაძის თვალსაზრისით, ამ თხზულების ავტორი გიორგი ლაშას თანამედროვე უნდა იყოს, და დაწერის დროდ ის გიორგი ლაშას გარდაცვალებისა და ჩუსუდანის გამეფების პირველ წელს ვარაუდობს (1, 244—245). როგორც აღვნიშნეთ, ამ თხზულების დაწერის თარიღად ნ. შოშიაშვილი XVI საუკუნის ბოლოს, ან XVII საუკუნის დასაწყისს ვარაუდობს (11, 2-26): ნ. შოშიაშვილის ეს მოსაზრება არ გაიზიარა ილია ანთელავამ, მისი აზრით — თხზულება შედგენილი უნდა იყოს ორ ნაწილად, სხვადასხვა დროს, დემეტრეს, გიორგისა და თამარის „ცხოვრებათა“ შემკველი ნაწილი — დაწერილია ლაშა გიორგის სიცოცხლეშივე, თამარის გარდაცვალების ახლო ხანაში, ხოლო მეორე ნაწილი, თვით ლაშა გიორგის ცხოვრება კი — რუსუდანის მეფობის დასაწყისში“ (135, 144).

საკუთრივ ანასეული ნუსხა ამ თხზულებაზე მთავრდება.

ჭალაშვილისეული ნუსხა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცოტა განსხვავებულია ანასეულისაგან. დავითის ისტორიკოსის თხზულების ჩათვლით ის ანასეულის ტექსტს მიყვება, შემდეგ დემეტრე I და გიორგი III შესახებ თხრობისას, დემნა ბატონიშვილის აჯანყების ჩაქრობამდე, ისევე ანასეულ ნუსხას მიყვება, რომლის შემ-

დედ მოდის თაჰარის ე. წ. მეორე ისტორიკოსის თხზულება. ამ თხზულებას პირობით ეწოდება „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თაჰარისი“ და ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით ავტორი, შეიძლება იყოს ტექსტში მოხსენებული ჯვარის მტვირთველი ბასილი ეზოსმოძღვარი და თხზულება დაწერილი უნდა იყოს 1210—1213 წლებში (1,383—395).

პ. ინგოროყვა ამ თხზულების დაწერას XIII საუკუნის პირველი მეოთხედით ათარიღებს, კ. კეკელიძის აზრით ეს ნაწარმოები 1234 წელზე ადრე ვერ დაიწერებოდა. კ. კეკელიძეს (და კ. გრიგოლიას) არც ბასილი ეზოსმოძღვრის ავტორობის სასარგებლოდ მოტანილი ჯავახიშვილისეული საბუთიანობა მიაჩნია საკმაოდ (40, 015—020).

როგორც აღინიშნა, XVIII საუკუნეში ვახტანგს „ქართლის ცხოვრების“ სანიმუშო ცალად მარიამისეული ნუსხა ჰქონდა, რომლის გავრძელება და რედაქცია დაევალოთ „სწავლულ კაცებს“.

ვახტანგის კომისიამ შეიმუშავა ე. წ. „ახალი ქართლის ცხოვრება“, საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან ვახტანგ V შაჰნავაზამდე (1658—1675). ეს იყო ფაქტობრივად ამ კომისიის მიერ დაწერილი „ქართლის ცხოვრება“.

შემდეგ უკვე ამ ტექსტზე გრძელდებოდა მუშაობა.

ცნებას „ქართლის ცხოვრება“ ფართო მნიშვნელობა აქვს. „ქართლის ცხოვრება“ შეიძლება ეწოდოს საქართველოს ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთზე დაწერილ თხზულებას. ამ ნიშნით იყო XIX საუკუნეში „ქართლის ცხოვრებაში“ რომ შეიტანეს XVIII საუკუნეში დაწერილი სხვადასხვა თხზულებები, მაგ.: სეხნია ჩხეიძის, პაპუნა ორბელიანის და სხვა, თუმცა არცერთი მათგანი არ იყო დაწერილი საკუთრივ „ქართლის ცხოვრების“ კრებულისათვის.

ცნებას „ქართლის ცხოვრება“ აქვს კონკრეტული მნიშვნელობაც, კერძოდ ის ნიშნავს სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ავტორთა მიერ დაწერილ თხზულებათა გაერთიანება-რედაქტირების შედეგად შექმნილ საქართველოს ერთიან ისტორიას, ეს არის „ქართლის ცხოვრება“ ანუ „საქართველოს ისტორია“ თავისი თავდაპირველი გაგებით.

ვახტანგ VI კომისიის საქმიანობა

მართალია, „ქართლის ცხოვრების“ შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი კვლევა-ძიებაა ჩატარებული, რომელიც ამჟამადაც გრძელდება, მაგრამ, რადგან ამ კრებულის შესწავლის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ვახტანგის კომისიის მიერ გაწეულ სამუშაოს, სასურველად მივიჩნiewთ ამ საკითხის ცალკე გამოყოფა.

ამ კომისიის მუშაობის და მისი მნიშვნელობის შესახებ ფრიალ მნიშვნელოვანი მოსაზრებებია გამოთქმული სხვადასხვა ავტორთა მიერ (მ. ბროსე, კ. კეკელიძე, ივ. ჯავახიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი...).

ვახტანგის დროინდელი და მისი შემდგომი ხანის რიგი ახალი ხელნაწერების აღმოჩენამ, რუმინანცევისეული ნუსხის დაკარგული დასაწყისის მიკვლევამ, ყველა არსებულ ხელნაწერთა ერთობლივმა შესწავლამ, შედეგად მოგვცა კ. გრიგოლიას მონოგრაფიული გამოკვლევა: „ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან. ახალი ქართლის ცხოვრება“ (5), სადაც გამოთქმულია ახალი მოსაზრებანი ვახტანგის კომისიის მუშაობასთან დაკავშირებით. ამ ნაშრომში სათანადოდაა გაანალიზებული, როგორც წინამორბედ მკვლევართა მოსაზრებანი, ასევე თვით კომისიის ნამუშევარიც.

ვახტანგ VI კომისიის მუშაობას ეტაპური მნიშვნელობა ჰქონდა „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის მეცნიერული დამუშავების საქმეში.

თუ რა ამოცანა ჰქონდათ დასახული „სწავლულ კაცებს“ ეს ნათლადაა ჩამოყალიბებული ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრების“ შესავალში, სადაც ვკითხულობთ: „პატიოსანნო და დიდებულნო ქართველნო! ეამთა ვითარებისაგან „ქართლის ცხოვრება“ განწყუნილ იყო, რომელნიმე მწერალთა მიერ და რომელნიმე ეამ-

თა ვითარებისაგან არღარა წერებულ იყო. ხოლო მეხუთემან¹ ესტანგ ძემან ლეონისამან და ძმისწულმან სახელოვანის გიორგისამან, შეკრიბნა მეცნიერნი კაცნი, და მოიკუნა საცა რამ ქართლის ცხოვრებაები პოვნა და კუალად გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეკლესიათა და დიდებულთანი და შეამოწმეს და ჩიპელი გარყუნილ იყო განმართეს და სხუაჲა წერილნი მოიხუწეს, რომელნიჲე სომეხთა და სპარსთა ცხოვრებისაგან გამოიკუნეს და ესრეთ აღწერნეს". აღნიშნული მიმართვა მკითხველისადმი, მართალია ვახტანგის სახელითაა, მაგრამ დაწერილია მესამე პირში.

ასეთივე, მესამე პირში დაწერილი შესავალი აქვს დღეისთვის ცნობილ ვახტანგის შემდგომდროინდელ ყველა ნუსხას, გარდა რუმინეებისეული ნუსხის დასაწყისისა. რუმინეებისეულ ნუსხაში ეს შესავალი პირველ პირშია დაწერილი და სწორედ იქ ეწოდება მას „შესავალი“. რუმინეებისეულ ნუსხაში ვკითხულობთ: „შესავალი წიგნისა ამის ქართლის ცხოვრებისა: პატიოსანნო და დიდებულნო ქართულნო, ჟამთა ვითარებისაგან ქართლსა შინა ქართლის ცხოვრება შემცირებულ იყო, ხოლო მეფემან, ვახტანგ ძემან ლეონისამან და ძმისწულმან მეფის გიორგისამან, შევკრიბენ სწავლულნი კაცნი და სხუათა წერილთა და გუჯართაგან და რომელნიჲე სხუათა ენათაგანცა გამოვიღვეით და ესრეთ შევსებთხენით და აღვსწერენით“ (5, 199—200).

მართალია, ზოგი მკვლევარი უპირატესობას ამ პირველ პირში დაწერილ „შესავალს“ ანიჭებს, მაგრამ ამ ორი „შესავლის“ მიმართ ჩატარებული კვლევის შედეგად, კ. გრიგოლია სრულიად მართებულად უპირატესობას მესამე პირში დაწერილ „შესავალს“ აკეთუნებს (5, 199—205).

ვახტანგის მიმართვიდან, ქართველი მკითხველი საზოგადოებისადმი, ირკვევა, რომ ამ დროს „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერები უკვე მცირე რაოდენობით იყო დაცული და რომ ეს ხელნაწერები გადაწერთა შეცდომების გამო „გარყუნილ იყო“. ამასთანავე, „ჟამთა ვითარებისაგან“, ე. ი. ქვეყანაში არსებული მძიმე ისტორიული მდგომარეობის გამო, რომელიც X.IV საუკუნის შემდეგ

¹ ეს ვახტანგი, მეხუთეა ბაგრატიონთა გვარიდან. თანამედროვე სათვალავით ვახტანგ I. ვახტანგ გორგასალია, ამიტომ ტექსტში მოხსენიებული მეფე, ვახტანგ VI, ითვლება.

შეიქმნა, „ქართლის ცხოვრება“ „არღარა წერებულ იყო“, ე. ი. მის გამრავლებაზე, გაგრძელება-შევსებაზე აღარ უზრუნიათ და ვასტანგმა საჭიროდ სცნო აუწერელი ნაწილის (XIV—XVII სს.) „აღწერა“ და მათ ხელთ არსებული „ქართლის ცხოვრების“ „გარყუნილ“ ადგილთა რედაქტირება-შევსება-შესწორება, ფაქტობრივად თავიდან „აღწერა“.

ამასთანავე, ამ „შესავალი“-დან ჩანს, რომ სწავლულმა კაცებმა ფამოიყენეს ამ დროს ჯერ კიდევ არსებული „ქართლის ცხოვრებები“, ე. ი. XVIII საუკუნეში, საუკუნის დასაწყისში, საქართველოს სხვადასხვა „ისტორიები“, „ქართლის ცხოვრებები“ კიდევ არსებობდა.

რომ XVIII საუკუნის დასაწყისში, მის პირველ ნახევარში, ჯერ კიდევ არსებობდა ძველი „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერები, ამაზე პირდაპირ მითითებას ვახუშტი ბაგრატიონიც იძლევა, როდესაც ეხება რა, თავისი მუშაობის მეთოდს, წერს: „დედანი იგი მატიანისა შეურყეველად ჰგიეს არა ერთი, არამედ მრავალი“ (41,11).

სწავლულ კაცებს ამ მატიანებთან ერთად გამოუყენებიათ სიგელ-გუჯრები, უცხოური წერილობითი წყაროები.

ვასტანგმა, რომელსაც დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული კულტურის წინაშე, საგანგებო ყურადღება მიაქცია ეროვნული ისტორიის მთავარი წერილობითი ძეგლის მდგომარეობას და ამ საქმეს მთელი სერიოზულობით მოეკიდა, მას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მისცა.

ვასტანგს კარგად ესმოდა, რომ „ქართლის ცხოვრების“ არსებული ტექსტის რედაქტირება-გამართვა და საქართველოს ისტორიის აღუწერელი ნაწილის შევსება ერთი ადამიანისათვის ძნელად შესასრულებელი სამუშაო იქნებოდა და ამიტომ მან საგანგებო კომისია შეადგინა („სწავლულნი კაცნი“, იგივე „მეცნიერნი კაცნი“), ჩანს იმ დროს განათლებულ ისტორიკოსებად ცნობილ პირთაგან, გამოჩენილ მოღვაწეთაგან, რომელთაც უთავა ცნობილი ისტორიკოსი ბერი ეგნატაშვილი. მათ „ქართლის ცხოვრების“ ყველა ხელთ არსებული ხელნაწერის, სიგელ-გუჯრების და სხვა წყაროების მონაცემების გათვალისწინებით, უნდა გაემართათ ვადამწერთაგან შერყენილი ტექსტი, შეესწორებინათ ის, რაც მათი აზ-

რით შეცდომა იყო, და შეეცსოთ არსებული ხარვეზი, ე. ი. დაწე-
რათ მისი ახალი ნაწილი, XIV საუკუნეიდან.

ეს დიდი საქმე ვახტანგმა ჩანს, ბატონიშვილობის დროს წამოი-
წყო, დამთავრებით კი კომისიამ თავისი სამუშაო ვახტანგის მეფო-
ბის დროს, უფრო სწორად, ვახტანგის უკვე რუსეთში წასვლის
შემდეგ დაასრულა (67, 35; 5, 205—207).

როგორც უკვე აღინიშნა, მკვლევართა შორის აზრთა სხვადა-
სხვაობაა იმის თაობაზე, თუ რას ეწოდება „ახალი ქართლის ცხოვ-
რება“. მ. ჭანაშვილი, ივ. ჭავჭავაძე და ზოგი სხვა მკვლევარი
თვლის, რომ „ახალი ქართლის ცხოვრება“ XVIII საუკუნის დასა-
წყისში ბერი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით „მეცნიერ კაცთა“
მიერ დაწერილი XIV—XVIII საუკუნეების საქართველოს ისტო-
რიაა, ხოლო კ. გრიგოლიას, რ. კიკნაძის და ზოგი სხვა მკვლევრის
აზრით, „ახალი ქართლის ცხოვრება“ არის მეცნიერ კაცთა ხელი-
დან გამოსული „ქართლის ცხოვრება“ მთლიანად, მათ მიერ შევ-
სებულ-რედაქტირებული „ქართლის ცხოვრების“ ძველი ნაწილი
(XIV საუკუნემდე) და ამ ნაწილის გაგრძელება XIV—XVIII საუ-
კუნეების ისტორიასთან ერთად (4, 023—024; 5, 279—286).

„ახალი ქართლის ცხოვრება“ მართლაც ეს მთლიანი წიგნი უნ-
და იყოს, ხოლო საკუთრივ XIV—XVIII სს. ისტორია „ძველი
ქართლის ცხოვრების“ გაგრძელება.

მთელი XVIII საუკუნის მანძილზე გაბატონებული იყო „ქართ-
ლის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქცია, რომლის შევსება და
რედაქტირება შემდეგაც გრძელდებოდა (5, 194—196).

როგორც აღვნიშნეთ, „ქართლის ცხოვრების“ ტექსტზე მუშა-
ობა ვახტანგს ბატონიშვილობის დროს დაუწყია. მას ხელთ ჰქონ-
და მარიამისეული ნუსხა, რომლის კიდევბზე ბატონიშვილს შენიშვ-
ნები უკეთებია (67, 35). შეიძლება მართებული იყოს ვარაუდი,
რომ ვახუშტი ამ „ქართლის ცხოვრებით“ სწავლობდა ეროვნულ
ისტორიას, და აღნიშნული ნუსხა „ქართლის ცხოვრების“ ის ცა-
ლი უნდა იყოს, რომელიც მარიამ დედოფალმა XVII საუკუნის
პირველ ნახევარში ოფიციალური, მცხეთური ხელნაწერიდან გა-
დააწერიინა სამეფო სახლის საჭიროებისათვის.

ვახტანგის მიერ შექმნილი კომისია, ჩანს, ამ ხელნაწერით სარ-

გებლობდა და „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის რედაქტირების დროს მეცნიერი ბატონიშვილის შენიშვნებსაც ითვალისწინებდა. კომისიას „ქართლის ცხოვრების“ ანასეული ნუსხითაც უსარგებლობდა.

„ქართლის ცხოვრების“ მეცნიერ კაცთა მიერ რედაქტირებული ძველი ნაწილი ვახტანგს პირადად უნახავს და შენიშვნებიც უკეთებია, რაც რუმბინცევისეულმა ხელნაწერმა შემოგვიინახა. „მეცნიერ კაცებს“ გაუთვალისწინებიათ ვახტანგის შენიშვნები „ქართლის ცხოვრების“ ძველ ნაწილზე და შეუტანიათ ახალ ხელნაწერში, ე. წ. ჯანაშვილისეულში, რომელიც მეფისათვის იყო გამოზიარებული.

რაც შეეხება „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებას, მასზე მუშაობას კომისია დიდხანს მოუნდა. ეს სამუშაო მან უკვე ვახტანგის რუსეთში ყოფნის დროს დაასრულა. მართალია ეს „გაგრძელება“ გაუგზავნეს ვახტანგს რუსეთში, მაგრამ, როგორც ჩანს, ვახტანგს ის არ უნახავს (5, 207—208). და ვახუშტი ბაგრატიონის შენიშვნა, რომ „სწავლულ კაცებს“ „აღუწერიათ ცხოვრებაცა საზელითა ლევანის ძის მეფის ვახტანგისათა, რომელი არა საგონებელ არს მის მიერ გარნა თუმცა ბრძანებითა მისითა არს, არამედ მას თვთ არღარა განუხილავს ვითარება მისი“ (41, 292), სწორი უნდა იყოს.

ბერი ეგნატაშვილის მეთაურობით შექმნილი კომისიის კოლექტიური ნაშრომი, რომელიც ვახტანგს მოსკოვში გაუგზავნეს და რომლის გაცნობა მან ვერ შეძლო, ვახუშტი ბაგრატიონთან მოხვდა. გამორიცხული არ არის რომ ეს ხელნაწერი თვითონ ვახტანგმა გადასცა გასაცნობად თავის სწავლულ შვილს. ვახუშტიმ იმუშავა ტექსტზე, მას თავისი შენიშვნები დაურთო. ეს ხელნაწერი შემდეგ ისევ საქართველოში დააბრუნეს და ვახუშტის შენიშვნების ნაწილი, მაინც შეიტანეს იმ ნუსხაში, რომელიც ვახტანგისთვის იყო გათვალისწინებული (ჯანაშვილისეული რომ ეწოდება).

ვახტანგის „სწავლულმა კაცებმა“ ძალიან დიდი შრომა გასწიეს, რათა „ქართლის ცხოვრების“ ამ ეროვნული ისტორიისათვის მათი დროის შესაფერისი სახე მიეცათ.

„ქართლის ცხოვრებას“ მათ პირველ რიგში წარუმძღვარეს

„შესაჯალა“, რომლითაც მკითხველ საზოგადოებას აუწყებს ეროვნული ისტორიის ამსახველი წიგნის მდგომარეობა, და დაასაბუთებს მისი არსებული ტექსტის გამართვა-გასწორების, გადაკეთებებისა და ახალი ნაწილის შეთხზვის აუცილებლობა.

მათ ტექსტი დაყვეს და დაასათაურეს მეფეთა ზეობის მიხედვით, რაც დიდად აადვილებდა წიგნით სარგებლობას. მართალია, ასეთი (მეფეთა ზეობის მიხედვით) დაყოფის ცდას, ჩანს, ადრეც ჰქონია ადგილი, რისი ნაკვალევი არის ანასეულ ნუსხაში, მაგრამ მაშინ ეს საქმე ბოლომდე ვერ მიუყვანიათ (66, 103; 4, 025—028; 5, 208—215). ასეთი მუშაობის კვალი უნდა იყოს მარიამისეულ ნუსხაში დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულების სათაური: „ცხოვრება მეფეთ მეფისა“.

„სწავლულთა კომისიას“ ჩაუთვლია, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ სათანადო სისრულით არ იყო წარმოდგენილი ქართული ეკლესიის და დიდ საეკლესიო მოღვაწეთა ისტორია და ტექსტში შეუტანიათ ძირითადად ცნობილ საეკლესიო პირთა, პეტრე იბერის, ასურელი მამების, დავით და კოსტანტინეს, გობრონის, ექვთიმე მთაწმიდელის და სხვათა მოღვაწეობის ამსახველი ჩანართები.

XVIII საუკუნეში პრეტენზია „ქართლის ცხოვრების“ მიმართ, რომ მასში სათანადო სისრულით არ იყო წარმოდგენილი ქართული ეკლესიის ისტორია, ვახუშტი ბაგრატიონსაც ჰქონდა, ჩანს ეს მაშინ გაბატონებული აზრი იყო. ვახუშტის თვალსაზრისით, „მატიანე განიყოფების ოთხ ნაწილად: ადგილის აღწერად, ნათესავთმეტყველებად, წლისმრიცხველებად და მოქმედების აღწერად“, ე. ი. საისტორიო ნაწარმოები (მატიანე) უნდა შედგებოდეს ოთხი ნაწილისაგან: ისტორიული გეოგრაფიის, გენეალოგიის, ქრონოლოგიისა და ამბის თხრობის, საკუთრივ ისტორიისაგან, ხოლო „მოქმედების აღწერა“, ანუ ამბის თხრობა, ვახუშტის თანახმად, „განიყოფების ორად“, საეკლესიოდ და სამოქალაქოდ. „საეკლესიო არს წმიდათა ცხოვრება და ქმნულება მათნი“. ამასთანავე, ვახუშტის თვალსაზრისით, „ქართველთა მათიანე... ეკლესიის მათიანეს შეამოკლებს და სამოქალაქოს მოგვითხრობს შესხმითა და ვრცლად“ (41, 4).

კომისიამ, როგორც უკვე ითქვა, გარკვეული სამუშაო ჩაატარა „ქართლის ცხოვრებაში“ დიდ ქართველ საეკლესიო მოღვაწე-

თა ცხოვრების ამსახველი ჩანარების შეტანით, მაგრამ, ეტყობა, ჰომდეგნო თაობებისათვის ეს არ აღმოჩნდა საკმარისი და XVIII საუკუნეში (მის შემდეგაც) აწარმოებდნენ ასეთ სამუშაოს.

კომისიამ მის მიერ რედაქტირებულ ტექსტში ანასეული „ქართლის ცხოვრებიდან“ რამდენიმე ცნობა შეიტანა. არ არის გამოცხადებული, რომ ეს „ჩანარები“, ზოგი მათგანი მაინც, იმ სხვა „ქართლის ცხოვრებაებებიდანაც“ შეიტანეს, რომელიც მათ ჰქონდათ ხელთ, და რომელნიც დღეს ჩვენ განკარგულებაში აღარ არიან.

საგანგებოდ იმუშავა კომისიამ სუმბატ დავითის-ძის ბაგრატიონთა გვარის ისტორიაზე. მან არაბუნებრივად და არაპარტებულად ჩათვალა ამ თხზულების ცალკე, ქრონოლოგიური რიგის დარღვევით ჩართვა „ქართლის ცხოვრებაში“ და ის დაშალა. ნიშანდობლივია, რომ ის უძველესი ნაწილი, VI საუკუნემდე, ფაქტობრივად საერთოდ მოხსნა და VI საუკუნის შემდეგდროინდელი ცნობები სუმბატის თხზულებიდან, დანაწევრებულად შეიტანა სათანადო პოვლენებთან დაკავშირებით. კომისიამ შეიტანა ჯუანშერის თხზულების სათანადო ქრონოლოგიურ მონაკვეთში ცნობები სუმბატის თხზულებიდან ქართლის პირველი ერისპიჯის გუარამ კურაპალატის შესახებ. ხოლო შემდეგ, მოკლე მონაკვეთებად, ძირითადად „მატიანე ქართლისაში“ ჩართო ცნობები სუმბატის ქრონიკიდან იქ, სადაც საჭიროდ ჩათვალა ცნობების დამატება ბაგრატიონებზე.

ვახტანგისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ სუმბატის თხზულების, როგორც დამოუკიდებელი საისტორიო ნაწარმოების კვალი არ ჩანს. ასეთი თხზულების არსებობა XIX საუკუნის 80-იან წლებამდე, „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეული ნუსხის აღმოჩენამდე, საერთოდ არ იყო ცნობილი.

კომისიამ დიდი მუშაობა ჩაატარა თამარის მოღვაწეობის სათანადოდ წარმოსაჩენად. ჯერ კიდევ ე. თაყაიშვილი აღნიშნავდა, რომ ვახტანგის კომისიამ გამართა მარიამისეულ ნუსხაში არსებული თამარის ისტორიის შერყვნილი ადგილები და შეავსო უცნობი წყაროებიდან (67, 66).

ვახტანგის კომისიას, როგორც ჩანს, ხელთ ჰქონდა არამარტო „ქართლის ცხოვრების“ ჩვენამდე მოუღწეველი და, აგრეთვე, ჩვენს ხელთ არსებულზე უკეთესი ხელნაწერები, მას ხელთ უნდა

ჰქონოდა საქართველოს ისტორიის დღეისათვის უცნობი სხვა წყაროებიც, რაც კარგად დასტურდება XVII საუკუნის ისტორიკოსის ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებიდან (77, 100—106).

კომისიამ პირველ რიგში ცალკე გამოყო თამარის მამის გიორგის მოღვაწეობა, ხოლო თამარის „ისტორიის“ საფუძვლად აიღო თამარის ე. წ. პირველი ისტორიკოსის („ისტორიანი და აზმანი“) ტექსტი და ის ძირითადად შეავსო თამარის მეორე ისტორიკოსის ე. წ. ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულებით, ისარგებლა, აგრეთვე, ე. წ. ლაშა გიორგის დროინდელი მემატრიანის ნაწარმოებით. ამასთანავე, როგორც ტექსტოლოგიური ანალიზითაა დადგენილი, კომისიას ამათ გარდა ხელთ უნდა ჰქონოდა, დღესაც ჩვენთვის უცნობი, თამარის მოღვაწეობის ამსახველი სხვა თხზულებაც.

ფრიად შრომატევადი სამუშაო ჩაატარა კომისიამ უშუალოდ ვახტანგის მონაწილეობითა და მისი ხელმძღვანელობით საუკუნეთა მანძილზე „ქართლის ცხოვრების“ ძველ ხელნაწერებში მრავალ გადამწერთაგან ნებისთ თუ უნებლიედ დაშვებულ შეცდომათა გასასწორებლად.

ტექსტი სანიმუშოდ გამართეს. რასაკვირველია, ზოგი შეცდომა მათაც მოუვიდათ, მაგრამ ასეთი დიდი სამუშაოს უშეცდომოდ შესრულება შეუძლებელია. გასათვალისწინებელია ისიც, მიაჩნდათ თუ არა მათ შეცდომად ის, რაც ჩვენ დღეს ასეთად მიგვაჩნია.

სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა იმ საკითხზე, თუ „ქართლის ცხოვრების“ XVIII საუკუნის ნუსხათაგან, რომელია ვახტანგის კომისიის მიერ შედგენილი და რომელია შესწორებული თუ რედაქტირებული მომდევნო ხანის სხვა რედაქტორთა მიერ.

აღნიშნული საკითხი საგანგებოდ შეისწავლა კ. გრიგოლიამ (5, 123—328) და ვფიქრობ, გასათვალისწინებელია მისი დასკვნა, რომ „ვახტანგისეულია ქართლის ცხოვრების მხოლოდ ის რედაქცია, რომელიც რუმინანცევისეულ და მის მსგავს ჯანაშვილისეულ ნუსხებშია წარმოდგენილი. XVIII საუკუნის ყველა დანარჩენი ნუსხის რედაქციული სხვაობა სხვებს განეკუთვნება და გვიანდელია. უეჭველია, ისინიც ვახტანგის მიბაძვით და მის ნაღვაწ-ნაქნარის გასაღრმავებლად არის გაკეთებული. მაგრამ მათი ვახტანგისეულად გამოცხადება მაინც შეუწყნარებელია“ (5, 328).

როგორც არაერთგზის აღინიშნა, ვახტანგისეულ კომისიას უნდა დაეწერა საქართველოს XIV—XVII საუკუნეების, იმ ეპოქის ისტორია, რომელიც არ იყო წარმოდგენილი „ძველ ქართლის ცხოვრებაში“. „ქართლის ცხოვრების“ ამ „გაგრძელებამ“ ჩვენამდე სამი, ჭანაშვილისეული, ჭალაშვილისეული (ახალი ნაწილი) და მაჩაბლისეული ნუსხებით მოაღწია. მაჩაბლისეულ ნუსხაში ეს „გაგრძელება“ ჭალაშვილისეულისაგან მომდინარე უნდა იყოს (5, 263—264).

ივ. ჭავჭავიძის ვარაუდით, ჭანაშვილისეულსა და ჭალაშვილისეულს შორის უფრო ძველი, 1731 წელს მოსკოვში გადაწერილი ჭალაშვილისეული ნუსხა უნდა იყოს (1,370), ხოლო კ. გრივოლია ამ ორ ნუსხას შორის უპირატესობას ჭანაშვილისეულს ანიჭებს, რომელიც მას უშუალოდ ვახტანგის კომისიის ხელიდან ვამოსულად მიაჩნია. ეს ის ნუსხაა, რომელიც ვახტანგს გაუგზავნეს მოსკოვში, მასზე უმუშავნია ვახუშტი ბაგრატიონს და თავისი შენიშვნებიც დაურთავს. აქედან უნდა იყოს მოსკოვში გადაწერილი ჭალაშვილისეული ნუსხის ახალი ნაწილი. ჭანაშვილისეული ხელნაწერი ნაკლულია, ის 1534 წლის ამბებზე წყდება და მთლიანად „ქართლის ცხოვრების“ ეს „გაგრძელება“ შემონახულია ჭალაშვილისეულ და მისგან მომდინარე მაჩაბლისეულ ნუსხებში (1,376; 5, 264—266).

მაჩაბლისეულ ნუსხაში, განსხვავებით ჭალაშვილისეულისა და ჭანაშვილისეულისაგან, ჩართულია ეპიზოდები, რომელნიც ს. ყაუხჩიშვილის ვარაუდით, „ნუსხის რედაქტორის, გიორგი მაჩაბლის პაერ უნდა იყოს ჩართული, რადგანაც ეს ჩართული ეპიზოდები ნაწილობითა გვარის წარმომადგენელთა საქმიანობას გამოხატავენ, საფიქრებელია, რომ ისინი ამოღებულია მაჩაბლიანთ საგვარეულო პატიანედან“ (40,025).

„ქართლის ცხოვრების“ ეს „გაგრძელება“ კოლექტიური ნაშრომია, ის ვახტანგისეული კომისიის ერთობლივი მუშაობის შედეგადაა შექმნილი, მაგრამ, ამასთანავე, მის ავტორად ბერი ეგნატაშვილი ითვლება. ბერი ეგნატაშვილი, ჩანს, ამ კომისიის მეთაურა, ხელმძღვანელი იყო, შეიძლება მას ეკუთვნის შრომის საბოლოო გამართვა-რედაქცია (67, 120; 1,264).

„ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერებში ეს „გაგრძელება“ უშუალოდაა გადაბმული ე. წ. ეპითაღწერლის თხზულებაზე. „ქართლის ცხოვრების“ ორივე ძველ გამოცემაში (ბროსე-ჩუბინაშვილისეული და ჭიჭინაძისეული) გიორგი ბრწყინვალეს მეფობის დასაწყისი „გაგრძელების“ ტექსტადაა მიჩნეული. ე. თაყაიშვილი თვლის, რომ გიორგი ბრწყინვალეს მეფობა მთლიანად უნდა ყოფილიყო აღწერილი „ქართლის ცხოვრებაში“, თუმცა, როგორც თვითონ აღნიშნავს, ვახტანგის წინაღობიდან ნუსხაში (იგულისხმება მარიამისეული), შემორჩა მხოლოდ პანეგირიკულ ტონში დაწერილი მისი მეფობის დასაწყისის აღწერილობა და, ჩანს, ყველა ნუსხაში (რომელიც ალბათ ვახტანგის კომისიას პქონდა) ტექსტი ერთ სიტყვაზე, ერთ დასაწყის ასოზე [„წ“] მთავრდებოდა. ე. თაყაიშვილი წუხს, რომ არ აღმოჩნდა „ძველი ქართლის ცხოვრების“ ისეთი ნუსხა, რომელშიც გიორგი ბრწყინვალეს მეფობა მთლიანად იქნებოდა წარმოდგენილი (67, 61).

ეს საკითხი საგანგებოდ შეისწავლა კ. გრიგოლიამ. მისი აზრით, ეპითაღწერლის თხზულება მთავრდება გიორგი ბრწყინვალეს მეფობის დასაწყისზე, ხოლო ეგნატაშვილისეული „გაგრძელება“ იწყება სიტყვებით: „უამამდე ღთივ გვრგვონოსნისა მეფისა გიორგისამდე“. ს. ყაუხჩიშვილი იზიარებს ტექსტის ასეთ დაყოფას და მის გამოცემაში ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ ამ წინადადებით იწყება (40, 326). როგორც კ. გრიგოლია ვარაუდობს, ამ თხზულების დასაწყისი (ყაუხჩიშვილის გამოცემის გვ. 326, პირველი ამბზაცი), „მეცნიერ კაცთა“ საქმიანობის მეთოდოლოგიურ მიმოხილვას წარმოადგენს“ (5, 267).

„ქართლის ცხოვრების“ ეს „გაგრძელება“, რომელსაც ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაში სრულიად პირობითად ეწოდება: ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი (40, 326—442), მოიცავს პერიოდს XVII საუკუნის დასასრულამდე.

ვახტანგის წინააღობიდან ნუსხების აღმოჩენის შემდეგ უკვე შესაძლებელი გახდა გარკვევა იმისა, თუ რას წარმოადგენდა „ქართლის ცხოვრება“ მანამდე და, რა სამუშაო ჩაატარა ამ კომისიამ. აღნიშნულთან დაკავშირებით ალბათ უნდა ითქვას, რომ თუ მანამდე ეს ეროვნული ისტორია, მაინც ცალკეულ მატრიანთა

კრებული იყო, ისტორიის გამთლიანების გარკვეული ტენდენციით, ვახტანგის კომისიის მიერ ჩატარებული სამუშაოს შემდეგ მან, მთლიანად დაკარგა ასეთი ხასიათი და ის ერის ერთიან ისტორიად იქცა.

აფასებს რა, ვახტანგის კომისიის მუშაობას, ე. თაყაიშვილი ასკვნის, რომ ამ რედაქციამ „ქართლის ცხოვრებას“ მეფეთა ზეობის მიხედვით დაყოფილი ისტორიის ხასიათი მისცა. ყოველი მეფის ზეობის დასაწყისში გამოყო მეფის სახელი, მიუთითა დინასტია, მერამდენე მეფეა ის სამეფოს შექმნიდან და თავის თანამოსახელეთა შორის, დაუმატა მოკლე ცნობები მეფე დემეტრე I და მისი ძის, დავითის შესახებ (67,65). რედაქციის მიერ გაწეულმა სამუშაომ, რიგ შემთხვევებში გაასწორა დამახინჯებული ადგილები, შეავსო ის ქრონოლოგიური მონაცემებით, ახალი ცნობებით. ტექსტის სათაურებად დაყოფით და სისტემატიზაციით თანამედროვეთ გაუადვილა ეროვნული ისტორიის შესწავლა. თავისი დამატებებით შემოგვინახა სხვა წყაროებით უცნობი საინტერესო ფაქტები. მაგრამ, ამასთანავე, ე. თაყაიშვილის აზრით, რედაქციამ შეამცირა „ქართლის ცხოვრების“ მეცნიერული ღირებულება, დაუკარგა მას მათიანეთა კრებულის ხასიათი, რიგ შემთხვევებში არაპართებულად გაასწორა ტექსტი, ამოიღო, გამოტოვა ზოგი მნიშვნელოვანი ცნობა, უადგილო ჩამატებებით გააპრავლა წინააღმდეგობანი და ანაქრონიზმები, ცალკეული „ქრონიკები“ მთლიან ტექსტთან შერწყმულად წარმოადგინა და დაუკარგა მათ დამოუკიდებელი წყაროს მნიშვნელობა (67, 113—114).

ე. თაყაიშვილის ეს დასკვნა მიღებულია არა მხოლოდ ვახტანგის კომისიის ნამუშევრის, არამედ XVIII საუკუნის სხვა ნუსხების შესწავლის საფუძველზეც, რადგან მას ვახტანგისეულად მიაჩნდა ზოგი ვახტანგის შემდეგდროინდელი ნუსხაც, მაგრამ მისი შეფასება მთლიანად ვრცელდება ვახტანგის კომისიის მუშაობაზეც.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ვახტანგის კომისიის მიზანს შეადგენდა არა მარტო არსებული „ქართლის ცხოვრების“ მხოლოდ გადაწერა, და შემდეგ მისი გავრცელება, არამედ საჭიროდ სცნეს დაეწერათ „საქართველოს ისტორია“ იმ წყაროთა საფუძველზე, რაც მათ ჰქონდათ ხელთ. კომისიის ეს მიზანი კარგადაა ჩამოყალიბებული ვახტანგისეული „ქართლის

ცხოვრების“ ე. წ. „შესავალში“, სადაც აღნიშნულია, რომ მათ შეერიბნეს რაც კი „ქართლის ცხოვრებაები“ ჰქონდათ, აგრეთვე სიგელები, გუჯრები, უცხო ავტორთა ცნობები და „ესრეთ აღწერნეს“. სულ სხვა მხარეა საკითხისა ის, რომ საქართველოს ისტორიის იმ ნაწილში, რომლისთვისაც მათ ჰქონდათ ისეთი შესანიშნავი წყარო, როგორცაა „ძველი ქართლის ცხოვრება“, ისინი ძირითადად ამ წყაროს მიყვებიან და ნაწილობრივ ასწორებენ ან ავსებენ მას სხვა წყაროებით, შეიძლება ზოგ საკითხს სხვაგვარადაც იაზრებენ. მაგრამ ეს მათი მუშაობის ნაკლი როდია, ეს შუასაუკუნოვანი ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი მეთოდია. ხოლო საუაჯ მათ ასეთი წყარო აღარ ჰქონდათ (XIV საუკუნიდან) თავიდან წერენ.

ასეთი სამუშაოს შესრულება იყო ამ კომისიის ამოცანა, და ამდენად, ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრება“, გარკვეული თვალსაზრისით, არის ავტორთა კოლექტივის მიერ არსებულ „ქართლის ცხოვრებათა“ და სხვა წყაროთა გათვალისწინებით შექმნილი „საქართველოს ისტორია“, „ახალი ქართლის ცხოვრება“, „ვახტანგის ქრონიკა“, როგორც უწოდებს მას ზოგი.

მართებულად ასკვნის კ. გრიგოლია: „ესოდენ რთული და ეპოქალური მნიშვნელობის საქმე მან (ვახტანგის კომისიამ, მ. ლ.) მართლაც, ბრწყინვალედ შეასრულა. მისი მოღვაწეობის შედეგად ქართლის ცხოვრების ტექსტი მთლიანად გასწორებულ იქნა. ტექსტის არსას შეუცვლელად აღდგენილია მისი აზრის ლოგიკური სისწორე და გამოკვეთილობა. ქართლის ცხოვრება კვლავ ყველასათვის გასაგებ და ჩვეულებრივ სახმარ წიგნად იქცა“ (5,262).

ყველა ეტაპზე, როდესაც ხდებოდა „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის რედაქტირება თუ გამართვა, მას კრიტიკულად აფასებდნენ.

XVIII საუკუნის დასაწყისში, როდესაც „ქართლის ცხოვრება“ მოწინავე განათლებული საზოგადოების ყურადღების არეში მოექცა, მან სწორედ ვახტანგ მეფის და მის „სწავლულ კაცთა“ კრიტიკა დაიმსახურა. გარდა იმისა, რომ მათ ეროვნული „ისტორიის“ საშუაუკუნოვანი ხარვეზის არსებობას მიაქციეს ყურადღება, „სწავლული კაცები“ „ქართლის ცხოვრებას“ ქართული ეკლესიისა და

მის დღე მოდგაწეოა ისტორიის არასრულად წარმოჩენას უსაყვე-
დრად მტკნარ. როგორც მათ მიერ გაწეული მუშაობიდან ჩანს, „სწავ-
ლულმა კაცებმა“ სპეციალურ ჩათვალეს ეს „ისტორია“ თავისი დრო-
ის მოთხოვნილების შესაბამისად გაემართათ.

ვახტანგის კომისიის შემდეგ XVIII საუკუნეში „ქართლის
ცხოვრება“-ზე მუშაობა ისევ გრძელდებოდა.

„ახალი ქართლის ცხოვრების“ შექმნის შემდეგ ეროვნული
„ისტორია“ უკვე ეს წევრებულ-გადაკეთებული „ქართლის ცხოვ-
რება“ იყო და ამიერიდან მისი გადაწერა-გამრავლება, რედაქტი-
რება ხელახლა და ინტერესი ვახტანგის წინაღობინდელი ხელნა-
წერებისაღმი შენედა, ეს ხელნაწერები თანდათან იშვიათობად
იქცა. მაშინდელ უამოა ვითარებისაგანაც „შეპყირებული იყო“.

ვახტანგის კომისიის ნაშეშეგარმა თანამედროვეთა სერიოზული
კრიტიკა ღაიმსახურა. პირველი კრიტიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი
იყო. რომელმაც, როგორც აღვნიშნეთ, უარყო მისი მამის, მეფე
ვახტანგის მონაწილეობა კომისიისეული „ქართლის ცხოვრების“
გავრცელების შედგენაში. „ხოლო აღუწერიათ ცხოვრებაცა (იგუ-
ლასხუბნი „ქართლის ცხოვრების“ გავრცელება“, მ. ლ.) სახელითა
ლევანის ძისა მეფის ვახტანგისათა, რომელ არს საგონებელ არს
შოა მიერ ვარნა თქმცა ბრძანებითა მისითა არს, არამედ მას თვთ
არღარა ვანუხილავ ვითარება მისი“ (41, 292), წერს ვახუშტი
ბაგრატიონი და შემდეგ იძლევა მთელ რიგ შენიშვნებს კომისი-
ისეულ „გავრცელებასზე“.

ბერო ეგნატაშვილ-სეული „ქართლის ცხოვრების გავრცე-
ლას“ სხვა კრიტიკოსებიც ჰყავს.

ტექსტის ჯანაშვილისეულ ნუსხაში არის, როგორც ვახუშტის
ხელით გაკეთებული „შენიშვნები“, ასევე სხვაც. ერთ „შენიშვნა-
ში“ ვკითხულობთ: [ა]მას ქვემო ამ წიგნში ყველა სწორედ [ა]რ
უწერიათ ღწ [მი]უტეროს ეგნატა[შვილს] ბერს იმდენი შურიით
და მტერობით სიცრუე, მაგრა წერი[ლის] დაგდება მტერობით
[ქე]თილი და უმჯობესთაგანი საქმე არ არის (40, 322, შენ 6). ამის
შემდეგ იგივე ავტორი აკეთებს რიგ კონკრეტულ შენიშვნებს (40,
339, შენ. 2,4,6 და სხვა). იგივე კრიტიკოსი ერთ ადგილას წერს:
„ვახუშტი ბატონისეილის წერილი უფრო შეიწყნარება. თუმცა
თავისი სახლის სირცხვილები არა ჩაუფარცხავს რა და მეტიც

უწერია“ (40, 340, შენ. 3). „ქართლის ცხოვრების“ ეს „გაგრძელება“, რასაკვირველია, დაცული არაა შეცდომებისაგან, გამორიცხული არ არის, რომ „შენიშვნების“ ავტორებიც არ არიან ყოველთვის შეუმცდარნი და უცოდველნი. მართალია, ამ „გაგრძელებამ“ ივანე ჯავახიშვილის მკაცრი კრიტიკა დააჰსახურა, მაგრამ იგივე ივ. ჯავახიშვილი საერთოდ დადებით შეფასებას აძლევს „სწავლულ კაცთა“ ამ ნაშრომს და თვლის, რომ მათ „უმთავრესი საისტორიო თხზულებები, საქართველოს წარსულის დამსურათებელნი, როგორც ადგილობრივი, ისე სპარსული, სომხური და ბერძნულიც, შეუკრებიათ, ამასთანავე უსარგებლიათ ქრონიკონებითაც. ორსავე შემთხვევაში მომავალ მკვლევართ უვალი გზა გაუკაფეს და თითქმის მთელი მასალა შეუგროვეს“ (1,323).

ამასთანავე, ვახტანგის კომისიის მიერ გაწეული მუშაობის მნიშვნელობას ივ. ჯავახიშვილი სხვა მხრივაც შეეხო: „განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, რომ „სწავლულ კაცთ“ განუზრახავთ და შეუდგენიათ კიდევ მთელი, სრულიად საქართველოს ისტორია, და არა საქართველოს ერთ-ერთის კუთხის, ან ნაწილისა“, და ასკვნის: „საქართველოს ერთიანობის აზრი ძლიერი და ცხოველმყოფელი ყოფილა იმისდა მიუხედავად, რომ პოლიტიკური ცხოვრება დაწვრილმანებული და დაქსაქსული ყოფილა“ (1,319). ვახტანგისეული კომისიის მუშაობის ასეთი შეფასება ეხება საერთოდ მათ მიერ მთლიანად „ქართლის ცხოვრების“ ტექსტზე (უძველესი დროიდან) გაწეულ სამუშაოს, ხოლო რაც შეეხება მათ კოლექტიურ ნაშრომს, XIV—XVII საუკუნეების ისტორიას, ის, როგორც მართებულად შენიშნავს კ. გრიგოლია, „ავტორთა კოლექტივის ნაშრომი — „ქართლის ცხოვრების გაგრძელება“ ფაქტობრივად ცალმხრივი გამოვიდა. იქ საქართველოს მხოლოდ ერთი კუთხის — ქართლის ისტორია იყო წარმოდგენილი, დანარჩენი მხარეები კი: კახეთი, იმერეთი და სამცხე-საათაბაგო განხილული არ ყოფილა (5,274). მართალია, ავტორები აღნიშნული „ისტორიის“ ნაკლულად დაწერას წყაროების სიმცირითა და ხელმიუწვდომლობით ხსნიან, მაგრამ ეს მაინც არ არის გამართლება. თუკაც ამ თავის მართლებას, თუ შეიძლება ითქვას, აქვს თავისი მნიშვნელობა, მათ ესმით და შეგნებული აქვთ, რომ მსგავსად წინა, ძველი ნაწილისა, ეს ნაწილიც საქართველოს მთლიანი ისტორია უნდა იყოს.

„ქართლის ცხოვრების“ შემდგომი რედაქტირება- დამუშავება

XVIII საუკუნეში — „ქართლის ცხოვრების“ კიდევ სხვა „გაგრძელებები“ დაიწერა. ერთ-ერთი „გაგრძელება“, რომელსაც „გადაკეთებული“ ეწოდება, კ. გრიგოლიას აზრით, XVIII საუკუნის 60-იან წლებს განეკუთვნება. ეს ე. წ. „გადაკეთებული გაგრძელება“ „ახალი ქართლის ცხოვრების“ ბარათაშვილისეულ, დადიანისეულ, ფალავანდიშვილისეულ და სხვიტორულ ნუსხებში მოიპოვება. ვარაუდობენ, რომ სხვიტორულ ნუსხაში, რომელიც XVIII საუკუნის დამდეგით თარიღდება, ეს განაკვეთი 1745 წლის შემდეგ უნდა იყოს შეტანილი (40, 028; 5, 247—255; 180—185; 132, 31).

„გადაკეთებული გაგრძელება“, რომელიც XIII საუკუნის დამდეგით იწყება და 1605 წლამდე მოდის, ორი უთანაბრო ნაკვეთისაგან შედგება, იწყება ქსნის ერისთავ ვირშელის სიკვდილით და მისი ძის შალვას დაბადებით და, პირველი ნაკვეთი, რომელიც აღწევს 1452 წლამდე „შეიცავს ქსნის ერისთავთა ისტორიის მოკლე მიმოხილვას, ლანგთემურის შემოსევათა და ალექსანდრე დიდისა და მის მემკვიდრეთა შესახებ მოთხრობას“ (5, 307). მეორე, უფრო ვრცელი ნაკვეთი იწყება 1454 წლის მოვლენებით და წყდება XVIII საუკუნის დამდეგზე. ამ მეორე ნაკვეთს აქვს თავისი სათაური: „სახელითა ლათისათა, აწ ვიწყით ცხოვრება ბაგრატიანთა“ (5, 307).

ივ. ჯავახიშვილის, კ. გრიგოლიას, ს. ყაუხჩიშვილის აზრით, ეს „გაგრძელება“ წარმოადგენს ბერი ეგნატაშვილის ნაშრომის გადაკეთებას (1, 348; 5, 308; 40, 028). „გადაკეთებული გაგრძელება“, რომელიც კ. გრიგოლიას ორი ნაწილისაგან შემდგარ ერთ თხზულებად მიაჩნია (5, 308), „ქართლის ცხოვრების“ ბროსე-ჩუბინა-

შვილის და თაყაიშვილის გამოცემებში ორ დამოუკიდებელ თხზულებადაა შეტანილი. პირველი ნაწილი („და დაჯდა მეფე ადარნასე“) თაყაიშვილის მარიამისეული „ქართლის ცხოვრების“ დამატების 850—891 გვერდებია, ხოლო მეორე ნაწილი („ცხოვრება ბაგრატიონთა მეფობისა“) ამავე გამოცემის 892—972 გვერდებს მოიცავს. ორ თხზულებად მიაჩნია ეს „გაგრძელება“ ივ. ჯავახიშვილს და მას უწოდებს „ქცის გადაკეთებულ პირველ და მეორე გაგრძელებას“ (1, 349). ორ „გაგრძელებად“ თვლის მათ ს. ყაუხჩიშვილიც (40, 026—030) და ცალკე თხზულებებადაა ისინი შეტანილი მის მიერ გამოცემულ „ქართლის ცხოვრების“ მეორე ტომში, სადაც პირველს პირობითად ეწოდება „ახალი ქართლის ცხოვრება, მეორე ტექსტი“ (40, 443—476), მეორეს, „ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი“ (40, 477—539). ამ გაგრძელებას ივ. ჯავახიშვილი 1745-60 წწ. ათარილებს, აღნიშნულ დათარილებას იზიარებს კ. გრიგოლიაც (1, 365; 5, 307, 309, 313—314). ამ გაგრძელებათა ურთიერთმიპართების და დათარილების შესახებ სწვა მოსაზრებანიც არსებობს (131, 167). სარგის კაკაბაძეს მიაჩნია, რომ ეს შრომა 1730-იანი წლების ახლოს უნდა იყოს შექმნილი (133, XII). დაახლოებით ასევე ათარილებს ამ თხზულების დაწერას გ. ალასანია, რომელსაც მიაჩნია, რომ ეს გაგრძელება 1745 წლამდე, ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაზე ადრეა დაწერილი (132, 33). აღსანიშნავია, რომ მკვლევართა ნაწილი „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებებად მიიჩნევს ვახუშტი ბაგრატიონის XIV—XVII საუკუნეების ისტორიას, ე. წ. „პარიზის ქრონიკას“ და ზოგ სწვა თხზულებასაც (67, 91; 1, 348).

„გაგრძელების“ ახალი ვარიანტების პარალელურად XVIII საუკუნეში ვახტანგისეული კომისიის შესრულებული სამუშაოს შემდეგ „ქართლის ცხოვრებაზე“ ინტენსიურად უმუშავიათ, ახალი „ჩანარები“ დაურთავეთ და რიგ შემთხვევებში ტექსტშიც შეუტანიათ ცვლილებები (59, 268—279; 5, 287—325).

ვახტანგ VI რუსეთში გადახვეწას მძიმე შედეგები მოჰყვა. უპატრონოდ დარჩენილ ქვეყანას ჯერ ოსმალები (1723—1735), ხოლო შემდეგ ირანელები (1735—1747) დაეპატრონენ.

ქვეყნის რბევა-აოხრებას, ხოცვა-ჟლეტას ბოლო აღარ უჩანდა. 1744 წელს თეიმურაზისა და ერეკლეს ქართლსა და კახეთში გაჰყ-

ფებამ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში სამშვიდობო პერსპექტივები დასახა.

განაკუთრებით მძიმე იყო ის დიდი დანაკლისი კულტურული ცხოვრებისათვის, რაც ქვეყნის საუკეთესო ინტელექტუალური ძალის რუსეთში გახიზვნას მოჰყვა.

ვახტანგთან ერთად მისი თანამოაზრეები, კულტურული მოღვაწეებიც გაუდგნენ გზას რუსეთისაკენ. ქვეყანა ფაქტობრივად დაიცალა ინტელექტუალური ძალისაგან. ამ ხარვეზის შევსებას დიდი დრო, თაობები დასჭირდა. რუსეთში დასახლებული ქართველი მოღვაწეები არ იყვნენ სხვის კარზე მყოფი უხადრუკი ემიგრანტები. მათი საუკეთესო ნაწილი აქტიურად ჩაება რუსეთის კულტურულ ცხოვრებაში, მაგრამ ეროვნულ ნიადაგს მოწყვეტილნი, ერთგულეებს გარდა, გადასაშენებლად იყვნენ განწირულნი.

„უპირველეს ყოვლისა, საქართველოსათვის ეს იყო აუნასლაურებელი დანაკლისი — წერს ნიკო ბერძენიშვილი — ვახტანგ მეფეს თან გაჰყვა მის სახელმწიფოებრივს თუ კულტურულს შემოქმედებაში თანამშრომელთა დიდი უმრავლესობა. ქართლი ერთბაშად დაიცალა მოწინავე გონებრივ მუშაკთაგან და ქვეყანაში დიდის ხნით შეწყდა ეგრე გაცხოველებული კულტურული მოღვაწეობა. რა თქმა უნდა, სამშობლოდან გადახვეწილთ მუშაობა არ შეუწყვეტიათ, ისინი მოსკოვში განაგრძობდნენ სასარგებლო საქმიანობას, სთარგმნიდნენ რუსულიდან სამეცნიერო-სასწავლო წიგნებს, კვლავ აღადგინეს არჩილის მიერ გამართული სტამბა, სადაც ბეჭდავდნენ ქართულ წიგნებს, განაგრძობდნენ სამშობლოში დაწყებულ სამეცნიერო შრომებს, თხზავდნენ პოემებს, ლექსებს და სხვა. მაგრამ მათი ეს მოღვაწეობა იმ დროის საქართველოს მეტად მცირედ რგებდა. სამშობლოში მათი ნაშუაკევი მცირედ მოდიოდა და იქ კულტურული მოღვაწეობის მოღუენების გამო ვერც სათანადო გამოძახილს პოულობდა. და, რაც უმთავრესი იყო, ინტენსიური მუშაობის შედეგად შექმნილი ქართული კულტურის ეს კერა აქ, უცხოეთში უმემკვიდრეოდ გადასაშენებლად იყო განწირული. საქართველოს ნიადაგს მოწყვეტილი მოსკოვის ქართველთა კოლონია კულტურულ მოღვაწეთა ახალ თაობას არ ქმნიდა“ (83, 313—314).

კულტურის დონის საერთო დაცემამ ისტორიულ აზროვნებაზე,

კერძოდ „ქართლის ცხოვრებაზეც“ მოახდინა თავისი გავლენა. ქართლ-კახეთში კულტურული ცხოვრების აღორძინებას კიდევ დიდი დრო დასჭირდა.

ერეკლე მეორე აქტიურად იღვწოდა კულტურული ცხოვრების აღორძინებისათვის. ამასთანავე ის ცდილობდა სათანადო განათლება მიეცა თავისი შვილებისათვის. საქართველოს ისტორიის შესწავლისა და დამუშავების საქმეში საკმაოდ მნიშვნელოვანია მეფის ოჯახის წევრების, ერეკლეს შვილებისა და შვილისშვილების, მისი სახლის წევრების, ბაგრატიონების, ანტონის, ვახტანგის, დავითის, ბაგრატის, იოანეს, თეიმურაზის ღვაწლი. საკუთრივ „ქართლის ცხოვრება“-ზე მუშაობას განსაკუთრებული ადგილი უკავია თეიმურაზ ბაგრატიონის სამეცნიერო საქმიანობაში. ყურადსაღებია ის გარემოება, რომ „ქართლის ცხოვრების“ კარგი მცოდნე ყოფილა საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი XII, რომელმაც პლატონ იოსელიანის სიტყვით, „ქართლის ცხოვრება“ „უწყოდა რეცა ზეპირად“.

„ქართლის ცხოვრებისადმი“ მოწიწებითი და პატივისცემით დამოკიდებულება ერეკლეს ოჯახში საყოველთაო იყო. ამ მხრივ საინტერესო ფაქტია ის გარემოება, რომ „ქართლის ცხოვრებას“ მზითვში ატანდნენ სამეფო სახლის შვილებს — მეფე გიორგის ქალიშვილს ნინოს თავისი ნამზითვი „ქართლის ცხოვრება“ რუსეთში გადასახლებაშიც თან წაუღია და იქ „ქართლის ცხოვრების“ პირის დამზადებაც დაუვალებია თავის ამაღლაში მყოფი მწიგნობრებისათვის (5, 319—325).

როგორც უკვე ითქვა, XVIII საუკუნეში ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრების“ შექმნის შემდეგ, მუშაობა „ქართლის ცხოვრებაზე“ არ შეწყვეტილა, გრძელდებოდა, მაგრამ ამ მუშაობას ერთგვარად ცალმხრივი ხასიათი ჰქონდა. როგორც წესი, ყველა ეტაპზე ხდებოდა „ქართლის ცხოვრების“ შევსება, უმთავრესად საეკლესიო ისტორიის ფაქტებით, ეს შევსება ეკლესიის ისტორიის განვრცობას ისახავდა მიზნად. ჩანს, ამ მხრივ ვახტანგის კომისიის მიერ გაწეული მუშაობაც არ ჩაუთვლიათ საკმარისად. განსაკუთრებით გაუმახვილებიათ ყურადღება საქართველოში ქრისტიანობის თავდაპირველი ქადაგების, ანდრია მოციქულის მოღვაწეობის სფე-

როს, ქართული ეკლესიის თვითმწყობის და სხვა ამ რიგის საკითხებზე (5, 327—328).

XVIII საუკუნის სარედაქციო საქმეებთან დაკავშირებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმდროინდელი რედაქტორების დამოკიდებულებას „ქართლის ცხოვრების“ პირველ თხზულებაში გატარებული ე. წ. არმენოფილური ტენდენციის მიმართ.

ქართული ეროვნული ისტორიის მომთხრობი თხზულების ეს ტენდენცია დღემდე გაურკვეველი საკითხია. ზოგ მკვლევარს ის წიგნური გზით მიღებულად მიაჩნია, ზოგი მას შემდეგდროინდელი სომხეთის (ჰაოსიანების) მიწა-წყალზე ადრე ქართლოსიანთა მოსახლეობით ახსნას ცდილობს, ზოგი XI საუკუნის პოლიტიკური სიტუაციით, ავტორის მეთოდით. ლეონტი მროველის ისტორიული კონცეფციის პრობლემას (ფაქტობრივად მის ე. წ. „არმენოფილურ“ თვალსაზრისს) საგანგებო დისკუსია მიეძღვნა (115, 317—335). აღნიშნულ საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ა. აბდალაძის მონოგრაფიაში. სხვა ფაქტორებთან ერთად ავტორი ამ საქმეში მეფე ბაგრატ IV-ის დედის მარიამ დედოფლის (წარმოშობით სომეხის) მონაწილეობასაც თვლას შესაძლებლად (36, 53—185). ამასთანავე ცდილობს ლეონტი მროველის კონცეფცია იმდროინდელი საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესითა და პოზიციითაც ახსნას (139, 117—133).

ჩვენს მიზანს ამ პრობლემის კვლევა არ შეადგენს. საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ დღეს ქართულ ისტორიოგრაფიას ამ კითხვაზე გადამწყვეტი პასუხი არა აქვს. ერთი რამ კი ცხადია, იმ დროს, როდესაც ლეონტი მროველის ავტორობით ცნობილი „მეფეთა ცხოვრება“ იწერებოდა, ქართლოსზე ჰაოსის უფროსობა, და გარკვეულ დროს ქართლოსიანთა სალაპარაკო ენად სომხურის აღიარება სათაყილოდ არ ითვლებოდა (გარკვეულ წრეებში მაინც). ჩანს, სომხეთის პოლიტიკური სიძლიერე ანტიკური ხანის ზოგიერთ მონაკვეთებზე, სომეხთა მაღალი კულტურა, ჰაოსიანებსა და ქართლოსიანებს შორის იმ დროს არსებული ურთიერთობის ხასიათი არ იძლეოდა საფუძველს ამ თვალსაზრისის უარსაყოფად. მაგრამ, შემდეგ მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა. ფაქტობრივად პოლიტიკურუფლებადაკარგული, დასუსტებული, დაშლილი საქართველოს შვილებისათვის, გაწვევებული ქართულ-სომხურ-

რი კონფესიური თუ პოლიტიკური ურთიერთდაპირისპირებას. ერთ-თარებაში შეუძლებლად მიიჩნიეს ჰაოსის ქართლოსზე უპირატესობის, ქართლოსიანთა თავდაპირველ სალაპარაკო ენად სომხურის მიჩნევის შესაძლებლობა.

„ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „პირველად ვაქცენით ესე, რა ეთუ სომეხთა და ქართველთა. რანთა და მოვაკენდეთ, ჰართთა და ეკეთა, მეგრულთა და კავკასიანთა — ამათ თვისთა ერთი იყო მამა, სახელით თარგამოს“ (4,3) „ხოლო შველთა შორის მასთა (თარგამოსის, მ. ლ.) გამოჩნდეს კაცნი რუანა ვმირნი ძლიერნი სახელოვანნი, რომელთა სახელები ესე არს: პირველსა ერქვა ჰაოს. მეორესა ქართლოს, მესამესა ბარდოს, მეოთხესა მოვაკან, მეხუთესა ლეკ, მექუსესა ჰეროს, მეშვიდესა კავკას. მერვესა ეგროს. ესე რუანი იყვნენ გმირნი. ხოლო ჰაოს უმეტეს გმირი იყო ყოველთასა. რამეთუ ეგვეითარი არაოდეს ყოფილ იყო არცა წყლის-რღუნის წინათ და არცა შემდგომად ტანითა, ძალითა და სიმკნითა“ (4,4). და შემდეგ ავტორი ასკვნის: „და ამათ შვდთავე გმირთა ზედა იყო განმგებელ და უფალ ჰაოს. და ესე ყოველნი იყვნეს მორჩილ ჰაოსისა“ (4,6).

ხოლო რაც შეეხება ენის საკითხს, იქვე ვკითხულობთ, „აქამომდის ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, რომელსა ზრახვიდეს. ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხუნი ნათესავნი ქართლისა შინა, მაშინ ქართველთა დაუტევეს ენა სომხური და ამათ ყოველთა ნათესაეთაგან შეიქმნა ენა ქართული“ (4,16). როგორც ავტორის წინა წინადადებიდან ჩანს, მისი „აქამომდის“ გულისხმობა ბაბილონის მეფე ნაბუქუდონოსორის (604—562 წწ.) მიერ იერუსალიმის დაპყრობას და აოხრებას (586 წ.).

მართალია, „მეფეთა ცხოვრების“ არმენოფილური ტენდენცია მარტო ამ ორი ცნობით არ შემოიფარგლება, ამ თხზულების თანახმად, ქართლი თავისი ისტორიის დიდ მანძილზე ძვ. წ. II საუკუნიდან ახ. წ. IV საუკუნემდე სომხეთს „ჰკილია“, ე. ი. ის სომხეიზეა დამოკიდებული, მაგრამ ეს „ქართლის ცხოვრების“ გვიანდელი რედაქტორების თუ „გამსწორებლების“ ყურადღების მიღმა დარჩა, ასეთი კარდინალური ჩარევა „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში მათ არ ძალუძთ. მათ მხოლოდ ჰაოს-ქართლოსის ურთიერთობის და ენის საკითხი აინტერესებთ.

ნიშნადობლივია, რომ ვახტანგს „სწავლულ კაცებს“ „ქართლის ცხოვრების“ ამ მონაცვეთხე არავითარი მახიპულაციები არ ჩაუტარებიათ. ეს მათი, პირველ რიგში ამ საქმის ხელმძღვანელის, მეფე ვახტანგის, მაღალი პროფესიული შეგნების მანიშნებელია. მაგრამ, ზედდევ ეს საკითხი მწვავედ დაისვა. ვახტანგის შემდეგდროინდელ ხელნაწერებში, სახელდობრ ე. წ. თეიმურაზისეულში, საეკლესიო მუხეუმის და ურბნული ხელნაწერის ფრაგმენტში, ხელნაწერებში, რომელნიც XVIII საუკუნის მეორე ნახევარს განეკუთვნებიან, თარგამოსიანთა შორის უფროსობა ქართლოსსა აქვს მიკუთვნებული და ქართლოსიანთა ენად თავიდანვე ქართულია გამოცხადებული (67, 93; 5. 289—291). აქვე უნდა წეენიშნოთ, რომ ე. თაყაიშვილი მართალია იმ ხელნაწერს, რომელშიც ეს ცვლილებაა რუმინანკევისეულს უწოდებს, მაგრამ, როგორც ცნობილია, ამ ხელნაწერის პირველი დაკარგული გვერდების აღმოჩენის შემდეგ, აშკარა გახდა, რომ რუმინანკევისეულ ნუსხაში ასეთი ცვლილებები შეტანილი არ იყო.

როგორც ცნობილია, ქართულ შუასაუკუნოვან ისტორიოგრაფიაში ქართველთა წარმომავლობის საკითხზე ორი თვალსაზრისი არსებობს. ერთი, რომელიც „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკაშია წარმოდგენილი, ქართველთა თავდაპირველ სამშობლოდ არიან ქართლს, მცხეთის ქართლისაგან შორს სამხრეთით მდებარე ქვეყანას მიიჩნევს და მეორე, ე. წ. მროველისეული, რომელიც ქართველთა წარმომავლობას ბიბლიურ სქემას უფარდებს და ქართველებს თარგამოსიანთა შთამომავლებად და კავკასიის უძველეს მკვიდრებად თვლის (87, 128—130). როგორც ცნობილია, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკა ქრონოლოგიურად წინ უსწრებს „მეფეთა ცხოვრებას“. რიგი ავტორებისა მას „მეფეთა ცხოვრების“ ერთ-ერთ წყაროდაც თვლიან, რაც არ უნდა იყოს მოკლებული საფუძველს, მაგრამ აშკარაა ისიც, რომ „მეფეთა ცხოვრების“ ავტორი ქართველთა წარმომავლობის საკითხში არ დგას „ქრონიკის“ პოზიციანზე.

ნიშნადობლივია, რომ აღნიშნულ საკითხში ძირითადად „ქრონიკის“ პოზიციანზე დგას XII საუკუნის I ნახ. მწერალი არსენ ბერი, რომელსაც ს. ჭანაშია ფსევდო არსენ ბერს უწოდებს (94, ავტორი თხზულებისა „ცხოვრება ნინოჲსი“ 95, 7-51). არსენ ბერ-

მა ერთი მხრით გააკრიტიკა „ნინოს ცხოვრების“ მომთხრობი თხზულებები, ის წერს: „ესე ნეტარისა ნინოს „ცხოვრება“ შეუწყობლად და განბნეულად „ქართლისა მოქცევისა“ თანა და „ჰანბავსა მეფეთასა“ თანა აღრეულად სწერია“ (95, 51), და ქართველთა წარმომავლობის და ქართული ენის საკითხშიც არ გაიზიარა ლეონტისეული „მეფეთა ცხოვრების“ („ჰანბავი მეფეთას“) კონცეფცია. არსენ ბერი წერს: „ჩუენ ქართველნი შეილნი ვართ მათ არიან ქართლით გამოსრულთანი და ენა მათი უწყით. და ყოველნი მეფენი ქართლისანი ამათ მეფეთა შეილის-შეილნი არიან“ (95, 47). როგორც ს. ჭანაშია ასკვნის, ქართველთა წარმოშობის, მათი ენისა და მეფეების წარმომავლობის არსენისეული კონცეფციით „ძირეულად უარყოფილ იქნა ლეონტისეული კონსტრუქცია დინასტიათა ცვლის შესახებ ქართლში... რამდენადაც კატეგორიულად, ამდენადვე სამართლიანად უკუაგდო ფსევდო-არსენიმ ლეონტის უსუსური დებულებაც ქართული ენის წარმოშობის შესახებ; ჩვენ „ენა მათი (ე. ი. არიან ქართველების) უწყით“ ძველსა და ახალ სამშობლოში ხალხი ერთსადიამავე ენაზე მეტყველებდაო“ (94, 480—481). ძნელია თქმა, იცნობდნენ თუ არა ვახტანგისეული კომისიის წევრები „ქართლის მოქცევის“ ქრონიკას, ან არსენ ბერის თხზულებას, და თუ იცნობდნენ, რატომ არ ჩათვალეს შესაძლებლად „ქართლის ცხოვრების“ კრებულში არსებული კონცეფციის ხელყოფა.

XIX საუკუნეში ამ კონცეფციის კრიტიკამ სხვა მიმართულება მიიღო, რიგმა ქართველმა მოღვაწემ ქართველთა და ქართული ენის წარმოშობის არმენოფილური თვალსაზრისის „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანა მარი ბროსეს დააბრალა და ასეთი თვალსაზრისის შემუშავების საფუძვლად ე. წ. „სომხური ქრონიკა“, „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი მიიჩნია (67,93).

როგორც ცნობილია (რაც თავის დროზე შესანიშნავად დაასაბუთა ე. თაყაიშვილმა 67, 93—95) ბროსე და „სომხური ქრონიკა“ აქ არაფერ შუაშია, ეს თვალსაზრისი გატარებულია „ქართლის ცხოვრების“ ჩვენთვის ცნობილ ვახტანგის წინაღობინდელ ყველა ნუსხაში.

როგორც ჩანს, ასეთი თვალსაზრისი XII საუკუნეში უკვე იყო

„ქართლის ცხოვრებაში“, რის დასტურსაც წარმოადგენს ამ კონცეფციის არსებობისეული კრიტიკა (36, 47—49).

მარი ბროსეთვის ასეთი ბრალდების წაყენების საფუძველს ქმნიდა ის გარემოება, რომ „ქართლის ცხოვრების“ ე. წ. რუმინანცევისეული ნუსხის გადაკეთებულ დასაწყის ნაწილში სომეხთა და ქართველთა მითიურ წინაპარ თარგაშოსის შვილებს შორის პირველობა ქართლოსს აქვს მიკუთვნებული და ქართლოსიანთა თავდაპირველ ენად ქართულია მიჩნეული (67,93).

ეს ე. წ. რუმინანცევისეული ხელნაწერი XIX საუკუნის დასაწყისში პეტერბურგში შეიძინა თეიმურაზ ბაგრატიონმა (67, 93—97; 5, 123—136). ამ ხელნაწერს აკლდა (შეიძლება არც აკლდა?) პირველი 16 გვერდი, რომელიც თეიმურაზ ბატონიშვილს „თავისი მოძღვრის ტარასისათვის გადაუწერინებია და მით ხელნაწერი შეუვსია“ (5, 123), „ამ ბოლო დროს გამოირკვა, — წერს ე. თაყაიშვილი, — რომ პირველი ძველი რვეული რომელიც ამ ხელნაწერს აკლია და რომელიც შეიცავს 16 გვერდს დაკარგული კი არაა, არამედ პროფესორ დავით ჩუბინაშვილისეულ ბიბლიოთეკაში ყოფილა დაცული“. კ. გრიგოლიამ შეადარა რუმინანცევისეული ხელნაწერი დ. ჩუბინაშვილისეულ ბიბლიოთეკაში დაცულ, ე. თაყაიშვილის მიერ აღწერილ რვეულს და მართებულად შენიშნა, რომ ეს უკანასკნელი ეკუთვნის რუმინანცევისეულ ხელნაწერს (27, 7; 96). ის ცვლილებები, რაც პაოსიან-ქართლოსიანთა და სომხური და ქართული ენის ურთიერთმიმართებას ეხება, ე. თაყაიშვილმა XIX საუკუნის დასაწყისში თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ შეტანილად მიიჩნია. „ძნელი სათქმელია, — წერს ე. თაყაიშვილი, — თუ როგორ მოხვდა ეს რვეული დ. ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკაში. შესაძლოა თეიმურაზს ის დაკარგულად მიაჩნდა, როდესაც ხელნაწერს რუმინანცევის უძღვნიდა, ან (ეს უფრო საფიქრებელია) თეიმურაზმა ოგი განზრახ მოაშორა ძველ ხელნაწერს, რადგანაც იგი შეიცავს ცნობებს სომეხთა მამამთავრის პაოსის, ქართველთა მამამთავრის ქართლოსის მიმართ უპირატესობის შესახებ და აგრეთვე ცნობებს ქართული ენის წარმოშობის თაობაზე, რაც არ შეესაბამებოდა მის რწმენას და პატრიოტულ სულისკვეთებას“ (27,7).

ე. თაყაიშვილის მიერ, ჯერ კიდევ 1906 წელს გამოთქმული ვარაუდის საფუძველად, სახელდობრ, რომ „ქართლის ცხოვრების“

რუმინანცევისეული ხელნაწერის საწყის ნაწილში ცვლილებები თეიმურაზის მიერაა შეტანილი, მიანიხიის ის გარემოება, რომ ჰაოსიანთა ჯა ქართლოსიანთა ურთიერობის და ქართული და სომხური ენის ურთიერთმიმართების საკითხებში 1848 წელს პეტერბურგში გამოცემულ თეიმურაზ ზავრათონის ივერიის ისტორიაში ისეთივე თვალსაზრისია გატარებული, როგორც მისი დაკვეთით გადაწერილ „ქართლის ცხოვრების“ საწყის ნაწილში. თეიმურაზი წერს: „წარმოვიდა მაშინ თარგამოს მამა ქართლოსისა, ჰაოსისა და სხვათა ძმათა მისთა, მრავლითა ნათესავითურთ მათითა და ერიითა დიდითა და დაემკვიდრა არარატისა ჯა მასისი მათათა შინა“, შემდეგ ავრძელებს: „იგინი იყვნეს გმირნი და ძლიერნი ძალითა; მაგრამ მათ ყოველთა ზედა უფალი ჯა მთავარ იყო ქართლოსი“. თეიმურაზის ნაშრომში საგანგებოდ არის ხასხასმული ქართლოსის უპირველესობა ყველა თარგამოსიანებზე. რაც შეეხება ენის საკითხს, თეიმურაზი ქართლოსიანთა თავდაპირველ ენად ქართულს თვლის და, ამ დებულების საბუთად უთითებს ვანტანგისეულ „ქართლის ცხოვრებას“, უყვით რომ ვაქვით „ქართლის ცხოვრების“ იმ ვარიანტს, რომელშიც ეს საწყისი ტექსტი, ე. თაყაიშვილის აზრით, თეიმურაზის მიერვეა შეცვლილი (67, 98—99). თეიმურაზი ქართულ ენას მიიჩნევს თავდაპირველ ენად კავკასიის მთიელთა — აფხაზების, ოსების, ქისტების, ინგუშების, ლეკების და სხვათათვის და აღნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც ისინი ჩამოშორდნენ ქართველებს, აერივნენ სხვა ხალხებს და მიიღეს ისლამი, ყოველ მათგანს შეექმნა თავისი ენა, თუმცა, უთითებს თეიმურაზი, მათგან ბევრი ქართულად ლაპარაკობენ (67,99).

როგორც მართებულად შენიშნავს ე. თაყაიშვილი თავის ნაშრომის ამ ნაწილში, თეიმურაზი ვილაცას ყრუდ ეკამათება და ამასთანავე აღნიშნავს, რომ „რომელსაც ვანტანგის ისტორიას ეძახიან, ძალიან გაურყენიათ მწერალთა და ამისთვის უფრო დიდი შრომა ხაჰს ჭეშმარიტის გამოძიებისათვის“ (67, 100).

როგორც აღნიშნეთ, მართალია XII საუკუნის ავტორი, არსენ ბერი არ იზიარებს „ქართლის ცხოვრების“ ე. წ. არმენოფილურ კონცეფციას და აკრიტიკებს მას, მაგრამ თვით ტექსტში ჩარევა და მისი შეცვლა არავის ჩუთავლია შესაძლებლად და ეს ადგილები შეუცვლელად დასტოვა ვანტანგის კომისიამაც.

აღნიშნული ტექსტი თუ თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ არის შეცვლილი მას ეს დამსახურებად არ ჩაეთვლება. თეიმურაზ ბატონიშვილს სრული უფლება ჰქონდა არ გაეზიარებინა ეს კონცეფცია თავის ნაშრომში, გამოემყდნებინა თავისი კრიტიკული დამოკიდებულება „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერებისადმი. მაგრამ „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერის ტექსტის შეცვლის უფლება არ ჰქონდა. თეიმურაზის მოქმედების ახსნა მხოლოდ ინტროინდული საქართველოს მძიმე მდგომარეობით თუ შეიძლება. პოლიტიკურუფლებააყრილი საქართველოს სამეფო სახლის წარმომადგენელი, მეცნიერი ბატონიშვილი ვერ ეგუება საკითხის ამგვარ დაყენებას და ეძებს გამოსავალს, მაგრამ ეს, რასაკვირველია, არის მხოლოდ ახსნა და არა გამართლება.

შეიძლება არ იყოს გამორიცხული შესაძლებლობა, რომ თეიმურაზის ეპიკე „ქართლის ცხოვრების“ ძველი ხელნაწერების შეწყვეტის შესახებ, არ არის მთლად მოკლებული საფუძველს. მართალია, არსენ ბერის თხზულება ასაბუთებს იმ გარემოებას, რომ ასეთი თვალსაზრისი მის დროს უკვე უნდა ყოფილიყო „ქართლის ცხოვრებაში“, მაგრამ როგორც ცნობილია, XII საუკუნის საქართველოში სომხური ელემენტი, უმაღლეს ფეოდალურ არისტოკრატულ წრეებში, მაღალ თანამდებობებზე ძლიერად იყო წარმოდგენილი. მას შემდეგ, რაც სომხეთმა დაკარგა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, მოექცა ბინანტიელთა, ხოლო შემდეგ სელჩუკთა ბატონობის ქვეშ, საქართველოს მიერ სელჩუკთაგან განთავისუფლებული სომხეთის დიდი ნაწილი უშუალოდ საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში შემოვიდა და სომხურმა ფეოდალურმა არისტოკრატამ მკვიდრად მოიკიდა ფეხი საქართველოს სამეფო კარზე. მათ ეკავათ მაღალი ადმინისტრაციული თანამდებობანი საკუთრივ სომხურ პროვინციებში და სამეფო კარზე. ეს სომხები, ნასომხარი ქართველები, გადიოფიზიტებული მონოფიზიტები ყოველნაირად ცდილობდნენ თავისი უფლებრივი მდგომარეობის განმტკიცებას და დაკანონებას საქართველოს სამეფო კარზე. ამდენად, არ არის გამორიცხული „ქართლის ცხოვრების“ უძველეს ხელნაწერებში მათ მიერ, თუ მათი გავლენით, ზოგი ცვლილების შეტანა და შეიძლება სწორედ ამიტომაც, უკვე XII საუკუნის მეორე ნახევარში არსენ ბერი რომ აკრიტიკებს ამ თვალსაზრისს

არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ თეიმურაზს ხელთ ჰქონდა „ქართლის ცხოვრების“ ჩვენამდე მოუღწეველი რომელიმე ძველი ხელნაწერი, რომელშიც აღნიშნული საკითხები სწორედ ისე იყო წარმოდგენილი, როგორც ტარასი ბერის მიერ ე. წ. რუმინანტევისეული ხელნაწერისათვის გადაწერილ საწყის ნაწილშია.

გარაუდს, რომ „ქართლის ცხოვრების“ საწყისი ნაწილის კონცეფცია მერვა შეცვლილი, შეიძლება მხარს უჭერდეს ის გარემოება, რომ „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი წყაროა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკა, სადაც არაფერი ამის მსგავსი არ არის და, ასეთ ვითარებაში უფრო გაუგებარია „ქართლის ცხოვრების“ საწყისი ნაწილის კონცეფცია.

ე. წ. არმენოფილური ტენდენცია ლეონტიესულ „ნინოს ცხოვრებაშიც“ იჩენს თავს. „ნინოს ცხოვრების“ მროველისეულ ვერსიაში ვკითხულობთ: „წმინდა ნინო მეცნიერ იყო მცირედ ენასა სომხურსა, რამეთუ პირველ ესწავლა ნიაფორისაგან, და პოვა მწყემსთა მათ შორის სომხურად მზრახველი და ჰკითხა მას“ (4, 85), ეს ხდება ჯავახეთში. „მოქცევაჲ ქართლისაჲში“, რომელიც წარმოადგენს წყაროს ნინოს ცხოვრების მროველისეული ვერსიისათვის, ნინოს მიერ სომხურის ცოდნაზე და ჯავახეთში, ე. ი. საქართველოში სომხურად მოლაპარაკე მწყემსებზე არაფერია ნათქვამი (93, 115—116). „ნინოს ცხოვრების“ სხვა ვერსიებში, როდესაც ნინოსთან დაკავშირებით ენის საკითხი დგება, ყოველთვის მითითებულია მის მიერ ბერძნულის (პროპაულის), ებრაულის ცოდნაზე (93, 116—117), სომხური არსად არის დასახელებული. აშკარაა, რომ აქ ეს პასაჟი შემთხვევით არ არის შეტანილი და ის იმავე, ე. წ. არმენოფილური ტენდენციის გამოვლინებაა, რაც ახასიათებს „ქეფეთა ცხოვრების“ საწყის ნაწილს.

რომ ამ საქმეში სომხის, ან სომხურ წრეებთან ახლო მდგომი პირის ხელი შეიძლება ერიოს, ამაზე მინიშნებას იძლევა ის გარემოება, რომ სომხების ეპონიმად „ქართლის ცხოვრებაში“ დასახელებულია არა „სომეხი“, ქართული ფორმის შესატყვისი საკუთარი სახელი, ან „არმენი“; არამედ „ჰაოსი-ჰაიკი“, ის სახელი, რასაც თვითონ სომხები უწოდებენ თავის თავს. არ არის გამორიცხული

შესაძლებლობა, რომ ეს კონცეფცია წყაროსეულია და რომელი-
ღაც, ჩვენთვის უცნობი ძეგლიდან მომდინარეობს, ჩვენთვის უც-
ნობი, რადგან დღეს არ არსებობს ისეთი სომხური წყარო, სადაც
ასეთი კონცეფციაა წარმოდგენილი. თუ ეს „ქართლის ცხოვრების“
კრებულში გარკვეული მიზნითაა შეტანილი, მაშინ აქ ძალიან გავ-
ლენიან პიროვნებას, ან პიროვნებათა ჯგუფს შეიძლება ემოქმედნა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ყურადღებას იმსახურებს
ის გარემოება, რომ „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესული
არცერთი სხვა თხზულება არ ავლენს არმენოფილურ ტენდენციას.
XII საუკუნის ავტორები, რომლებიც ლეონტის თანამედროვენი
არიან (ჯუანშერი, „მატიანე ქართლისა“-ს ავტორი, სუმბატი), სრუ-
ლიად თავისუფალნი არიან ასეთი ტენდენციისაგან (36). გასათვა-
ლისწინებელია ის გარემოებაც, რომ ჯუანშერი ენათა და ხალხთა
ურთიერთმიმართების საკითხში ლეონტისაგან კარდინალურად განს-
ხვავებულ პოზიციასზე დგას (55, 28—29). ჯუანშერი წერს: „და დაუ-
ტევეს ყოველთა ქალაქი და წარვიდეს. და დაუტევენა ჰინდურად
მზარხველნი ჰინდოეთს, სინდნი — სინდეთს, ჰრომნი — ჰრომს,
ბერძენნი — საბერძენთს, აგ და მაგუგ მაგუგეთს, სპარსნი — სპარ-
სეთს, ხოლო პირველი ენა ასურებრი იყო, და ესე არიან შვიდნი
ენანი, რომელნი ნებროთისამდე ზრახვიდეს“ (4, 162—163). არ
არის გამორიცხული, რომ ჯუანშერის ეს კონცეფცია არის რეაქ-
ცია მროველისეულ კონცეფციაზე. ჯუანშერის ე. წ. „ლინგვისტურ
რუკაზე“ სომხურის არაარსებობა და ჯუანშერისათვის ცნობილ უძ-
ველეს ენათა შორის, პირველ ადგილზე მის მიერ სირიულის და-
ყენება მის მსოფლმხედველობით ტენდენციაზე მიუთითებს
(55, 29).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ე. წ. არმენოფილური კონცეფ-
ცია გატარებულია არა მხოლოდ პაოს-ქართლოსის უფროს-უმც-
როსობის და ქართველთა თავდაპირველი ენის საკითხში, „ქართ-
ლის ცხოვრების“ საწყისი ნაწილის თანახმად ძვ. წ. II საუკუნიდან
ახ. წ. IV საუკუნემდე ქართლი სომხეთს „ჰკიდია“. მაგრამ სხვა
ქართული და განსაკუთრებით უცხოური წერილობითი წყაროები
არ ადასტურებენ ისტორიის ამ მონაკვეთზე ყოველთვის ასეთი ვი-
თარების არსებობას (36, 64—65). ცნობილია, რომ ძვ. წ. III საუ-
კუნეში იბერია უფრო ძლიერი სახელმწიფო იყო, ვიდრე სომხეთი

(97, 455—458; 99, 102, 448—449, 452), ამ გარემოებას არც სომეხი მკვლევრები უარყოფენ. სტრაბონის ცნობებით აშკარაა, რომ სომხეთის გაძლიერება ძვ. წ. II ს-ის ბოლოს, არტაქსიასა და ზარიადრის დროს უკავშირდება (97, 457). მართალია, ჩვენ არა გვაქვს საკმაო ცნობები იმ დროის იბერია-სომხეთის ურთიერთობის ყველა დეტალების გასარკვევად. როდესაც, ლეონტი მროველით, უპირატესობა სომხეთს ენიჭება, მაგრამ თუ ლეონტი მროველის თანახმად, I ს-ის 30—60-იან წლებში მოღვაწე ქართლს მეფე ფარსმანი სუსტი ხელისუფალი იყო და მას თითქოს სომხებმა ქართლის სამხრეთი ოლქებიც წაართვეს, სხვა წყაროების, მაგ. ტაციტუსის, დიონ კასიუსის ცნობებით. არმაზში აღმოჩენილი წარწერით, ფარსმანი ძლიერი მეფეა, ის იბრძვის სომხეთის დაუფლებისათვის და მნიშვნელოვან წარმატებებსაც აღწევს ამ პრძოლანში (99, 448—456; 98, 510—522).

ასე რომ, ეს „არმენოფილური“ კონცეფცია იმ ნაწილში, სადაც მისი სხვა წყაროებით შენოწმება შესაძლებელია, ყოველთვის ვერ უბღებს კრიტიკას, რაც ქმნის საფუძველს ამ კონცეფციისადმი კრიტიკული მიდგომისათვის და, ბადებს ეჭვებს „ქართლის ცხოვრების“ საწყის ნაწილში მისი მოხვედრის გზების მიმართ.

ამგვარად, „ქართლის ცხოვრების“ კრებულში სხვადასხვა დროს მრავალი რედაქტორის ხელში გაიარა და ყველა რედაქციამ თავისი კვალი დასტოვა მასში. ამ სარედაქციო სამუშაოთა ერთი მთავარი მიზანი კრებულისათვის ერთიანი ისტორიის ხასიათის მიცემა და ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად მასში დამატებების თუ სხვა ხასიათის ცვლილებების შეტანა იყო.

ჩვენ რომ ხელთ გვექონდეს ამ ეროვნული ისტორიის ყველა ვარიანტი, დაწყებული მისი შექმნის დროიდან, მაშინ, რასაკვირველია, შეიძლებოდა გამოარკვევა, თუ რომელმა რედაქციამ საკუთრივ რა გააკეთა და რომელი სამუშაო იყო სასარგებლო და რომელი არა. მაგრამ, რადგან ჩვენ ასეთ შესაძლებლობას მოკლებული ვართ, მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შეგვიძლია. მეტნაკლებად შეიძლება ითქვას, თუ რა გააკეთა ვახტანგის კომისიამ, მაგრამ აქაც დაზღვეული არა ვართ უზუსტობათაგან, რადგან არ ვიცით, ვახტანგის კომისიას „ძველი ქართლის ცხოვრების“ იმ ნუსხებს

ვარდა, რომლებიც ჩვენ დღეს გვაქვს ხელთ, სხვა ნუსხებიც ჰქონდა თუ არა. ამიტომ ძნელია დაბეჭდვით მტკიცება, რა ეკუთვნის ვახტანგის რედაქციას და, რა არა, რადგან, როგორც ირკვევა, ზოგა რამ, რაც ჩვენ ვახტანგის კომისიის მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგად მიგვაჩნდა, უკვე იყო „ქართლის ცხოვრების“ ძველ ნუსხებში (68, XIV, 77, 100).

„ქართლის ცხოვრების“ შეფასება

წიგნი, სახელწოდებით „ქართლის ცხოვრება“, ქართულ წყაროებში პირველად მოხსენიებული უნდა იყოს არსენ ბერის „ნიონოს ცხოვრებაში“, სადაც ვკითხულობთ: „ამას ყოველსა „ქართლისა ცხოვრებისა“ წიგნი ვრცლად მოგვითხრობს“ (95, 48; 94, 48). იგივე წიგნი იხსენიება XIII საუკუნის ძეგლში, არჩილ მეფის მეტაფრასულ „წამებაში“, სადაც აღნიშნულია, რომ ლეონტი მროველს აღუწერია არჩილის ღვაწლი, როგორც ამის შესახებ მოგვითხრობს „მატიანე ქართველთა ცხოვრებისა“ (101, 248). ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ „ქართლის ცხოვრებას“ ამ დროს „მატიანე“ ეწოდება. „ქართლის ცხოვრება“ ძველ დოკუმენტებშიცაა მოხსენიებული. მაგ., საეკლესიო კრების „მონსენებაში“, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, 1263 წ. მეფე დავით VII-დმი უნდა იყოს წარდგენილი, აღნიშნულია, რომ საქართველოს ძნელი წარსული ჰქონია „ვითარ „ქართლის ცხოვრება“ გამოაჩენსო“ (102, 172). 1546 წლის დოკუმენტში მცხეთის სვეტიცხოვლის ბიბლიოთეკის წიგნებს შორის დასახელებულია „ქართლის ცხოვრება“, 1 ტალი (67, 59), კათალიკოს ექვთიმე საყვარელიძის მიერ (1578—1605) ბიჭვინთის ეკლესიისათვის შეწირულ წიგნთა შორის დასახელებულია „ერთი ქართლის ცხოვრება დახატული“ (67, 59; 86, 387). უცხოურ წყაროთაგან „ქართლის ცხოვრება“ დასახელებულია XIII საუკუნის მეორე ნახევრის სომეხი ისტორიკოსის სტეფანოზ ორბელიანის თხზულებაში (100, 30) და სახელწოდება სომხური ასოებით ქართული ფორმით წერია (100, 117). „ქართლის ცხოვრება“ ეწოდება ამ წიგნს „ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანში, სადაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სომხური ასოებით წერია ეს ქართული სახელწოდება (43, 208). ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ის გარემოებაც, რომ XIII

საუკუნის სომეხი ისტორიკოსი ვარდან დიდი მას „ქართველ მეფეთა წიგნს“ უწოდებს (36, 172). როგორც „ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანში, ასევე სტეფანოს ორბელიანის თხზულებაში ამ წიგნის სახელწოდების სომხურად ქართული ფორმით „ქართლის ცხოვრება“ („*ქართლის ცხოვრება*“) მოხსენიება და აგრეთვე არსებ ბერძნული გამოთქმა, რომ ამას მოგვიტხოვებს „წიგნი“ „ქართლის ცხოვრება“, იმას უნდა ნიშნავდეს, რომ აღნიშნული წიგნი სწორედ ამ სახელწოდებით უკვე შესულია მიმოქცევაში.

„ქართლის ცხოვრება“ ქართული შუასაუკუნოვანი ისტორიოგრაფიის უნიკალური ძეგლი და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს ძველი და შუასაუკუნოვანი ისტორიის უმნიშვნელოვანესი წყაროა.

ამასთანავე, მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, როგორც „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესულ თხზულებათა ავტორების ვინაობის, მათი მოღვაწეობის დროის, აგრეთვე, ამ თხზულებათა შეფასების, ისტორიისათვის მათი ცნობების სანდოობის საკითხი.

თუ თავდაპირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში „ქართლის ცხოვრების“ ყველა ცნობა ფაქტობრივად აბსოლუტურად უკრიტიკოდ იყო გაზიარებული, ივ. ჯავახიშვილის მიერ ჩატარებული დიდი წყაროთმცოდნეობითი კვლევის შედეგად, კრებულში შესული ზოგი თხზულების, სახელდობრ უძველესი ისტორიის შემცველი ნაწილის („მეფეთა ცხოვრება“ და „ვახტანგ გორგასალის ისტორია“) მიმართ, უაღრესად კრიტიკული დამოკიდებულება დაჰკვიდრდა. ამასთანავე, ისიც უნდა აღინიშნოს. რომ თვით ივ. ჯავახიშვილმა, მიუხედავად თავისი კრიტიკული დამოკიდებულებისა, შესაძლებლად თვლიდა ესარგებლა „მეფეთა ცხოვრების“ ზოგი მონაცემით და, უფრო მეტად „ვახტანგ გორგასალის ისტორიით“. აღნიშნულთან დაკავშირებით, სათანადო ყურადღებას იმსახურებს ცნობა იპის შესახებ, რომ „მეფეთა ცხოვრების“ ცნობებისადმი მეტი ნდობით მოპყრობის შესახებ 1922 წელს თავისი საინტერესო მოსაზრება გამოუთქვამს ალექსანდრე სვანიძეს, რომელსაც აღუნიშნავს, რომ „ამ წყაროს (იგულისხმება „მეფეთა ცხოვრება“, მ. ლ.), შინაური და გარეული ყველა უნდო თვალთ უყურებს...

ზოგს სრულიად უვარგის წყაროდ მიაჩნია ეს ქრონიკა, მაგრამ ეს შემცდარი აზრია. ქართლის ცხოვრების სინქრონიზმები გვიმტკიცებენ, რომ ზოგ უაზრო ცნობასთან ერთად, აქ მეტად მნიშვნელოვანი ისტორიული ცნობებიც მოიპოვება. ექვს გარეშეა, რომ მის ავტორს, ისეთი წყარო ან წყაროები ჰქონებია ხელთ, რომელნიც დღეს აღარ მოგვეპოვებინა“ (116,16).

მცხეთაში ახალი ეპიგრაფიკული ძეგლების აღმოჩენამ, შემდგომმა კვლევამ, დააყენა საკითხი „მეფეთა ცხოვრებისადმი“ ზედმეტად კრიტიკული დამოკიდებულების გადასინჯვის აუცილებლობის შესახებ (42, 47; 21, 50—52). თუმცა, ამასთანავე იმის გათვალისწინებაა საჭირო, რომ ჰიპერკრიტიკა უკრიტიკო დამოკიდებულებამ არ შეცვალოს (83, 549).

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში საგრძნობლად განსხვავდება აგრეთვე რიგ მკვლევართა დამოკიდებულება „ქართლის ცხოვრების“ ეახტანგ გორგასლის ისტორიის შემცველი ნაწილისადმი, რაც უჯარმის, ნოქალაქევის და ჭერემის არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულმა ზოგმა ფაქტმაც განაპირობა. მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებასაც, რომ ამ უძველეს ისტორიაში მოთხრობილი ზოგი ფაქტი უცხოური წერილობითი წყაროებითაც დასტურდება, რაც კიდევ უფრო სანდოს ხდის ამ თხზულებას (81, 11—13; 117).

„ქართლის ცხოვრების“ ძველი ციკლის სხვა თხზულებებს ასეთი მკაცრი კრიტიკული შეფასება არ დაუმსახურებიათ.

როგორც აღვნიშნეთ, „ქართლის ცხოვრება“ ქართული შუასაუკუნოვანი ისტორიოგრაფიის უნიკალური ძეგლია. ასეთი კრებული შედგენას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ერის ისტორიისათვის, რადგან ქვეყნის ისტორია მასში მთლიანობაშია წარმოდგენილი. ამასთანავე, ასეთი კრებულის შედგენით არაერთი ქართული საისტორიო თხზულება დაღუპვას გადაურჩა.

თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ „ქართლის ცხოვრებას“ შედგენამ ერთგვარი ხელოვნურად შერჩეული საისტორიო თხზულებათა კრებული შექმნა (1, 310).

ყველა თხზულება, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესატანად შეარჩიეს, ან საგანგებოდ ამ კრებულისათვის დაკვე-

თით დაწერეს, მეფის ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს უჭერს მხარს, და „ქართლის ცხოვრების“ წყალობით ქართული საისტორიო წყაროები ცოტა არ იყოს ცალმხრივად არის შერჩეული და შენახული“, ასკენის ივ. ჭავჭავიძე (1,41). მართალია, ამ მხრივ არის ზოგიერთი გამონაკლისი, მაგრამ ფრიად უმნიშვნელო.

უდავოა, რომ დიდ ფეოდალურ სასლებს თავისი საკუთარი „ისტორია“ ჰქონდათ, მაგრამ ასეთმა საისტორიო თხზულებებმა ჩვენამდე ძალიან მცირე რაოდენობით მოაღწიეს. უდავოა, რომ არსებობდა ბაღვაშთა საგვარეულოს ისტორია „წიგნი ბაღვაშთა“, რომელიც დაკარგულია. უფრო მოგვიანო ხანისა (XV საუკუნის დამდეგი) გვაქვს ცხრაზმის ხევის ერისთავთა საგვარეულო მატიაწე, სამცხის მთავართა ისტორია. თუ რომელიმე საგვარეულო მატიაწე წიგნის სიძვირის პირობებში ერთ, ან უკეთეს შემთხვევაში ორ-სამ ცალად შეიძლებოდა ყოფილიყო გადაწერილი გვარის დიდი ოჯახებისათვის, მთელი ქვეყნის ისტორიის, „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერები ბევრად მეტი უნდა ყოფილიყო. ამასთანავე, საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს ვარაუდი, რომ ეროვნული ისტორიის ერთი აუცილებელი ცალი მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში იყო დაცული, რომლის სათანადოდ დაცვაზე, გაგრძელება-შეესებაზე სახელმწიფო და ეკლესია ზრუნავდა. ასეთი „მცხეთური“ ნუსხიდანაა გადაწერილი სამეფო ოჯახის საჭიროებისათვის „ქართლის ცხოვრების“ მარიაამისეული ნუსხა, რომლითაც სწავლობდა ვახტანგ ბატონაშვილი თავისი ქვეყნის ისტორიას და, რომლის კიდებზეც ის თავის შენიშვნებს აკეთებდა. ამასთანავე, ქვეყნის ასეთი ერთიანი ისტორიის შექმნამ ალბათ ობიექტურად ხელი შეუწყო ცალკეული საისტორიო თხზულებებისადმი ინტერესის განუღებებს და მათ დაკარგვას. ძნელად ასახსნელია ის გარემოება, რომ ადრეშუასაუკუნეებიდან ჩვენ მოგვეპოვება მაღალმხატვრული ღირებულების მდიდარი და დიდი მნიშვნელობის მქონე აგიოგრაფიული ნაწარმოებები, რომელნიც საეკლესიო ისტორიის უანრის თხზულებებს წარმოადგენენ, საკუთრივ სამოქალაქო ისტორიისადმი მიძღვნილი კი, მხოლოდ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკა გვაქვს. რადგან ჩვენში ადრევე გაჩნდა ქვეყნის ერთიანი ისტორიის „ქართლის ცხოვრების“ შედგენის ტრადიცია, ამ გარე-

მოებამ შეიძლება გაანელა ინტერესი ცალკეული ეპოქების, თუ სხვადასხვა ისტორიულ პირთა მოღვაწეობისადმი მიძღვნილი თხზულებების მიმართ, მათი ნაწილი ამ კრებულშიც შეიტანეს და სხვა ხელისშემწყობ გარემოებებთან ერთად, ამათვე განაპირობა მათი დაკარგვა.

მაგრამ იმ მძიმე ისტორიულ ვითარებაში, როდესაც სხვადასხვა ჯურის მრავალრიცხოვანი მტრები ანადგურებდნენ ეროვნულ კულტურულ საგანძურს, წვაებდნენ და იტაცებდნენ ხელნაწერებს, რის შედეგად ჩვენი ეროვნული ისტორიის არაერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი საბოლოოდ განადგურდა და დაიკარგა, სწორედ ამის წყალობით, რომ „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერები შედარებით მრავალი უნდა ყოფილიყო, თავისი საკუთარი ცალეები ექნებოდათ მეფის ოჯახს, დიდ ფეოდალურ სახლებს, იმ ეკლესიებსა და მონასტრებს, რომელნიც სწავლა-აღზრდისა და სამეცნიერო კვლევა-ძიების ცენტრებს წარმოადგენდნენ, ამ ჩვენმა ეროვნულმა ისტორიამ, მისმა ძეგლმა ნაწილმა, ხუთი ნუსხით მაინც მოაღწია ჩვენამდე.

ასე რომ, თუ „ქართლის ცხოვრების“ კრებულის შედგენით ჩვენ ერთი მიმართულების თხზულებები შემოგვრჩა, რომელთა შეკრებამ არაპირდაპირი გზით, მაგრამ მაინც შეუწყო ხელი კერძო სავაჭარეულო მათიანეების, სხვა საისტორიო თხზულებების, შედარებით დაუცველობას, იმავე „ქართლის ცხოვრების“. ოფიციალური საისტორიო თხზულებების კრებულის, შედგენამ განაპირობა ამ უნიკალური ძეგლის მემკვიდრეობისათვის დაცვა.

ჩვენი წინაპრები, როგორც უკვე ითქვა, „ქართლის ცხოვრებას“ „წმინდა წიგნს“, „პატიოსან წიგნს“ უწოდებდნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კრიტიკულადაც იყვნენ მის მიმართ განწყობილი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, XII საუკუნეში არსენ ბერმა გააკრიტიკა „მეფეთა ცხოვრების“ კონცეფცია. თუ რა კრიტიკული შენიშვნები დაიშასხურა „ქართლის ცხოვრებაში“ XVIII საუკუნეში, ამასზე უკვე გვქონდა საუბარი. განსაკუთრებული კრიტიკული შენიშვნები გაჩნდა „ქართლის ცხოვრების“ მიმართ XIX საუკუნეში. „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგის წინააღმდეგელები ხელნაწერების ამ დროს არარსებობამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შექმნა

მაგვქვეყელი ნიპილისტური დამოკიდებულებისათვის და ეპეის ქვეშ
დაათენა XVIII საუკუნეში საქართველოს დაწერილი „ისტორი-
ას“ არსებობის შესაძლებლობა.

ამასთანავე, XIX საუკუნეში დაისვა საკითხი „ქართლის ცხოვ-
რების“, როგორც საისტორიო წყაროს მნიშვნელობის შესახებ.

გაპოჩენილმა ქართველმა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ მარ-
ჯებულად შენიშნა, რომ ქვეყნის ნამდვილი ისტორიის წარმოსად-
კენად, რომელიც „მთელის ხალხის ცხოვრების თვისებას“ წარმოა-
ჩენდა, მარტო „ქართლის ცხოვრება“ არ კმაროდა, რომ ხალხის
საშინაო ცხოვრების ისტორიის შესასწავლად აუცილებელი იყო
სხვა წყაროების მოხმობა“ (44, 138—139).

განსაკუთრებით მწვავე იყო „ქართლის ცხოვრების“ ილია ჭავ-
ჭავაძისეული კრიტიკა. „ჩვენი ქართლის ცხოვრება — წერდა ილია
ჭავჭავაძე — ხალხის ისტორია კი არ არის. მეფეთა ისტორიაა და,
ხალხი კი, როგორც მოქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენე-
ბული. თითქოს ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაოა კაცმა
იტოდეს მარტო მეფეთა ისტორია. თვითონ მეფეთა მოქმედებაც
დაჩვენებია საგარეო საქმეთა შესახებ და არა შესახებ შიდა საქმე-
თა“ (45, 483).

ამასთანავე, ილია ამახვილებდა რა ყურადღებას ქართველი
ხალხის მძიმე ისტორიულ წარსულზე, აღნიშნავდა, რომ ეს ხალხი
„ორა ათასი წელი იბრძოდა, ომობდა, სისხლს ღვრიდა“ და კითხ-
ვას სვამდა: „რა ქონებაჲ გაუძლო ამისთანა ყოფასა, რა ჰქვებავ-
და ხალხსა, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლის
ღვრასა ეს ერთი მუჟა ხალხი, თითქმის ქუღზედ კაცი უნდა მდგა-
რიყო იარაღით ხელში, რომ მტრისაგან მტერად არ აღგვილიყო და
ააზოგადოებას ვინ აძლევდა და რას აძლევდა“.

ილია ჭავჭავაძეს სურდა და, ეს სურვილი კანონზომიერი და
ბუნებრივიც იყო, რომ ყველაფერი ჩვენი წარსულის შესახებ „ქა-
რთლის ცხოვრებაში“ ამოეკითხა. ამოეკითხა ცნობები ქართველი
მშრომელი კაცის გარჯის, მისი ბრძოლის, შემოქმედების შესახებ,
ამოეკითხა „ქართლის ცხოვრებაში“ ერის ცხოვრების მატერიალუ-
რი საფუძვლის შემოქმედის, უბრალო მშრომელი ხალხის ისტო-
რია. მაგრამ, „ქართლის ცხოვრება“ ამ კითხვებზე პასუხს არ იძ-
ლუვა და, ის ამ კითხვებზე პასუხს ვერც მოგვცემს.

ილია ჭავჭავაძე „ქართლის ცხოვრებას“ თავისი თანამედროვე ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს უყენებდა, ეს კრებული კი ფეოდალური ხანის და ფეოდალური საზოგადოების ისტორიოგრაფიაა.

შუა საუკუნეებში ხალხის ცხოვრება და მისი შემოქმედება ისტორიოგრაფიის საგანს, როგორც წესი არ შეადგენდა. დასავლური თუ აღმოსავლური შუასაუკუნოვანი ისტორიოგრაფია ფეოდალური საზოგადოების ზედაფენების, მეფეთა, დიდ სახელმწიფო მოღვაწეთა ისტორიას მოგვითხრობს. შუასაუკუნოვანი ისტორიკოსები, როგორც წესი, საერო ან საეკლესიო ფეოდალური წრეებიდან იყვნენ გამოსულნი, უმრავლეს შემთხვევაში ბერები, ან ეკლესიის მსახურთა სხვა ფენების წარმომადგენლები იყვნენ, და გაბატონებული კლასის ინტერესებს გამოხატავდნენ. მათი შრომები საზოგადოების ვიწრო ზედაფენის, მისი განათლებული და გაბატონებული ნაწილისთვის იყო გამიზნული.

მათი თხრობის ერთადერთ თუ არა, მთავარ საგანს, მეფეთა და გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება შეადგენდა.

შუასაუკუნოვანი ქრისტიანული ისტორიული კონცეფციის თანახმად, სოციალური უთანასწორობა დედამიწაზე ღვთის მიერაა დადგენილი და, ამდენად, ფეოდალური იერარქიის დარღვევის ყოველგვარი ცდა ღვთიური კანონის ხელყოფაა. ღვთის წინაშე თანასწორნი ადამიანები მხოლოდ იმქვეყნიურ ცხოვრებაში არიან. ამ თეორიაზე იზრდებოდნენ მომავალი ისტორიკოსები საეკლესიო-სამონასტრო სკოლებსა თუ შუასაუკუნოვან უნივერსიტეტებსა და აკადემიებში. აქედან გამომდინარე, გასაგებია, რომ მშრომელი ხალხი, მათი ცხოვრება, მათი ბრძოლა, შუასაუკუნოვან ისტორიკოსებს არ აინტერესებთ; და თუ ისინი იძულებული არიან მათი ბრძოლის შესახებ რაიმე თქვან, მათ მოქმედებას მხოლოდ უარყოფით შეფასებას აძლევენ და ღვთის რისხვით, სატანის გავლენით, უღვთობით ხსნიან.

სხვადასხვა ისტორიკოსთა შრომები, რიგ შემთხვევაში შეიძლება განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან ლიტერატურული ფორმით, პოლიტიკური ტენდენციით, მაგრამ მათი კლასობრივი ერთიანობა, როგორც წესი, ურღვევია.

საეკლესიო-ფეოდალურ-ისტორიული კონცეფცია განუტყველად ბატონობს მთელი შუა საუკუნეების მანძილზე, საღვთისმეტყველო კონცეფცია დასავლეთ ევროპაში კაპიტალიზმის ჩასახვის შემდეგ იხვევს თანდათან უკან ჰუმანიტური ისტორიოგრაფიის მიერ წამოყენებული ახალი იდეების წინაშე (37, 61—64). ამ თვალსაზრისით საერთოდ, ქართული შუასაუკუნოვანი ისტორიოგრაფია და კერძოდ, „ქართლის ცხოვრება“ გამონაკლისს არ წარმოადგენს.

ქართველი შუასაუკუნოვანი ისტორიკოსები თავის თანამედროვე საზოგადოებრივ აზროვნებაში დამკვიდრებულ პრინციპებს ემყარებოდნენ და მისდევდნენ. იმდროინდელი ისტორიკოსი „ვერ გამოეკიდებოდა მდაბიო ხალხის ცხოვრების აღწერას. მით უფრო გაუბროდა ის „უგვარო“ და „უკამლო“ აღაპიანთა ბრძოლების აღწერას მეფისა და მის აზნაურთა წინააღმდეგ. ასეთი რაჲ ფეოდალურ საზოგადოებაში განმტკიცებული წესების უხეში დარღვევა და, მაშასადამე, მძიმე დანაშაული იქნებოდა. ასეთი ამბების მოზზრობას მაშინ ფეოდალურ საზოგადოებაში არავინ თხოულობდა“ (5,87).

„ქართლის ცხოვრების“ იმ თვალსაზრისით კრიტიკა, თუ რატომ არ არის მასში მწარმოებელი საზოგადოების ცხოვრება, კლასობრივი ბრძოლა, ეპოქის მოთხოვნის, შუასაუკუნოვანი ისტორიოგრაფიის სოციალურ-კლასობრივი არსის გაუთვალისწინებლობაა.

„ჩვენი „ქართლის ცხოვრება“, — წერს ნიკო ბერძენიშვილი, — ისტორიაა, და საყვედური მისი მისამართით, თუ რატომ არის ის ფეოდალური საქართველოს გამართული ისტორია, — გაუგებრობაა. ილია ჭავჭავაძეს, დ. ბაქრაძეს და სხვა სამოციანელებს ცალმხრივობა სჭირდათ „ქართლის ცხოვრების“ შეფასებისას. მათ ავიწყლებოდათ, ის გარემოება, რომ „ქართლის ცხოვრება“ მე-19 საუკუნის 60-ანი წლების იდეების საქადაგოდ კი არ იყო შექმნილი, არამედ თავისი დროისათვის, ე. ი. ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვებისათვის, ფეოდალთა კლასობრივი ბატონობისათვის, რასაც ის დიდი წარმატებით ემსახურებოდა“ (79.133).

აღნიშნული, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ საერთოდ არ არის ქვეყნის საშინაო ისტორია, ან მასში ხალხი საერთოდ არ ჩანს, მართალია, შეზღუდულად, მაგრამ ასეთი ფაქტები მაინც ასახულია მასში (40, 056—057).

ამასთანავე, არ შეიძლება მოვთხოვოთ „ქართლის ცხოვრებას“, რომ მასში ისტორიული მოვლენები და პროცესები ჩვენი თანამედროვეთა ვალსაწარისით იყოს წარმოდგენილი (79, 133).

ვასაჯვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ „ქართლის ცხოვრებას“ ამ კრიტიკას დიდი დადებითი შედეგი მოყვა. სამოციანელებს აღარ აკმაყოფილებდათ ეროვნული ისტორიის მხოლოდ ისეთი წარმონიშნა, როგორც ამის შესაძლებლობას „ქართლის ცხოვრება“ იძლეოდა და, სწორედ მათ მიერ და იმ დროს დაისვა საკითხი საქართველოს ისტორიის ახალი, სხვა წყაროების გამოვლენა-მოძიების აუცილებლობის შესახებ, რამაც ძალიან შალე თავისი შესანიშნავი შედეგა გამოიღო. მოძიებულ იქნა, შეგროვდა და გამოიცა საქართველოს ისტორიის ახალი წყაროები (დ. ბაქრაძე, თ. უორდანიანი, ე. თაყაიშვილი და სხვები).

ქართული ფეოდალური საზოგადოება შესაფერისად აფასებდა თავის „ქართლის ცხოვრებას“, ზრუნავდა მის დაცვაზე, გადაწერა-გამრავლებაზე, „წმინდა“, „პატიოსან“ წიგნს უწოდებდა მას, ქალიშვილებს „სახარებასა“ და „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად „ქართლის ცხოვრებასაც“ ატანდნენ მზითვად.

„ქართლის ცხოვრება“, როგორც აღინიშნა, ქართული ფეოდალური საზოგადოების ისტორიაა, ამ საზოგადოების ინტერესების გამოხატველი და დამკველი: იგი ამ თავის ამოცანას კარგად ასრულებდა. როგორც მართებულად შენიშნავს შ. ხანთაძე „ქართლის ცხოვრებას“ ახასიათებს ყველა ის ნიშანთვისება, რაც საერთოდ ახასიათებს შუასაუკუნოვან ისტორიოგრაფიას და ის ამ ისტორიოგრაფიის ტიპური წარმომადგენელია (80, 206—229).

სწორედ იმიტომ, რომ „ქართლის ცხოვრება“ ფეოდალური ისტორიოგრაფიაა და მას თავისი კლასობრივი დაკვეთა აქვს, მისი ცნობებისაღმი ფრთხილი, კრიტიკული მიდგომაა საჭირო, აუცილებელია ამ საისტორიო თხზულების კლასობრივ-სოციალური და პოლიტიკური დაკვეთის და მრწამსის გათვალისწინება

ამასთანავე, „ქართლის ცხოვრებით“ სარგებლობისას აუცილებელია იმ გარემოების გათვალისწინება, რომ „ქართლის ცხოვრება“ კრებულია, ის სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ავტორთა მიერ დაწერილ თხზულებათაგანაა შემდგარი, სხვადასხვა ეტაპებზე მისი რედაქტირება-გამართვა ხდებოდა, ყველა ეპოქა მას თავის დანს

ასეაქვდა. „ქართლის ცხოვრების“ კრებულში წარმოდგენილ თხზულებათა ავტორები ერთნაირად დახელოვნებული ისტორიკოსები კერ არიან. მართალია, მათი პოლიტიკური, სოციალ-კლასობრივი კონცეფცია ზოგადად ერთია, მაგრამ ყოველ მათგანს თავისი თვალსაზრისი აქვს, მოვლენებისადმი თავისი დამოკიდებულება, რაც ავრთვე აუცილებლად გასათვალისწინებელია მისი შეფასების დროს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესული თხზულებები ფაქტობრივი მასალის მხრივ მდიდარი და სანდონი არიან. ამ „ეროვნულ ისტორიაში“ მოთხრობილი შრავალი ფაქტი დადასტურებას პოულობს უცხოური წერილობითი წყაროების, მატერიალური კულტურის ძეგლების, ეპიგრაფიკული, ნუმიზმატიკური და სხვა ისტორიული წყაროების მონაცემებით.

„ქართლის ცხოვრება“ ავლენს ქართველთა ეროვნული ისტორიის მსოფლიო ისტორიასთან დაკავშირების ტენდენციას.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მარამისეულ ნუსხაში დაცულ თხზულებას, რომელიც ამ ნუსხაში „მეფეთა ცხოვრებას“ უძღვის წინ. მართებული უნდა იყოს თვალსაზრისი, რომ ეს აპოკრიფული თხზულება „ქართლის ცხოვრების“ ორგანული შემადგენელი ნაწილია, მისი შესავალია, რომელმაც უნდა ასწავლოს ქართველ მკითხველს, რომ საქართველოს ისტორია არის ნაწილი მსოფლიო ისტორიისა, და რომ მსოფლიო ისტორიის იმ ეტაპზე, როდესაც თარგამოსი გაჩნდება, დაიწყება საქართველოს ისტორია (4, 011—012), რადგან ჩვენი „მეფეთა ცხოვრებით“ ქართველური ტომების მამამთავარი სწორედ თარგამოსია.

ამასთანავე, „ქართლის ცხოვრების“, კრებულში შესული თხზულებების ავტორები საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს აკავშირებენ მსოფლიო ისტორიის ცნობილ ფაქტებთან. ქაგალითად, ქართლის სამეფოს შექმნა ფარნავაზიანთა დინასტიით სათავეში უკავშირდება ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებს, ისეთი დიდი მნიშვნელობის მოვლენა ქვეყნის ისტორიაში, როგორც ქრისტიანობის სახელმწიფო კულტად აღიარებაა, დაკავშირებულია ბიზანტიის იმპერიაში ქრისტიანობის განმტკიცება-გამარ-

ჯების, იმპერატორ კონსტანტინე დიდის და ელენე დედოფლის მოღვაწეობასთან. ანალოგიებია გატარებული ქართლში და ბიზანტიაში მომხდარ რიგ მოვლენებს შორის. საგანგებო მსჯელობაა თურქ-ოსმალთა მიერ კონსტანტინეპოლის აღების და ბიზანტიის იმპერიის დაცემის შესახებ, ამ მოვლენის მნიშვნელობაზე, მის უარყოფით შედეგებზე საქართველოს ისტორიისათვის.

ისტორიკოსები ცდილობენ ქართველთა დიდი სახელმწიფო მოღვაწეები მსოფლიო ისტორიის გამოჩენილ პირებს, განსაკუთრებით ალექსანდრე მაკედონელს შეადარონ, მოიტანონ მაგალითები რომის, ბიზანტიის, ირანისა და სხვა დიდი სახელმწიფოების ისტორიიდან.

„ქართლის ცხოვრება“ ცდილობს საქართველოს ისტორია წარმოაჩინოს, როგორც მსოფლიო ისტორიის ნაწილი და დაგვანახოს კავშირი აქ და მსოფლიოს დიდ სახელმწიფოებში მიმდინარე პროცესებს შორის.

„ქართლის ცხოვრება“ დაწერილია მაღალი პატრიოტული სულისკვეთების პოზიციებიდან. სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა, ერისა და ქვეყნის წინაშე დამსახურებულთა საქებრად ავტორები სიტყვებს არ იშურებენ, ისევე, როგორც სამშობლოს მოღალატეთა მიმართ დაუნდობელნი არიან. დიდია „ქართლის ცხოვრების“ მნიშვნელობა თაობათა პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის ეროვნულ საქმეში.

ამასთანავე, როგორც არაერთგზის აღინიშნა, „ქართლის ცხოვრებას“ არაერთი ფრიად მნიშვნელოვანი ნაკლი გააჩნია. პირველ რიგში, როგორც მითითებულა, ამ კრებულის შექმნამ თუ ერთის მხრივ დაღუპვას გადაგვიჩინა ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი ძეგლები, ამავე კრებულის შექმნამ, შეიძლება არაპირდაპირ, მაგრამ მაინც, ხელი შეუწყო რიგი ქართული საისტორიო თხზულებებისადმი ინტერესის განელებას და ამით მათ დაღუპვას. ამასთანავე, „ქართლის ცხოვრების“ კრებულში ერთი მიმართულეებისა და მიმდინარეობის, ერთი მიზანდასახულების, სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლების ინტერესების ამსახველი და გამომხატველი თხზულებები შევიდა. ეს თხზულებები საგანგებოდ „ქართლის ცხოვრებისათვის“ იწერებოდა და არსებულთაგან ირჩეოდა, მათი ლიტერატურული ფორმა, სტილი, შეიძლება ერთმანეთისაგან

განსხვავებული ყოფილიყო, მაგრამ პოლიტიკურ-კლასობრივი პოზიცია აუცილებლად საერთო ჰქონდათ.

„ქართლის ცხოვრების“ დიდი ნაკლია ის, რომ ეროვნული ისტორია მასში ნაკლულადაა წარმოდგენილი, მთელი რიგი მნიშვნელოვანი ფაქტები საერთოდ არაა ასახული. მართალია, იმ გარემოებას, რომ მასში არ არის წარმოდგენილი მწარმოებელი საზოგადოების ისტორია, არ არის მოთხრობილი კლასობრივ ბრძოლაზე, თავისი ახსნა აქვს (როგორც აღვნიშნეთ, ასეთ მიზანს ეს თხზულება არ ისახავდა და ვერც დაისახავდა), მაგრამ ობიექტურად, ჩვენი თანამედროვე პოზიციიდან ეს ამ „ისტორიის“ დიდი ნაკლია.

„ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესულ თხზულებათა დიდი ნაკლია ის, რომ მასში ნაკლებადაა წარმოჩენილი დასავლეთ საქართველოს ისტორია, ზოგიერთი პერიოდები დასავლეთ საქართველოს ისტორიისა მასში საერთოდ არაა ასახული. დიდი ნაკლია „ქართლის ცხოვრებისა“, მასში არსებული მრავალი ანაქრონიზმები, რასაც ჭერ კიდევ თედო ჟორდანიამ მიაქცია ყურადღება. საინტერესოა ის გარემოება, რომ ანაქრონიზმები თედო ჟორდანიამ უმთავრესად გვიანდელ რედაქტორთა შესწორება-დამატებად მიიჩნია (18, XVIII—XXXV სს.). ეს მოსაზრება ყურადსაღებია და მას ყოველთვის უნდა გაეწიოს ანგარიში „ქართლის ცხოვრებაში“ შესულ თხზულებათა დაწერის თავდაპირველი თარიღის კვლევის თუ, საერთოდ თხზულების შეფასებისას.

„ქართლის ცხოვრებაში“ თარიღების სიმცირე, რაც აძნელებს მოვლენების ქრონოლოგიის განსაზღვრას, დიდი ნაკლია, მისი შევსება სცადა „სწავლულ კაცთა“ კომისიამ, მაგრამ მათ ეს ამოცანა ვერ დასძლიეს.

აღნიშნული ხარვეზების მიუხედავად, მთლიანობაში „ქართლის ცხოვრება“ ფრიად მნიშვნელოვანი საისტორიო თხზულებაა. ის ერთი მხრივ, წარმოადგენს მდიდარ საისტორიო წყაროს საქართველოს, და ნაწილობრივ მისი ახლობელი თუ შორეული მეზობლების ძველი და შუასაუკუნოვანი ისტორიის შესასწავლად, ამასთანავე, ის წარმოადგენს ქართული შუასაუკუნოვანი ისტორიული აზროვნების მაღალ დონეს და მისი განვითარების ეტაპებს ასახავს.

„ქართლის ცხოვრება“ ისევე, როგორც საერთოდ, მთელი შუა-

საუკუნოვანი ისტორიოგრაფია, არ არის დაზღვეული თავისი დროის ისტორიული აზროვნებისათვის დამახასიათებელი პროვიდენციალიზმისა და დუალიზმისაგან.

შუასაუკუნოვანი ისტორიოგრაფიის კლასობრივი ერთიანობა მსოფლმხედველობისა და მეთოდოლოგიის ერთიანობაში ვლინდება. მაგრამ ეს ერთიანობა, რასაკვირველია, არ გამორიცხავს განსხვავებულ მიმდინარეობათა და სპეციფიკურ დამახასიათებელ ნიშანთა არსებობას, სხვადასხვა რეგიონების, სახელმწიფოების, სხვადასხვა პერიოდების საისტორიო თხზულებებში.

სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შეცვლა, რაც უშუალოდ მომდინარეობს ეკონომიკური განვითარებიდან, სხვადასხვა სოციალურ ფენათა ბრძოლა გაბატონებული კლასის შიგნით, წინააღმდეგობანი ეკლესიასა და სახელმწიფოს, ეკლესიის შავ და თეთრ ფრთას შორის, ფეოდალურ-ეროვნულ სახელმწიფოთა კონსოლიდაციის პროცესი, ყოველივე ეს დიდ გავლენას ახდენდა საისტორიო თხზულებათა ხასიათზე, მათ მეთოდოლოგიაზე.

შუასაუკუნოვანი ისტორიოგრაფიისათვის, მსოფლიო ისტორიის მთელი მსვლელობა ღვთის მიერაა წინასწარდასახული და ის ამ დასახული გზით მიიმართება, მაგრამ ამასთანავე, შედარებით ზომიერი შეხედულებით, ეს წინასწარდასახულება მხოლოდ საერთო, ზოგად ხაზებშია წარმოდგენილი და მისი განხორციელება სახელმწიფოს, ხალხთა, ადამიანთა ცხოვრებაში, ღვთის მხოლოდ უშუალო ჩარევით ხორციელდება.

გარეშე მტრის დამანგრეველი შემოსევები, შიმშილი, ეპიდემიები, მიწისძვრა, წყალდიდობა, ყველაფერი ღვთის მიერ ადამიანთა ცოდვების გამო მათზე მოვლენილი განსაცდელია (37, 68).

ამასთანავე, ფეოდალურ ისტორიოგრაფიაში დუალიზმის პრინციპის ბატონობა ბოროტის და კეთილის, პროგრესულისა და რეაქციულის ბრძოლაში ვლინდება.

ეს თვისებები განუხრელადაა წარმოდგენილი მთლიანად „ქართლის ცხოვრებაში“. მართალია, ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხანგრძლივი დროის მანძილზე, სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებში იწერებოდა და დგებოდა, მასში ფეოდალური ურთიერთობის განვითარების სხვადასხვა ეტაპებია წარმოდგენილი და, შესაბამისად სხვადასხვა ეტაპთა ისტორიული აზროვნების საფეხურები, მაგრამ

მთლიანად ის მაინც შუასაუკუნოვანი ისტორიოგრაფიაა და, იმდროინდელ იდეურ და მეთოდოლოგიურ პრინციპებს ემყარება.

პროვიდენციალიზმის იდეა „ქართლის ცხოვრებას“ მთლიანად გასდევს თავიდან ბოლომდე. ბიზანტიისაგან მიტაცებული ციხეების დაბრუნება მხოლოდ ღვთის წყალობით გახდა შესაძლებელი: „მომადლა ღმერთმან მძლავრებისაგან ბერძენთასა წახმული ციხენი“ (4, 317). სელჩუკთაგან ქვეყანაზე დატესილ უბედურებას ახალი უბედურება მოყვებოდა „არავე დასცხრა გულის-წყრომა უფლისა ჩუენ ზედა, — წერს დავითის ისტორიკოსი, — რამეთუ არა შევიანანეთ არცა გულისხმა ვყავთ არცა ჯეროვნად მოვიქვეყნათა გნათა მიმართ უფლისათა“ (4, 322—323). მაგრამ შემდეგ იმავე ღმერთმა „რისხვასა შინა მოიკსენა წყალობა“ (4, 323).

ისევე, როგორც ყველა სხვა მეფე, „დაჯდა ნებითა ღმრთისაჲთა მამარ მეფად“ (40, 116). განძასთან ბრძოლის დროს, მეფე გიორგი ლაშა იქნა „უენებლად დაცულ ღმრთისა მიერ“ (40, 154). ის დიდი გაქირვება, რაც ქვეყანას მონღოლთა და სხვა დამპყრობთაგან დაატყდა თავს, უამთაღმწერლის სიტყვით, ქართველთა უკეთური საქციელის შედეგი იყო და „ამისთვის აღმოსცენდეს მიწეზნი, ცოდვათა სიმრავლითა, საქართველოსა მოკრებისანი“ (40, 157). ასეთი მაგალითების მოტანა უსასრულოდ შეიძლება. ღვთის ნებაა მიწისძვრა და წყალდიდობა, ღვთის ნებაა ტახტის მემკვიდრის შობა, ტახტზე ასვლა, გამარჯვება, დამარცხება, მტრის მიერ ქვეყნის აოხრება, მშვიდობის დამყარება...

ღმერთი მოწყალეა და ბოლოს მაინც შეუენდობს ცოდვილს, ბოროტისა და კეთილის ბრძოლაში ბოლოს მაინც კეთილი იმარჯვებს.

„ქართლის ცხოვრების“ შეფასებისათვის აუცილებელია გავარკვევს, თუ რა უანრის თხზულებათა კრებულია ის.

შუა საუკუნეებში საეკლესიო, თუ სამოქალაქო ისტორიის სხვადასხვა უანრის თხზულებები იწერებოდა.

„ქართლის ცხოვრება“ სამოქალაქო ისტორიაა, მაგრამ, როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ „ქართლის ცხოვრება“ საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა ავტორთა მიერ დაწერილ თხზულებათა კრებულია, რომ

დრო და დრო მისი შევსება-რედაქტირება იყო აუცილებელი. რედაქტორ-გადამწერები, რათა თხრობა ქრონოლოგიურად გამართული ყოფილიყო, ხარვეზების არსებობის შემთხვევაში, ავსებდნენ მას, ყველა ეპოქა თავის დაღს ასვამდა თხზულებას, ამდენად, მკაცრი სტილისტური ერთიანობა სისრულით დაცული ვერ იქნება, მაგრამ მთლიანობაში ის თავისი ხასიათით შუასაუკუნოვანი „ქრონიკების“ ტიპის საისტორიო თხზულებაა.

როგორც ცნობილია, შუა საუკუნეების ევროპაში (კონკრეტულად IV—XIV საუკუნეებში) ანტიკური ხანის „ანალების“ ტიპის ისტორიული ნაწარმოებები იწერებოდა, რაც ფაქტობრივად მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების წლების მიხედვით მოკლე ფიქსაციას გულისხმობს, ასეთ „ანალებს“, როგორც წესი, მონასტრებში აღგენდნენ. „ანალებთან“ შედარებით უფრო მნიშვნელოვანი იყო ე. წ. „ქრონიკები“, რომელნიც „ანალებისაგან“ განსხვავებით, მოვლენების უფრო დაწვრილებით და სისტემატიზირებულ თხრობას შეიცავდნენ. შუასაუკუნოვან ევროპაში ასეთი ქრონიკები უფრო იყო გავრცელებული. დასავლეთ ევროპაში ე. წ. მსოფლიო ანუ უნივერსალურ ქრონიკების პარალელურად ეროვნულ-პოლიტიკურ კონსოლიდაციასთან ერთად წარმოიშვნენ ერთი ქვეყნის ისტორიისადმი მიძღვნილი ე. წ. ნაციონალური „ქრონიკები“.

„ქართლის ცხოვრება“ უფრო ასეთი ნაციონალური ისტორიის მომთხრობი „ქრონიკის“ ტიპის საისტორიო თხზულებაა, მასთან მსგავსებას ამჟღავნებს რუსული „ლეტოპის“-ი ქართულად მათიანედ რომ ვთარგმნით. მაგრამ, ის რასაკვირველია, ყველა ნაწილში ერთნაირი არ არის. უძველესი ისტორიის ამსახველი თხზულებები (ე. წ. „მეფეთა ცხოვრება“, „ვანტანგ გორგასალის ისტორია“), უფრო ეპიკური სტილის ნაწარმოებებია, მაღალი მხატვრული ღირსებების მქონე, მათში უხვადაა შესული ისტორიული გადმოცემები.

„ქართლის ცხოვრების“ კრებულში ამ ორი თხზულების შემდეგ, სულ სხვა ხასიათის ისტორიული ნაწარმოები — აგიოგრაფიული თხზულებაა ჩართული, „არჩილის წამება“, მაგრამ ჩართულია ისე, რომ ავსებს ქრონოლოგიურ მონაკვეთს. ამ აგიოგრაფიული თხზულების შემდეგ მოდის ე. წ. „მატიანე ქართლისა“, რომელიც

ყველაზე მეტად ამჟღავნებს მსგავსებას შუასაუკუნოვან ეროვნულ „ქრონიკებთან“ და მოიცავს VIII—XI საუკუნეების ისტორიას. ამას მოსდევს ისევ ერთი პიროვნების, მეფე დავითის ისტორია, რომელიც გარკვეული თვალსაზრისით შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე აგიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოებად. ამ თხზულებაში „ქრონიკებისაგან“ განსხვავებით მოვლენები მხოლოდ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არაა დალაგებული. თხზულების ერთი ნაწილი დავითის სამხედრო მოღვაწეობის აღწერას ეთმობა, მეორე ნაწილი სამოქალაქო-საეკლესიო, საშინაო საქმეებსა აქვს დათმობილი, ცალკეა გამოყოფილი მეფის პიროვნების დახასიათება.

ქრონოლოგიური ხარვეზების შევსების მიზნით, „ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა ციკლებში ჩართულია ცალკეულ მეფეთა მოკლე ისტორიები.

ფაქტობრივად, ერთი დიდი პიროვნების, თამარის, და ნაწილობრივ მისი მამის გიორგის მეფობას „ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა შედგენილობის ნუსხებში ორი სხვადასხვა თხზულება ეძღვნება. თამარის მეფობისადმი მიძღვნილი საისტორიო თხზულებებიც არ იცავენ მხოლოდ მშრალ ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას და ხშირად ეპიკური, ან მხატვრული ნაწარმოების ხასიათსაც ატარებენ.

რ. წ. „ასწლოვანი ისტორია“ თავისი ხასიათით ძირითადად მაინც „ქრონიკაა“. ძველი „ქართლის ცხოვრების“ ციკლში ცალკე გამოიყოფა და, ასე ცალკე შეუტანიათ მასში შუასაუკუნოვანი, უმთავრესად აღმოსავლური შუასაუკუნოვანი ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი დინასტიური ისტორიის ჟანრის, ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოს ისტორია. თავისი ხასიათით ისიც „ქრონიკაა“.

„ქართლის ცხოვრებაში“ მოცემულია ისტორიული ქრონიკების, ცალკეული ისტორიული მოთხრობების, დოკუმენტების, წმინდანთა ცხოვრების და სხვათა გაერთიანების შედეგად მიღებული თხრობა. „ქართლის ცხოვრება“ ამჟღავნებს გარკვეულ კავშირს აგიოგრაფიასთან, პიმნოგრაფიასთან (92, 126—163). „ქართლის ცხოვრების“ ავტორები, როგორც წესი, ეყრდნობიან ზემოთ აღნიშნულ მოცემებს, ქართულ წერილობით წყაროებს, საგვარეულო მატინეებს, ჩანაწერებს, ცალკეულ ქრონიკებს, უცხოურ საისტორიო

თხზულებებს, მაგრამ მითითებები, როგორც საერთოდ შუასაუკუნოვან ისტორიკოსებს სჩვევიათ ზოგადია: „ბერძენთა ცხოვრება“, „სპარსთა ცხოვრება“, „სომეხთა ცხოვრება“, „მატიანენი“, მაგრამ სახელდობრ, რომელი „ცხოვრება“, ე. ი. კონკრეტულად რომელი „ისტორია“ მითითებული არ არის.

ისტორიული აზროვნება, ისტორიული აზროვნების ზოგი ელემენტის ცოდნა, ადამიანებს ჯერ კიდევ კლასობრივი საზოგადოების არსებობამდე ჰქონდათ. „მეხსიერებაში“ შემონახულ, თავისი თვალსაზრისით მნიშვნელოვან და საინტერესო „ამბებს“ თაობები ერთმანეთს გადასცემდნენ. არის რა, სინთეზური აზროვნების შედეგი და გამოხატავს ადამიანთა კოლექტივის წარმოდგენას თავის თავზე, მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებზე, ადამიანის ბუნებასთან დამოკიდებულებაზე ეპოსი მითოლოგიურ, მხატვრულად განზოგადებულ ფორმაში ასახავს ისტორიულ ფაქტებს. თვით ფაქტების შერჩევა მიგვანიშნებს იმაზე, თუ, რა მიაჩნიათ მნიშვნელოვანად ისტორიული აზროვნების ჩანასახ, საწყის ეტაპებზე, ასეთებია: შრომითი პროცესები, ბრძოლა ბუნების ძალთა დასამორჩილებლად. ადამიანთა ჯგუფების ურთიერთობა, ცვლილებები მათ შინაგან სტრუქტურაში.

კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების, დამწერლობის ჰქმნასთან ერთად, იწყება ისტორიულ მოვლენათა ფიქსაცია, წარწერების, ჩანაწერების, ანალებისა თუ სხვა სახით. ისტორიული გადმოცემები ახლებურად გაიზარება, მათში თანდათან იჭრება ხელისუფლებისათვის ბრძოლის, საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის ურთიერთობის მოტივები.

შუასაუკუნოვან საისტორიო თხზულებებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ეპიკურ გადმოცემებს. როდესაც დაიწყო „ისტორიის“ წერა, „მეხსიერებაში“ შემორჩენილი, ეპოქის შესაბამისად დამუშავებული ეპიზოდები, ისტორიკოსებმა დაწერილ საისტორიო თხზულებებში შეიტანეს. ასე შევიდა „ქართლის ცხოვრების“ ნაწყის ნაწილში მითი ქართლოსიანთა წარმოშობის, ფარნავაზისა და მისი გმირობის, ბუმბერაზთა ბრძოლების და სხვა მოვლენათა შესახებ. „ქართლის ცხოვრებაში“ შესული ყოველი ლეგენდა თავისებურად, ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად მუშავდებოდა, ესადაგებოდა ბიბლიურ მონაცემებს, საკუთარ ინტერესებს. ასე იქნა

შემუშავებული ქართლოსიანთა წარმოშობის სქემა, რომელსაც კავკასიანთა ერთიან ოჯახში მოქცეული ქართლოსიანნი ბიბლიური თორგომას (თარგამოსის) მემკვიდრეებად ყავს წარმოდგენილი. ძნელია თქმა, საბოლოოდ როდის ჩამოყალიბდა ლეგენდა იმ სახით, როგორც ის „ქართლის ცხოვრების“ საწყის ნაწილშია შესული, მაგრამ მასში რომ ქართველთა ისტორიული აზროვნების უძველესი შრეებია შემორჩენილი, ეს უდავოა. საქართველოს ისტორიის საწყისი ეტაპის ქრონიკას, ლეონტი მროველს რომ მიეწერება, ახასიათებს საერთოდ ყოველი ძველი ლიტერატურული წყაროსათვის დამახასიათებელი თავისებურებანი: ქრონოლოგიური აღრუელობანი, ძალიან სუსტად გამოხატული მითითებანი სოციალურ ურთიერთობებზე (34, 10—13). აღნიშნული ვითარება გაპირობებულია იმ გარემოებით, რომ მათ ჩვენამდე სხვადასხვაგვარად გადამუშავებულებმა მოაღწიეს, ზოგჯერ ისინი წარმოადგენენ კომპილაციებს, სადაც მოვლენები არაა შეჯერებული ერთმანეთთან. აღსანიშნავია ისიც, რომ ლეონტი მროველი საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციაში არღვევს ბიბლიურ სქემას, მთლიანად არ მისდევს მას (127, 252—253, შენ. 1). ის პირველ კაცს ქვეყანაზე არ მიიჩნევს პირველ მეფედ (128, 129—130).

„ქართლის ცხოვრების“ საწყის ნაწილში დასმულია ქართველთა წარმომავლობის, მათი ნათესაობის, ქართველთა სახელმწიფოს შექმნის, ქართული დამწერლობის წარმოშობის საკითხები. სხვა მხარეა საკითხისა, რამდენად სწორადაა ყველა ამ კითხვაზე გაცემული პასუხი. თავისთავად „სწორსაც“ თავისი გაგება აქვს, რამდენად სწორია ავტორის პასუხი ჩვენი დღევანდელი, თუ იმდროინდელ მოაზროვნეთა თვალსაზრისით, რომელნიც ჩვენ ეროვნულ ისტორიას ქმნიდნენ და წერდნენ.

„ქართლის ცხოვრება“ ძირითადად კაცობრიობის ისტორიის ბიბლიურ სქემას ეფუძნება და ქართლოსიანნი ბიბლიური ნოეს უმცროსი შვილის იაფეტის უშუალო მემკვიდრეებად არიან მიჩნეული. „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისშივე ნათქვამია, რომ „კავკასიის ყველა მკვიდრთა ერთი იყო მამა, სახელით თარგამოს, ესე თარგამოს, იყო ძე თარშისი, ძის წული იაფეთისი, ძისა ნოესი“ (4,3). ამასთანავე, „ქართლის ცხოვრების“ ამ საწყისი ნაწილის ავ-

ტორი, ლეონტი მროველი, მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის პროვიდენციალურ, ფეოდალურ-ქრისტიანულ თვალსაზრისზე დგას, რომლის თანახმად მსოფლიო ისტორია ოთხი მონარქიის — ასურეთ-ბაბილონის, მიდია-სპარსეთის, ალექსანდრე მაკედონელი-სა და რომის იმპერიის ეპოქებად იყოფა. ასურეთ-ბაბილონის ეპოქის ისტორიულ შინაარსს ლეონტისთან ნებროთის მეფობა წარმოადგენს, რომლის მემკვიდრეა „სპარსთა ნათესაეი“, რომელთანაც დაკავშირებულია ქართლის ისტორიის გარკვეული ეპოქა, ვიდრე ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობამდე. ამ გზით, „ლეონტიმ საქართველოს ისტორიას მსოფლიო ისტორიის სისტემაში აღმოუჩინა ადგილი“ (78, 263).

ამასთანავე, საკუთრივ ქართლის სამეფოს წარმოშობა ალექსანდრე მაკედონელის მოღვაწეობის ხანას უკავშირდება. ქართლის პირველი მეფე ფარნავაზი ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების შემდეგ გამოდის სამოღვაწეო ასპარეზზე, რაც აგრეთვე პერიოდიზაციის ამ სისტემას უკავშირდება. კაცობრიობის ისტორიის პერიოდიზაციის ეს სისტემა, ჩანს, მკვიდრად იყო ფესმოკიდებული შუასაუკუნოვან ქართულ ისტორიოგრაფიაში, მას იცნობს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკის ავტორიც.

„ქართლის ცხოვრების“ კონცეფციით, ქართლოსიანნი უძველესი დროიდანვე კავკასიის, ისტორიული საქართველოს მკვიდრნი არიან, ისინი კავკასიის ერთიანი ოჯახის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ. ამ კონცეფციით, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო იმავეითვე ერთიანი ქვეყანა იყო. ყოველ შემთხვევაში, ასეა ეს „ქართლის ცხოვრების“ საწყისი ნაწილის თანახმად, ფარნავაზის სახელმწიფოში. ამ სახელმწიფოში, მიუხედავად მასში მცხოვრებ ხალხთა შორის სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკეთა არსებობისა, უპირველესი და მთავარი ენა ქართულია, დამწერლობა ფარნავაზის მიერ შექმნილი ქართული მწიგნობრობაა.

როდის შეიძლება და შემუშავებულიყო ასეთი მწყობრი კონცეფცია?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ კონცეფციითაც ფარნავაზის სახელმწიფო მოიცავს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს, ეს თხზულება კი, თუ უფრო ადრე არა,

VII—IX საუკუნეებში უკვე ნამდვილად არსებობს. ასე რომ, „ქართლის ცხოვრების“ საწყისი ნაწილის ავტორს, ის ადრე არსებული თხზულებიდან უნდა აეღო და, ბუნებრივად იქმნება აზრი, რომ „ქართლის ცხოვრების“ საწყის ნაწილში მოთხრობილ ამბებს ფარნავაზისდროინდელი ვითარების შესახებ, რეალური ისტორიული ვითარება უდევთ საფუძვლად. არა აქვს მნიშვნელობა იმას, თვით ლეონტი მროველი, რომელმაც საბოლოო სახე მისცა „ქართლის ცხოვრების“ ამ პირველ თხზულებას, რომელ საუკუნეში ცხოვრობდა, მთავარი ისაა, რომ იმ წყაროებში, რომლებითაც ის სარგებლობდა, ეს საკითხი ამგვარად იყო წარმოდგენილი.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ „ქართლის ცხოვრების“, ერისა და ქვეყნის ერთიანი ისტორიის შექმნის იდეა, სწორედ ერთიანი სახელმწიფოს, ეთნიკურ-ეროვნული ერთიანობის თვითშეგნების არსებობის ხანაში შეიძლებოდა შექმნილიყო. ასეთ ეტაპად კი, არ არის გამორიცხული, V საუკუნის მეორე ნახევარი, ვახტანგ გორგასალის მოღვაწეობის ხანა მივიჩნიოთ და „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი მინაწერის ცნობა, რომ ვახტანგამდე „ქართლის ცხოვრება“ უამითი-უამად აღიწერებოდა, ჩავთვალოთ იმის მანიშნებლად, რომ ვახტანგ გორგასალის დროს ამ საქმეში რაღაც ახალი გაკეთდა და, ამის შემდეგ დაიწერა თვით ვახტანგის „ისტორიაც“.

ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენს ეროვნულ ისტორიას იმთავითვე ისეთი სახე ჰქონდა, როგორც ამჟამად აქვს, მაგრამ, იმ დროს ამ მიმართულებით რომ შეიძლებოდა რაღაც ნაბიჯები გადადგმულიყო, ეს თითქოს გამორიცხული არ უნდა იყოს.

კონცეფციას, ქართველთა ერთიანობის შესახებ „ქართლის ცხოვრება“ ბოლომდე იცავს, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, რომ ეროვნული „ისტორია“ რეალურად ასახავს არსებულ ისტორიულ ვითარებას.

XV საუკუნის დასასრულს, ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქია ოთხ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ სახელმწიფოებად დაიშალა; დაშლის პროცესი შემდეგ კიდევ უფრო გაღრმავდა, მაგრამ, როდესაც XVIII საუკუნის დასაწყისში „ქართლის ცხოვრებაში“ არსებული ხარვეზის შევსების საკითხი დადგა, ქართლის მეფის ვახტანგის და მისი „სწავლული კაცების“ წინაშე დადგა არა საკუთრივ და მხოლოდ ქართლის, არამედ მთლიანად საქართ-

ველოს ისტორიის დაშუშავების საკითხი (1,319; 76, 62). მართალია, ეს ამოცანა მათ წარმატებით ვერ გადაწყვიტეს და მათ მიერ დაწერილი „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელება უმთავრესად საკუთრივ ქართლის ისტორიაა, მაგრამ მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს და დასაფასებელია ის გარემოება, რომ მათ ასეთი სურვილი ჰქონდათ.

ქართული ეროვნული თვითშეგნება და ერთიანობის გრძნობა იმდენად მაღალი და მყარი იყო, რომ მიუხედავად ორ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე პოლიტიკურად განცალკევებული არსებობისა და დამპყრობთა მცდელობისა, რათა ეს შეგნება მოესპოთ, ერთიანობის, „ქართველობის“ ეროვნული თვითშეგნების აღმოფხვრა ვერ მოხერხდა.

XVIII საუკუნის სახელოვან ქართველ ისტორიკოსს ვახუშტი ბაგრატიონს ფრიად საინტერესო მსჯელობა აქვს საქართველოს ერთიანობის საკითხზე, ვახუშტი წერს: „გარნა ერთმეფობასა წარმოაჩინებს აწცა სამნი ხილულნი ესე, ვინაჲთგან იყო ყოველი ივერია ქართლის მეფესა ქუეშე პყრობასა: პირველი, უკეთუ ჰკითხო ვისმე ქართველსა (იგულისხმება საკუთრივ ქართლელსა, მ. ლ.), ანუ იმერსა, მესხსა და ჰერ-კახსა რა რჯული ხარ (რჯული რწმენასაც ნიშნავს და ეროვნებასაც, მ. ლ.), წამს მოგიგებს: „ქართველი“. მეორედ, არს ამათ ყოველთა წიგნი და ენა ერთი-იგივე ფარნაოზ პირველისა მეფისაგან ქმნილი, და ჰკითხო რა წინათქმულთა მათ კაცთა: „რა ენა და წიგნი უწყი“, მოგიგებს მყის: „ქართული“. რამეთუ არა იტყვს, არცა რჯულსა, ენასა და წიგნსა იმერთასა, ანუ მესხთასა და ჰერ-კახთასა, არამედ ქართულსა, მესამედ: არასა-დამე ვიხილავთ დიდთა შენებელთა და ეკლესია-მონასტერთა ანუ ხატთა და ჯვართა ძვრფასთა, რომელთა ზედა იყოს სხვათა, მეფეთა სახელნი, თვნიერ: „ჩუენ მეფემან საქართველოსა მან ანუ ქართლისამან ანუ აფხაზეთისამან, რომელთა ზედა წერილ არიან ქუათა, ხატთა და ჯვართა ზედა“ (41, 292—293).

ნიშანდობლივია, რომ ჩვენ ეროვნულ ისტორიას ეწოდებოდა როგორც „ქართველთა ცხოვრება“, ისე „ქართლის ცხოვრება“. ეს ორივე სახელწოდება „საქართველოს ისტორიას“ ნიშნავს, ოღონდ პირველ შემთხვევაში ის მიღებულია ხალხის („ქართველი“), ზოლო მეორე შემთხვევაში ქვეყნის („ქართლი“) შემეგობით. საბოლოოდ

მას მეორე სახელი შემორჩა, „ქართლის ცხოვრება“, და დღესაც ამ სახელითაა ცნობილი (5,4-5). ამასთანავე, ჩანს „ქართლის ცხოვრება“ მას თავიდანვე ეწოდებოდა, რადგან ეს ქართული ფორმაა სომხური ასოებით ჩაწერილი, როგორც „ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანში, ისე სტეფანოზ ორბელიანის თხზულებაში. რომ ამ წიგნს თავიდანვე „ქართლის ცხოვრება“ ეწოდებოდა და არა „საქართველოს ისტორია“, იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ ის შექმნილია მანამ, სანამ წარმოიშვებოდა ტერმინი „საქართველო“, ე. ი. XI საუკუნემდე (138, 177—180). ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ „ქართლის ცხოვრების“ ორი (ე. წ. მცხეთური და თეიმურაზისეული) ხელნაწერი ნუსხა-ხუცურიითაა ნაწერი (დანარჩენი მხედრულით), რაც მხარს უნდა უჭერდეს ვარაუდს, რომ ეს თხზულება XI საუკუნემდე, მხედრულის დამკვიდრებამდე შეიქმნა თავდაპირველად (137, 108).

„ქართლის ცხოვრებას“ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა თაობათა პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის, ეროვნული თვითშეგნების განმტკიცების, ერთიანობის შეგნების შენარჩუნებისათვის. „ქართლის ცხოვრება“ საუკუნეთა მანძილზე ყოველთა ქართველთათვის „წმინდა“ და „პატიოსანი“ წიგნი იყო.

მართალია, „ქართლის ცხოვრების“, ქვეყნის ოფიციალური ისტორიის შექმნამ, გარკვეული თვალსაზრისით, ხელი შეუწყო კერძო მატრიანეების, სამეფო ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი ცალკეული საისტორიო თხზულებების თანდათან მოსპობას ისევე, როგორც ვახტანგ VI კომისიის მიერ „ახალი ქართლის ცხოვრების“ შექმნამ განაპირობა ინტერესის განელება „ძველი ქართლის ცხოვრებისადმი“, რამაც თავის მხრივ სხვა ფაქტორებთან ერთად ხელი შეუწყო „ქართლის ცხოვრების“ ძველი ხელნაწერების თანდათან ხმარებიდან ამოკარდნას და იშვიათობად ქცევას, მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც თავდაპირველად ასეთი ოფიციალური „ისტორიის“ შექმნას, ისე ვახტანგის კომისიის მუშაობას, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ისტორიული აზროვნების, ქართული კულტურის ისტორიისათვის.

„იდეურ-პოლიტიკურად ფეოდალური საქართველოს ცივილიზაცია, წერს ნიკო ბერძენიშვილი, სამ სვეტს ემყარებოდა. სახარე.

ბა, „ვეფხისტყაოსანი“ და „ქართლის ცხოვრება“ იყო გამარჯვებული ფეოდალური ურთიერთობის სამი „წმინდა წიგნი“... „ღამახასიათებელია, რომ ქართული ფეოდალური კულტურის დიდი მოამაგე ვახტანგ VI თანაბრად ზრუნავდა „სახარებაზე“, „ვეფხისტყაოსანზე“ და „ქართლის ცხოვრებაზე“: საღმრთო წერილის ბეჭდვა, „ქართლის ცხოვრების“ რედაქცია-გაგრძელება და „ვეფხისტყაოსნის“ „საღმრთოდ“ თარგმნა ქართული ეროვნული ფეოდალური კულტურის ამ სამი ჰვეტის შემაგრება-შემტკიცების ცდა იყო“. ...„ქართული ფეოდალური საზოგადოება ყოველად დაჯერებული იყო „ქართლის ცხოვრების“ ცნობათა სანდოობაში და ამდენადვე „ქართლის ცხოვრება“ ამ საზოგადოებისათვის მეცნიერული ისტორია იყო“ (79, 131—132).

„სახარება“ ერის რწმენის სიმტკიცეს ემსახურებოდა, შოთა რუსთაველის გენიალური ქმნილება ქართველი ერის უკვდავების სიმბოლოდ იქცა, ხოლო „ქართლის ცხოვრება“ ეროვნული ერთიანობის, ეროვნული თვითშეგნების ერთ-ერთი საფუძველი გახდა. ამიტომაცაა ქალებისათვის მზითვად გატანებულ წიგნთა შორის ხშირად სწორედ ეს სამი წიგნი: „სახარება“, „ვეფხისტყაოსანი“ და „ქართლის ცხოვრება“ რომ მოიხსენება.

„ქართლის ცხოვრების“ გამოცემები და თარგმანები

„ქართლის ცხოვრება“ ბექლურად პირველად გამოიცა XIX საუკუნეში პეტერბურგში.

1848 წელს ცნობილმა ფრანგმა მეცნიერმა, ქართველოლოგმა მარი ბროსემ პირველად გამოსცა „ქართლის ცხოვრების“ I ტომი ორ ნაწილად: პირველი წიგნი ქართული ტექსტი, ხოლო მეორე წიგნი ფრანგული თარგმანი. მარი ბროსეს ხელთ ჰქონდა „ქართლის ცხოვრების“ XVIII საუკუნეში რედაქტირებული და გადამუშავებული სამი ნუსხა, როგორც უკვე ითქვა, მისი გამოცემა ამ სამ ნუსხაზეა დაფუძნებული.

„ქართლის ცხოვრება“ ერთადერთი საისტორიო თხზულებაა, რომელშიც საქართველოს ისტორია მოლიანობაში იყო მოცემული. სხვა ქართული მათიანეები და ქრონიკები გადმოგვცემენ რომელიმე კუთხის, საგვარეულოს ან რომელიმე კონკრეტული მოვლენის ისტორიას. ამიტომ, „ქართლის ცხოვრება“ ფაქტობრივად გაღაიქცა ზოგად სახელად, „საქართველოს ისტორიის“ აღმნიშვნელ ცნებად. მას თითქოს არ ჰქონდა თავისი კონკრეტული. სპეციალური მნიშვნელობა შუა საუკუნეების საქართველოში და საზოგადოება ყოველ ისტორიული ხასიათის თხზულებას აღიქვამდა როგორც „ქართლის ცხოვრებას“. „ქართლის ცხოვრების გაგრძელება“ ეწოდება არა მხოლოდ ვახტანგის კომისიის მიერ დაწერილ „გაგრძელებას“, სხვა „გაგრძელებებსაც“. „ქართლის ცხოვრებად“ აღიქმებოდა XVII—XVIII საუკუნეებში სხვადასხვა ავტორთა მიერ დაწერილი საისტორიო თხზულებები, მაგ., ვახუშტი ბაგრატიონის, სესნია ჩხეიძის, პაპუნა ორბელიანის, ომან ხერხეულიძის და სხვათა შრომები.

ცნება „ქართლის ცხოვრების“ ასეთმა ზოგადმა გაგებამ განა-

პირობა ის გარემოება, რომ 1854 წელს მარი ბროსემ და დავით ჩუბინაშვილმა პეტერბურგში გამოსცეს „ქართლის ცხოვრება“, ტომი II, რომელშიც შევიდა: 1. ვახუშტი ბაგრატიონის „ქართლის ცხოვრება“ (შემდგომად ვაჩუფისა სამეფოსა სამ სამეფოდ და ხუთ საქთავროდ); 2. ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების ნაწილი (XVII საუკუნის მეორე ნახევრის ამწერი — „როსტომ მეფის ცხოვრება“); 3. სეხნია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ (1653—1739 წლების ისტორია); 4. პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (1733—1758 წლების ისტორია); 5. ომან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა მეფის თეიმურაზის ძისა“ (1722—1880 წწ.); და XVIII—XIX საუკუნეთა სხვა ავტორთა თხზულებანი „შედეგი კახეთის ცხოვრებისა“, დავით (ან თეიმურაზ) ბატონიშვილის „ახალი ისტორია“ და სხვა, და ამ წიგნს მთლიანად უწოდეს „ქართლის ცხოვრება“, ტ. II.

რადგან პეტერბურგში გამოცემული „ქართლის ცხოვრება“ მალე იქცა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად, მოთხოვნილება კი მასზე დიდი იყო, ზაქარია ჭიჭინაძემ გადმოებეჭდა ბროსესეული გამოცემის I ტომი ორ წიგნად და შემდეგ ჩუბინაშვილისეული გამოცემატ. ქართული საისტორიო თხზულებების ყველას ერთი სათაურით გაერთიანება და მათთვის ზოგადად „ქართლის ცხოვრების“ წოდება არ უნდა იყოს სწორი, როგორც მართებულად შეინიშნავს ს. ყაუხჩიშვილი: „ბროსემ და ჩუბინაშვილმა, რომელთაც ეკუთვნის „ქართლის ცხოვრების“ პირველი ბეჭდური გამოცემა „ქართლის ცხოვრების“ II ტომში შეიტანეს... XVIII საუკუნეში დაწერილი საისტორიო თხზულებები ვახუშტისა („საქართველოს ცხოვრება XIV—XVIII სს.), სეხნია ჩხეიძისა („მეფეთა ცხოვრება“, 1653—1739 წწ.), პაპუნა ორბელიანისა („ამბავნი ქართლისანი“ 1739—1758 წწ.), ომან ხერხეულიძისა („მეფობა ირაკლი მეორისა“, 1722—1880 წწ.) და ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების რამდენიმე ნაწყვეტი. მაგრამ უნდა ითქვას, ასკვნის ს. ყაუხჩიშვილი, რომ ეს თხზულებები არასდროს „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში არ შესულა, ისინი ცნობილი იყვნენ ცალკე თხზულებების სახით და, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ისინი არც უნდა იქნეს შეტანილი გამოსაცემად „ქართლის ცხოვრებაში“, რომელიც იმთავითვე გარკვეული შედგენილობის კრებულს წარმოადგენდა და სხვადასხვა ეპოქაში თავ-თავისი რე-

დაქტორები ჰყავდა“ (40,05). ვფიქრობ, ს. ყაუხჩიშვილის ეს თვალსაზრისი მართებულია და „ქართლის ცხოვრება“ ნიშნავს არა ზოგადად „საქართველოს ისტორიას“, არამედ გარკვეულ თხზულებას. ამის შემდეგ „ქართლის ცხოვრების“ ასეთი მთლიანი გამოცემა აღარ განხორციელებულა.

1906 წელს ე. თაყაიშვილმა გამოსცა „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეული ნუსხა, ხოლო 1942 წელს სიმონ ყაუხჩიშვილმა — ანასეული „ქართლის ცხოვრება“.

ამ გამოცემების პარალელურად გამოიცა „ქართლის ცხოვრების“ კრებულიდან რამდენიმე თხზულება ცალკე წიგნებად. 1927 წ. ივ. ჯავახიშვილმა გამოსცა ე. წ. ლაშა გიორგის დროინდელი მემატრიანის თხზულება, 1940 წელს მანვე გამოსცა ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ეს არის „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგის კომისიისეული „გაგრძელება“). 1941 წ. კორნელი კეკელიძემ გამოსცა „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ხოლო 1944 წელს გამოიცა ივ. ჯავახიშვილის მიერ მომზადებული ტექსტი თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებისა, ე. წ. ბასილი ეზოს-მოძღვრის „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“.

„ქართლის ცხოვრების“ ტექსტზე მუშაობისა და გამოცემის საქმეში ახალი ეტაპი იყო ს. ყაუხჩიშვილის მიერ ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით დადგენილი ტექსტის კრიტიკული გამოცემა.

ყაუხჩიშვილისეული გამოცემის პირველ ტომში შედის: 1. ლეონტი მროველი, „მეფეთა ცხოვრება“; 2. ლეონტი მროველი, „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“; 3. ჭუანშერი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“; 4. ლეონტი მროველი, „მეფე ქართლისა. არჩილ“; 5. „მატიანე ქართლისა“; 6. „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“; 7. ლაშა გიორგის დროინდელი მემატრიანე. ეს პირველი ტომი გამოვიდა 1955 წ.

1959 წ. ს. ყაუხჩიშვილის მიერ გამოცემულ „ქართლის ცხოვრების“ მეორე ტომში შესულია: 1. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი; 2. ბასილ ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი; 3. ჟამთააღმწერელი; 4. ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება (პირველი ტექსტი); 5. ახალი ქართლის ცხოვრება (მეორე ტექსტი); 6. ახალი ქართლის ცხოვრება (მესამე ტექსტი).

XIX საუკუნიდან მომდინარე ტრადიციით ს. ყაუხჩიშვილმა როგორც „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, გამოსცა 1973 წ. ვახუშტი ბაგრატიონის საქართველოს ისტორია.

„ქართლის ცხოვრებამ“ ადრევე მიიქცია ყურადღება, რაც მისი ცნობების მნიშვნელობითა და მასში წარმოდგენილ საკითხთა მრავალფეროვნებითაა გაპირობებული.

„ქართლის ცხოვრების“ ცნობებს მნიშვნელობა აქვთ არა მხოლოდ საქართველოს ისტორიისათვის, არამედ კავკასიური და კერძოდ ამიერკავკასიური სამყაროსათვის, აგრეთვე ბიზანტიის იმპერიის ისტორიისათვის, ყოველივე ამან განაპირობა უკვე XII საუკუნეში მისი თარგმნა ძველ სომხურ ენაზე. ძველ სომხურზე თარგმნილია „ქართლის ცხოვრების“ ის ვარიანტი, რომელიც მოიცავს საქართველოს ისტორიას დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის ხანის ჩათვლით. მართალია, ეს თარგმანი „ქართლის ცხოვრების“ შემოკლებული რედაქციაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მას დიდი მნიშვნელობა აქვს. პირველ რიგში ეს თარგმანი აშქარას ხდის, რომ XII საუკუნის შუა წლებში უკვე არსებობდა ასეთი შედგენილობის „ქართლის ცხოვრება“. ამასთანავე, ამ შემოკლებიდან და რედაქციიდან კარგად ჩანს, თუ რა უფრო აინტერესებდათ ჩვენს მეზობელ სომხებს და რა სურდათ საქართველოს ისტორიიდან ცნობილი რომ ყოფილიყო იმდროინდელი სომეხი მკითხველისათვის. თუმცა, არც ის ვარაუდია გამოსარიცხი, რომ მაშინ „ქართლის ცხოვრების“ სწორედ ასეთი ვარიანტიც არსებობდა და ის თარგმნა სომეხმა მთარგმნელმა.

ნიშანდობლივია, რომ სადღეისოდ სპეციალისტთა ხელთ არსებული „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერებს შორის უძველესი XIII საუკუნეში შესრულებული „ქართლის ცხოვრების“ ეს სომხური ვარიანტია.

თანამედროვე სომხურად პარული მურადიანის მიერ თარგმნილია ე. წ. „ასწლოვანი ისტორია“ (ჯამთაალმწერლის თხზულება), ს. ყაუხჩიშვილის გამოცემის II ტომის მიხედვით (103).

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა „ქართლის ცხოვრების“ გამოცემას და ფრანგულად თარგმნას მარი ბროსეს მიერ. მართალია, ბროსეს თარგმანი ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრებიდან“

განხორციელდა, და ამიტომ საკუთრივ „ძველი ქართლის ცხოვრებისათვის“ დამახასიათებელი ბევრი რამ მასში არ არის წარმოდგენილი, მაგრამ ამ თარგმანს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ეროვნული ისტორიის ფართო სამეცნიერო ასპარეზზე გასატანად. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ როგორც ს. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს, ბროსესეული „ქართლის ცხოვრება“, რომელიც XVIII საუკუნის სამი ხელნაწილით განხორციელდა, ფაქტობრივად „ქართლის ცხოვრების“ ბროსესეული ნუსხაა. როგორც არაერთგზის აღინიშნა, გამოცემასთან ერთად მარი ბროსემ დიდი მუშაობა გასწია „ქართლის ცხოვრების“ შესწავლის, მისი ცნობების კომენტირების, ამ ძეგლის შეფასების თვალსაზრისით.

„ქართლის ცხოვრების“ კრებულიდან რამდენიმე თხზულება თარგმნილია რუსულად. 1900 წელს გამოვიდა ექვთიმე თაყაიშვილის მიერ რუსულად თარგმნილი სუმბატ დავითის ძის ბაგრატიონთა გვარის ისტორია (46), არსებობს ამ თხზულების მეორე რუსული თარგმანიც (47).

ივ. ჯავახიშვილმა როდესაც „ქართლის ცხოვრების“ კალაშვილისეული ნუსხა აღმოაჩინა, მან თამარის „ისტორიის“ შემცველი ნაწილის მის მიერ აღდგენილი ტექსტი ვარლამ დონდუას გადასცა რუსულად სათარგმნელად. 1937 წელს შოთა რუსთველის საიუბილეო ზეიმი ჩატარდა და იუბილესათვის ლენინგრადში გამოიცა რუსთაველისადმი მიძღვნილი კრებული, სწორედ ამ კრებულში გამოქვეყნდა ვარლამ დონდუას მიერ რუსულად თარგმნილი ბასილი ეზოსმოძღვრის „ცხოვრება მეფისა თამარისი“ (48), ხოლო 1985 წელს ეს თარგმანი ხელმეორედ გამოიცა (49).

ანონიმური თხზულების ე. წ. „მატიანე ქართლისაის“ ორი რუსული თარგმანი არსებობს (50; 51). ამ ორი თარგმანის გარდა არსებობს „მატიანე ქართლისას“ ერთი ნაწილის რუსული თარგმანიც (ბაგრატიონთა IV-ის გამეფებიდან, 1027 წ. 1045 წლამდე). ეს თარგმანი შესრულებულია ვ. დონდუას მიერ (52, 2:2—354).

რუსულად თარგმნილია აგრეთვე „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ კორნელი კეკელიძის მიერ. თარგმანი ცალკე წიგნად გამოვიდა 1954 წელს (53), ხოლო 1979 წელს ეს თარგმანი გამოქვეყნდა კ. კეკელიძის „ეტიუდების“ XII ტომში (54, 164—232).

რუსულად თარგმნილია ჯუანშერის „ეხატანგ გორგასლის ისტორია“ გივი წულაიას მიერ (55). გივი წულაიამ რუსულად თარგმნა აგრეთვე ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებიდან“ მნიშვნელოვანი ცნობები აფხაზთა, ჩრდილო კავკასიის ხალხთა და დაღესტნის შესახებ (34).

„მეფეთა ცხოვრების“ რუსული თარგმანის ნაწყვეტები დამატების სახით ერთვის ა. ი. შაველიშვილის წიგნს. როგორც გ. წულაია აღნიშნავს, ამ თარგმანში სამწუხაროდ მნიშვნელოვანი ხარვეზები, უზუსტობანი და დამახინჯებებია (34, 15, შენ, 41).

სამწუხაროდ, „ქართლის ცხოვრების“ სხვა თხზულებები რუსულად თარგმნილი არ არის. ჩვენი ეროვნული ისტორიის ამ მნიშვნელოვანი ძეგლის რუსულად და სხვა ენებზე თარგმნას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურისათვის.

„ქართლის ცხოვრების“ დიდი ნაწილი (ს. ყაუხჩიშვილის გამოცემის I ტომში შესული თხზულებები მთლიანად) გერმანულად თარგმნა გერმანელმა ქართველოლოგმა გერტრუდა პეჩმა (56). გერმანულად თარგმნილია მიხეილ წერეთლის მიერ დავითის ისტორიკოსის თხზულება, რომელიც გამოქვეყნებულია ეურნალში „ბედი ქართლისა“ (1957 წელი).

„ქართლის ცხოვრების“ რუსულ და ევროპულ ენებზე თარგმნას მნიშვნელობა აქვს, როგორც ჩვენი ეროვნული კულტურის ამ დიდად მნიშვნელოვანი ძეგლის საერთაშორისო ასპარეზზე გატანის და საქართველოს ისტორიით დაინტერესებულთა წრის გაფართოებისათვის, ისე ზოგადად ისტორიული მეცნიერებისათვის, რადგან „ქართლის ცხოვრებაში“, საკუთრივ საქართველოს გარდა, დატულია ფრიად მნიშვნელოვანი ცნობები ამიერკავკასიის, ჩრდილოკავკასიელი ხალხების, ბიზანტიის იმპერიის და, საერთოდ, მანლობელი აღმოსავლეთის რიგი ქვეყნების ისტორიისათვის.

ამჟამად, ივ. ჯავახიშვილის მიერ დასახული გეგმის შესაბამისად, ხდება „ქართლის ცხოვრების“ ცალკეული თხზულებების გამოცემა. დაიბეჭდა: უამთაღმწერელი, ასწლოვანი მათიანე (136), წარმოებაშია „ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი“.

გ ა ი ო ყ ე ნ ა ბ შ ლ ი ლ ი ტ რ ა ტ შ რ ა

1. ივანე ჭავჭავიძე, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, ივანე ჭავჭავიძის, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VIII, თბ., 1977.
2. რევაზ კიკნაძე, საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები, I, თბ., 1982.
3. ივანე ჭავჭავიძე, წინასიტყვაობა წოგნისა: ბერი ევნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1940.
4. „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 55.
5. კონსტანტინე გრიგოლია, ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954.
6. Brosset, Rapports sur un voyage archeologique dans la Géorgie et dans l'Arménie, exécuté en 1847—1848. I-e livrasion, III, rap. SPB, 1849.
7. M. Brosset, Revue de antiquités Georgiennes. Bulletin scientifique, vol, V, SPB, 1893.
8. M. Brosset, Histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'au XIX-e siècle SPB, 1858.
9. Пятканов К. П., Ванские надписи и значение их для истории Передней Азии. О древней грузинской хронологии. Журнал министерства народного просвещения, декабрь, 1883 г.
10. Какабадзе, С. С., Установление критического текста начальной части «Картлис цховреба», «Палестинский сборник», № 15 (76), М.—Л., 1966.
11. ნოდარ შოშიაშვილი, „ნანსეული ქართლის ცხოვრების“ პირის გადაწერის თარიღი, „მრავალთვი“, V, თბ., 1975.
12. აკაკი კლიშიაშვილი, „ქართლის ცხოვრების“ ახალი ნუსხა 1697 წლისა (წინასწარი ცნობა), სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, XXIV, № 3, თბ., 1960.
13. საურმაგ კაკაბაძე, „ქართლის ცხოვრების“ ტექსტოლოგიური შექმავლის საკითხები, „მაცნე“ (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), 1977, № 2.

14. „ქართლის ცხოვრება“ I, მარი ბროსეს გამ. სპბ, 1849.
15. „ქართლის ცხოვრება“, II, დ. ჩუბინოვის (ჩუბინაშვილის) გამ. სპბ, 1854.
16. „ქართლის ცხოვრება“, ზ. ჭიჭინაძის გამ., თბ., 1908.
17. მარიამისეული „ქართლის ცხოვრება“, ექვთიმე თაყაიშვილის გამოცემა, თბ., 1906.
18. თედოეორდანიძე, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, I, თბ., 1892.
19. კორნელი კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II.
20. პავლე ინგოროყვა, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, იხ. პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. IV, თბ., 1979.
21. გიორგი მელიქიშვილი, საქართველოს ისტორიის უძველესი და ძველი ისტორიის წყაროები, იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970.
22. კორნელი კეკელიძე, ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსი და მისი ისტორია, იხ. ეტიუდები, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბ., 1957.
23. ნიკო ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბ., 1979.
24. ნიკო ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, IX, თბ., 1979.
25. კონსტანტინე გრიგოლია, „მატიანე ქართლისა“ და მისი დართილების საკითხისათვის. იხ. ივ. ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976.
26. ანრი ბოგვერაძე, „ქართლის ცხოვრების“ პირველი მატიანე და მისი ავტორი, კრ. ქართული ისტორიოგრაფია, I, თბ., 1968.
27. სუმბატ დავითისძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ზაგრატიონთა შესახებ, ტექსტის გამოცემა, შესავალი, შენიშვნები და გენეალოგიური ტაბულები ექვთიმე თაყაიშვილისა, იხ. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 27, თბ., 1949.
28. Г'а б а ш в и л и В. Н., Исторнография Грузии, см. Очерки истории исторической науки в СССР, I, М., 1958.
29. М е л и к я ш в и л и Г. А., К истории древней Грузии, Тбилиси, 1959.
30. შოთა ბადრიძე, ლეონტი მროველის ავტორობის საკითხისათვის, „მნათობი“, 1962, № 7.
31. პავლე ინგოროყვა, ლეონტი მროველი — ქართველი ისტორიკოსი VIII საუკუნისა, ენიშის მოამბე, თბ., 1941, № X.
32. კორნელი კეკელიძე, „ნინოს ცხოვრების“ მატიანისეული რედაქციის ავტორი, ეტიუდები, II, 1945.

33. კორნელი კეკელიძე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, II, თბ; 1923.
34. Мровелин Леонти, Жизнь Карталийских царей. Извлечение сведений об абхазах, народов Северного Кавказа, и Дагестана. Перевод с древнегрузинского, предисловие и комментарии Г. В. Цулая, М., 1979.
35. ვალერიან გაბაშვილი, აღმოსავლეთი XI—XII სს. ქართული საისტორიო წყაროების ფურცლებზე, წიგნში: XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, № 125, თბ; 1968.
36. ალექსანდრე აბდალაძე, „ქართლის ცხოვრება“ და საქართველოსომხეთის ურთიერთობა, თბ; 1982.
37. Ваинштейн О. Л., Западноевропейская средневековая историография, М. Л., 1964.
38. Майорова, Г. Г., Формирование средневековой философии, М., 1979.
39. გივი გაყრინდაშვილი, ლეონტი მროველის 1066 წლის სამუხ-ნებლო წარწერა თრესის ქვაბებიდან. იხ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების „მოამბე“, თბ; 1961 № 1.
40. „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ; 1959.
41. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იხ. „ქართლის ცხოვრება“, IV, თბ; 1973.
42. გიორგი წერეთელი, არმაზის ბილინგვა, ენიშის „მოამბე“, XII, 1942.
43. „ქართლის ცხოვრება“, ძველი სომხური თარგმანი. ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, თბ; 1952.
44. მამია დუმბაძე, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, ბათუმი, 1950.
45. ილია კავკაძე, თხზულებანი, ტ. II, თბ; 1941.
46. Источники грузинских летописей, II, «Жизнь и известия о Багратидах... «которое описал Сумбат сын Давида, СМОМПК, вып. 23 Т. 1900.
47. Сумбат Давитис-дзе, История и повествование о Багратионах. Перепод, введение и примечания М. Д. Лордкипанидзе, Т. 1979.
48. Баспли, Жизнь царицы царц Тамар, Памятники эпохи Руста-вели, перевод, введение В. Д. Дондуа, Л. 1938.
49. Жизнь царицы царц Тамар, Перевод и введение В. Д. Дондуа. Исследование и примечания М. М. Бердзенишвили, Тб., 1985.

50. Матиане Картლისა, Перевод, введение и примечания М. Д. Лордкипанидзе, Тб., 1876.
51. Летопись Картли, Перевод, введение и примечания Г. В. Сулая, Т. 1982.
52. Хрестоматия по истории СССР, М. 1960.
53. История и восхваление венценосцев, Перевод, К. С. Кекелидзе, Т. 1964.
54. История и восхваление венценосцев, Перевод, К. С. Кекелидзе, იბ. ეტიუდები, ტ. XII, თბ., 1979.
55. Джуаншер Джуаншериаши, Жизнь Вахтаंगा Горгасала, перевод, введение и примечания Г. В. Сулая, Т. 1986.
56. Das Leben Kartlis, Eine Chronik aus Georgien 300-1200, Herausgegeben von Gertrud Pätsch, Leipzig, 1985.
57. Cyril Toumanoff, The oldest Manuscript of the Georgian Annals. The queen Anne codex (QA), 1479—1495. Traditio, Studies in ancient and medieval history, thought and religion, vol. V, New York, 1947.
58. Сенковский О. Некоторые сомнения касательно истории грузинов, «Библиотека для чтения», т. XXX, № 10, 1838.
59. არჩილ ბარამიძე, „ქართლის ცხოვრების“ შესწავლის ისტორიიდან, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნ. 34, თბ., 1962.
60. შოთა ხანთაძე, მარი ბროსე, თბ., 1966.
61. დიმიტრი ბაქრაძე, პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები, „ივერია“, 1884, № 7—8.
62. თედო ეორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, II, თბ., 1897.
63. თედო ეორდანია, ქრონიკები, III, თბ., 1967.
64. Сулхан Баратов, История Грузии, тетрадь I, Древняя история Грузии, СПб, 1865.
65. Сулхан Баратов, История Грузии, тетрадь II—III, С. Петербург, 1871.
66. Такаишвили Е. Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения», т. I, вып. II, Т. 1903.
67. Такаишвили Е. Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения», т. II, вып. I, Т. 1906.
68. „ქართლის ცხოვრება“, ანასეული ნუსხა, თბ; 1942.
69. რევაზ ბარამიძე, ქართული საისტორიო პროზა, თბ; 1971.
70. Какабадзе С. Н., О древнегрузинских летописцах XI столетия, Т. 1912.
71. სარგის კაკაბეძე, საისტორიო ძეგლები, თბ., 1924.

72. ს ა რ გ ი ს კ ა კ ა ბ ა ძ ე, დავით აღმაშენებლის მემბტიანის ვინაობა, თბ., 1913.
73. ა ნ რ ი ბ ო გ ვ ე რ ა ძ ე, დავით აღმაშენებლის ისტორიის თარიღისა და ხასიათის შესახებ, იხ. ქართული ისტორიოგრაფია, 2, თბ., 1971.
74. ჭ უ მ ბ ე რ ო ღ ი შ ე ლ ი, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ვინაობის საკითხისათვის, ხელნაწერთა ინსტიტუტის „მოამბე“, V, თბ., 1963.
75. მ ო ს ე ჭ ა ნ ა შ ე ი ლ ი, ნაშრომი, თბ., 1907.
76. ვ ა ლ ე რ ი ა ნ გ ა ბ ა შ ე ი ლ ი, ვახუშტი XVII—XVIII სს. ევროპული ისტორიოგრაფიის სინათლეზე, ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, „ანალები“, I, 1947.
77. К и к н а д з е, Р. К. Очерки по источниковедению истории Грузии Парсадан Горгиджანიძе и «Қартлис цховреба». Тб., 1980.
78. გ უ რ ა მ მ ა მ უ ლ ი ა, ლეონტი მროველის და ჭუანშერის წყაროები, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ხელოვნების ისტ. სერია, 1964, № 4.
79. ნ ი კ ო ბ ე რ ძ ე ნ ი შ ე ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, V, თბ., 1979.
80. Ш. А. Хантадзе, К историографической характеристике, «Қартлис цховреба». იხ. კრ. ქართული ისტორიოგრაფია, 2, თბ., 1971.
81. მ ა რ ი ა მ ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1979.
82. გ ო ნ ე ლ ი ა რ ა ხ ა მ ი ა, „ქართლის ცხოვრების“ პირველი მატეიანის მოცულობის საკითხისათვის, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ხელოვნების ისტორიის სერია, 1987, № 2.
83. ნ ი კ ო ბ ე რ ძ ე ნ ი შ ე ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1973 წ.
84. დ ი მ ი ტ რ ი ბ ა ქ რ ა ძ ე, წინასიტყვაობა წიგნისა, ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, გამ. დ. ზ. ბაქრაძის მიერ, თბ., 1885.
85. ს ა რ გ ი ს კ ა კ ა ბ ა ძ ე, საისტორიო მოამბე, ტ. I, თბ., 1924.
86. შეწირულების წიგნი კათალიკოს ეფთვიმი საყვარელიძისა ბიჭვინტისადმი, ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970.
87. მ ა რ ი ა მ ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ადრეფეოდალური ხანის ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1968.
88. ს ა რ გ ი ს კ ა კ ა ბ ა ძ ე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, საისტორიო მოამბე, თბ., 1924.
89. რ ე ვ ა ზ ბ ა რ ა მ ი ძ ე, ქართული მწერლობის შესწავლისათვის, თბ., 1986.
90. ზ ა ზ ა ი ლ ე ქ ს ი ძ ე, „ცხოვრება ფარნავაზისი“, „მნათობი“, № 12, 1984.
91. ლ ა შ ი ჭ ა ნ ა შ ი ა, „ცხოვრება ქართველთა მეფეთას“ წყაროებისათვის, კრ. კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966.

92. Аласаниа Г. Г. Классификация грузинских письменных исторических источников, Тб., 1986.
93. შოქტევაძე ქართლისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1964.
94. სიმონ ჭანაშია, ფსევდო არსენი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის „მოამბე“ ტ. I, № 6, 1940.
95. არსენ ბერი, ცხოვრება ნინოასი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III, 1971.
96. კოტე გრიგოლია, ქართლის ცხოვრების ჩუბინაშვილისეული ნაწყვეტი და მასი ადგილის საკითხისათვის, სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, ტ. V, № 9. 1944, თბ.,
97. ვიორგი მელიქიშვილი, ქართული პოლიტიკური და ეთნიკური წარმონაქმნები ელნისტურ ხანაში, იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970.
98. ვიორგი მელიქიშვილი, საქართველო ახ. წ. I—III საუკუნეებში, იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, X, 1970.
99. C. Toumanoff, Studies in christian Caucasian History, Georgtewn, 1963.
100. სტეფანოს ორბელიანი, „ცხოვრება ორბელიანთას“ ძველი ქართული თარგმანები. ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეშვილმა, თბ., 1978.
101. შესსმაჲ და წამებაჲ წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი, იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი სოლომონ ყუბანეიშვილის მიერ, თბ., 1946.
102. მოხსენება საქართველოს საეკლესიო კრებისა მეფისადმი, ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, 1984.
103. Грузинский хронограф (1207—1318). Перевод с древнегрузинского, предисловие и комментарии П. М. Мураджия, Ер., 1971.
104. ილია აბულაძე, „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური მთარგმნელი და მისი მოღვაწეობის ხანა. იხ. კრ. კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, 1966.
105. მარინა ჩხარტიშვილი, წყაროების მითითების წესი, ლეონტი მროველის თხზულებაში, „მაინე“ (ისტორიის სერია), 1982, № 2.
106. გიული ალასანი, რიცხვი და მისტიკა ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში, „მაინე“ (ისტორიის სერია), 1984, № 4.
107. მარინე ჭადაგიძე, ქრონოლოგიის საკითხები თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებაში, „მაინე“ (ისტორიის სერია), 1985, № 4.
108. გურამ მამულია, სუმბატ დავითის-ძის ერთი წყაროს საკითხისათვის, იხ. ქართული წყაროთმცოდნეობა, III, 1971.
109. რევაზ კიკნაძე, ფათალმწერლის სპარსული წყაროები, იხ. კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, II, თბ., 1962.

110. გიორგი იხველიანი, ჟუანშერის „ვახტანგ გორგასალის ცხოვრება“, ფოლკლორული წყაროები, „მაცნე“ (ისტორიის სერია), 1972, № 1.
111. კონსტანტინე გრიგოლია, „რას მოგვეთხრობს ქართლის ცხოვრება“, 1971.
112. რევაზ კიკნაძე, მარინა ჩხარტიშვილი, წყარომცოდნეობითი კვლევა საბჭოთა საქართველოში, კრ. ისტორიული მეცნიერების განვითარება საბჭოთა საქართველოში, 1986.
113. Аласаниа Г. Г., Орлов Ю. К. Опыт статистической классификации текстов (на материале сочинений «Карт.лис цховреба»), „მაცნე“, 1983, № 2.
114. Насибов Ю. М. О времени написания анонимного сочинения XII в. «Жизнеописание царя царей Давида». Бартольдовские чтения, М., 1984, тезисы докладов.
115. ლონტი მროველის ისტორიული კონცეფციის საკითხისათვის. „მაცნე“, ისტორ. სერია, 1969, 1.
116. გურამ ყორანაშვილი, მეცნიერი და მოღვაწე, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1987, № 39 (2611).
117. ვახტანგ გოილაძე, ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი. „მნათობი“ 1983, № 11.
118. თინათინ ყაუხჩიშვილი, ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში, „მაცნე“ (ისტ. სერია). 1973, № 4.
119. Лордкипанидзе М. К вопросу об использовании античных и византийских письменных источников в грузинской историографии; сб. Историко-филологические разыскания, I. Тб. 1980.
120. „ქართლის ცხოვრების“ სიმფონია-ლექსიკონი, I. 1986.
121. „ქართლის ცხოვრების“ სიმფონია-ლექსიკონი, II. 1986.
122. ევანე ლოლაშვილი, რუსთაველი და თამარის ისტორიკოსთა ენობის პრობლემა, თბ., 1961.
123. გურამ შარაძე, მიხაკო წერეთელი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1987, წ. № 39 (2611).
124. დიმიტრი ბაქრაძე. ისტორია საქართველოსი, თბ. 1889.
125. გიული ალასანია. ქაობ ჩიღების ცნობები საქართველოს ისტორიისათვის. თბ., 1978.
126. Миллер В. Осетинские этюды, т. III. М. 1887.
127. გურამ მაშელაია, „ქართლის ცხოვრების“ წყაროს დადგენისათვის. სსრ მეცნიერებათა აკადემიის „შოამბე“, XXXIII, № 1, 1964.
128. შოთა მესხია, ლონტი მროველი საქართველოს ისტორიის ორი პერიოდის შესახებ. კრ. კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966.
129. გრივერ ფარულავა, იდამიანის სილიაღზე მომთხრობი წიგნი, ეურნ. „სკოლა და ცხოვრება“, № 1, 1986.
130. თედო ქორდანიძე, ისტორიული საბუთები შიო მღვიმის მონასტრისა, 1898.

131. რევაზ კიკნაძე, „ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელების წყაროების საკითხისათვის. კრ. ქართული წყაროთმცოდნეობა, II, 1968.
132. ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ, 1980.
133. სარგის კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, საისტორიო მოამბე, წ. II, თბ., 1925.
134. ბენიამინ სილაგაძე, XII—XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ ალ-ასირის ცნობათა შუქზე. კრ. საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966.
135. ილია ანთელავა, ლაშა გიორგის დროინდელი მემკტიანის თხზულების დათარიღებისათვის. კრ. საქართველო და აღმოსავლეთი, თბ., 1984.
136. ემთააღმწერელი. ასწლოვანი მკტიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რევაზ კიკნაძემ, თბ., 1987.
137. Шошнашвилл Н. Ф. Некоторые вопросы истории создания «Картлис цховреба». Актуальные проблемы изучения и издания письменных исторических источников. Всесоюзная научная сессия, тезисы докладов. Тб. 1985.
138. „ქართლის ცხოვრების“ პრობლემები. იბ. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1987, № 4.
139. ა. აბდალაძე, ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX—XI საუკუნეებში, თბ., 1988.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი	3
„ქართლის ცხოვრების“ შესწავლის საკითხისათვის	6
„ქართლის ცხოვრების“ კრებულის შედგენისა და თანდათანობითი შეესე- ბის საკითხისათვის	20
ვახტანგ VI კომისიის საქმიანობა	53
„ქართლის ცხოვრების“ შემდგომი რედაქტირება-დამუშავება	67
„ქართლის ცხოვრების“ შეფასება	82
„ქართლის ცხოვრების“ გამოცემები და თარგმანები	105
გამოყენებული ლიტერატურა	111